საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლელო

№ 288
(12 356)

8 დეკემბერი შაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი
50 თეთრი

# ხიზანიშვილი და ნაკრები: არის თუ არა პოლიტიკური მოტივი?



ზურაბ ხიზანიშვილი კლაუს ტოპმიოლერს დაუპირისპირდა. ლიტვასთან მატჩის შემდეგ საქართველოს ნაკრების მცველმა სკანდალური განცხადებები გააკეთა, სანამ გერმანელი ნაკრებს უხელმძღვანელებს, გუნდში ჩემ ფეხს ვერ ნახავთო.

თუმცა წმინდა სპორტულ და ადამიანური წყენის გარდა, ლიტვასთან თამაშის შემდეგ აქცენტი პოლიტიკურ მოტივებზეც გაკეთდა. ხიზანიშვილი პრეზიდენტობის კანდიდატ დავით გამყრელიძის დისშვილის მეუღლეა და ეს გახდა ლიტვასთან მისი უთამაშებლობის მიზეზიო.

რამდენად მართალია ეს ვერსია? ჭორია თუ მასში სიმართლის მარცვალი არსებობს?

კომენტარი ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ გოგი ქავთარაძეს ვთხოვეთ.

- ვერსია ვრცელდება, თითქოს ხიზანიშვილი ნაკრებში ლიტვასთან იმიტომ არ ათამაშეს, რომ ყატართან მატჩის შემდეგ სააკაშილთან შეხვედრაზე არ გამოცხადდა...

- შემიძლია ერთი სიტყვით გიპასუხოთ?

**- ნება თქვენია.**

- ეს არის ბოდვა... რეალური მოტივები ერთმანეთში ტოპმიოლერმა და ხიზანიშვილმა უნდა გაარკვიონ. მე ზურას პოლემიკაში ვერ შევყვები, რადგან, როგორც პიროვნულად, ასევე როგორც ფეხბურთელს, დიდ პატივს ვცემ. თუმცა თავად მან საგაზეთო ინტერვიუებში სამი განსხვავებული ვერსია ახსენა, თუ რატომ არ ათამაშეს.

**- ნებისმიერ შემთხვევაში, ფედერაციას შუამავლის როლის შესრულება და ხიზანიშვილის ნაკრებში დაბრუნების სურვილი ექნება. ის ნამდვილად არაა გადასაგდები მოთამაშე.**

- რა თქმა უნდა, გადასაგდები კი არა, გადასარევი ფეხბურთელია. თუმცა თავად გადაწყვიტა არ ითამაშოს ტოპმიოლერის ხელმძღვანელობით. ჩვენ კი ტოპმიოლერი ორი წლით დავტოვეთ. ანუ, შერიგებისკენ ნაბიჯი ისევ ხიზანიშვილმა უნდა გადადგას.

3

# დღეს მენთეშაშვილი გერმანიაში ჩავა



ზურაბ მენთეშაშვილი

**ლევან ცქიტიშვილის** მერე დღეს კაიზერსლაუტერნში კიდევ ერთი ქართველი, **ზურაბ მენთეშაშვილი** ჩავა. ნახევარმცველის აგენტი ლატვიაში მოღვაწე **მიხეილ ძოძუაშვილია** და გუშინ სწორედ მას დავუკავშირდით.

"როგორც ადრე გითხარით "კაიზერსლაუტერნი" მართლაც არის დაინტერესებული მენთეშაშვილის გადაბირებით. თუმცა ჯერჯერობით ტრანსფერზე საუბრები არ დაწყებულა. ზურა ხვალ უნდა ჩაფრინდეს კაიზერსლაუტერნში. ის გუნდს, ვითარებას გაეცნობა და ბუნებრივია, მის ტრანსფერზე პირველადი მოლაპარაკებაც დაიწყება. თუ ამ საქმეს გაგრძელება მოყვა, გერმანული კლუბი იაროსლავლის "შინიკთან" (მენთეშაშვილი ამ კლუბს ეკუთვნის) წამოიწყებს მოლაპარაკებებს და ამ პროცესში უკვე მეც ჩავერთვები. ვნახოთ, საქმეს რა გაგრძელება ექნება", - "ლელოსთან" საუბარში აღნიშნა მიხეილ ძოძუაშვილმა.

დაბოლოს, ლიტვასთან მატჩში ტრავმირებული ზურაბ მენთეშაშვილის გამოჯანმრთელების პროცესი გეგმის მიხედვით მიდის. წესით მან თვის ბოლოს უნდა შეძლოს გუნდთან ერთად სრული დატვირთვით ვარჯიში.

**დავით ცაბაძე**



სათასო წილისყრა

## მეოთხედფინალი ერთი პრინციპული წყვილით

4

# რა თანხას მიიღებს ფეხბურთის ფედერაცია ტელეკონტრაქტებით?

საქართველოს ნაკრებს მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის წილისყრაში გაუმართლა თუ არა, 2009 წლის შემოდგომაზე გამოჩნდება. ორი აზრი არაა, ახლა შედარებით იოლი მეტოქეები შეგვხვდა და გაცილებით მეტი შანსი გაგვაჩნია. სხვა საქმეა, ამას ჯვაროსნები როგორ გამოიყენებენ.

ამჯერად, ჯგუფი ფინანსური თვალსაზრისით შევაფასოთ. ამის შესახებ ერთად-ერთმა, ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **რეზო არველაძემ** ისაუბრა, სპორტული თვალსაზრისით იმედი გაგვიჩნდა, მაგრამ ფინანსურად დიდად ვერ ვიხეირებთო.

ჩვენ გაგვაჩნია მონაცემები ტელეკონტრაქტების თაობაზე და შეგვიძლია შემოგთავაზოთ ის ციფრები, თუ რა თანხით გამდიდრდება ფედერაციის ბიუჯეტი ახალი შესარჩევი ციკლის შემდეგ.

| მეტოქე | თანხა |
|---|---|
| იტალია | 1 600 000 |
| ბულგარეთი | 25 000 |
| ირლანდია | 25 000 |
| კვიპროსი | 25 000 |
| ჩერნოგორია | 25 000 |

*თანხა მოცემულია დოლარებში*

ვრცლად 3



სუპერთასი

## ფოლკსვაგენისთვის, გორისკენ...

4

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა



# ზესამეული და ბრძოლა გადარჩენისთვის



ზესტაფონის წაუგებელი სერია დინამომ შეწყვიტა

პირველი წრის კულმინაცია წესით, ერთი თვის წინათ უნდა დამდგარიყო, მაგრამ ქვეყანაში განვითარებული პოლიტიკური ამბების გამო ისე მოხდა, რომ "დინამო"-"ზესტაფონი" ყველაზე ბოლოს გაიმართა და უნდა ითქვას, რომ ამით ეროვნულ ჩემპიონატს არაფერი დაუკარგავს. შეკითხვა – რომელია სადღეისოდ ქვეყნის საუკეთესო გუნდი, ამ ხუთშაბათამდე აქტუალური იყო და მას დინამოელებმა დამაჯერებელი პასუხი გასცეს. "დინამომ" იმერლებს სამწლიანი პაუზის შემდეგ მოუგო და მინიმუმ სამი თვის განმავლობაში სატურნირო ცხრილის სათავეში **დუშან უჰრინის** გუნდი იქნება. მარცხის გასამართლებელი მიზეზი არაა, მაგრამ მაინც უნდა გავიხსენოთ, რომ "დინამომდე" რამდენიმე დღით ადრე "ზესტაფონმა" "ამერთან" მძიმე ბრძოლა გადაიხადა...

ბუნებრივია, "ზესტაფონის" ძლევა ჩემპიონობისთვის საკმარისი არ არის. მთავარი თამაშები მეორე წრეში გაიმართება, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი "ზესტაფონი"-"დინამო" იქნება.

ჩემპიონობის მთავარი პრეტენდენტები ცნობილია, მაგრამ მათი რიცხვი ორით არ უნდა შემოვფარგლოთ. "ვიტ ჯორჯია" 7-მატჩიან გამარჯვებათა სერიის ავტორია, რაც თავისთავად, ბევრზე მეტყველებს. ვეტერინარები ტურიდან ტურამდე პროგრესირებენ და მესამე საფეხურზე დარჩენას არ აპირებენ. გაუთვალისწინებელი ქულების დაკარგვა რომ არა, **ნესტორ მუმლაძის** გუნდი სულაც პირველ პოზიციაზე იქნებოდა, უშუალო კონკურენტებთან ჭიდილში ხომ "ჯორჯიამ" 4 ქულა აიღო, თანაც ოთხივე სტუმრად – ზესტაფონში ფრეს მიაღწია, "დინამო" კი "ეროვნულზე" დაჯაბნა.

"ამერი" და "ოლიმპი" ჩემპიონატში მოსალოდნელზე სუსტად გამოდიან, "ბორჯომი" პირიქით, რესურსების პირობაზე, უაღრესად წარმატებულია. ამ სამ გუნდს ის აერთიანებს, რომ ჩემპიონატიდან მაქსიმუმ ინტერტოტოს საგზურს შესწვდნენ. "ოქროს შუალედი" დაბევებულია, ასე რომ, ამ ტრიოს წევრებს თასის გათამაშებაზე მართებთ აქცენტირება.

კარგად გაუშინაურდნენ უმაღლეს ლიგას დებიუტანტები, "მესხეთი" და "მგლები". ერთი შეხედვით, მათ პირველ ლიგაში დაბრუნების საფრთხე არ ემუქრებათ, თუმცა მოდუნება არ მართებთ.

"ბათუმის" უმაღლესში დარჩენა უკვე ძნელი წარმოსადგენია, ბევრად უკეთესი პერსპექტივა არც "დილას" აქვს. დანარჩენი გუნდების ბედი კი დიდწილად იმაზე იქნება დამოკიდებული, რამდენად ნაყოფიერად გამოიყენებენ ზამთრის შესვენებას.

მოკლედ, ჩემპიონატი კარგა ხნით დაგვემშვიდობა, პირველ წრეს კი "ლელოს" უახლოეს ნომრებში დაწვრილებით შევაფასებთ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## XI (გადადებული) ტურის სიმბოლური ნაკრები




### ტურის ფეხბურთელი
## დინამოელები

"დინამომ" "ზესტაფონს" უპირველეს ყოვლისა, ძლიერი კოლექტიური თამაშის წყალობით სძლია. გამორჩეულები იყვნენ მიხეილ ხუციშვილი, დავით ოდიკაძე და დავით დილმელაშვილი, სხვებიც ბოლომდე დაიხარჯნენ. რომელიმე მოთამაშის წვლილი რომ არ დაკნინდეს, ამჯერად გამონაკლისს დავუშვებთ და ტურის საუკეთესო ფეხბურთელად ყველა დინამოელს დავასახელებთ.

### ტურის მწვრთნელი
## დუშან უჰრინი (დინამო)

"დინამოს" წარმატების მთავარი შემოქმედი კი მრავალისმნახველი ჩეხი სპეციალისტია. როგორც ჩანს, დუშან უჰრინმა "ზესტაფონთან" აქამდე განცდილი წარუმატებლობებისგან შესაბამისი დასკვნები გამოიტანა და მისმა შეგირდებმა მეტოქე უპირობოდ დაჯაბნეს. დინამოელთა ერთადერთი მწარე მოგონება ევროთასებზე განცდილი ფიასკოა, თორემ შიდა ასპარეზით თუ ვიმსჯელებთ, გუნდს უჰრინის ხელი აშკარად დაეტყო. აქვე "ვიტ ჯორჯიას" თავკაცის, ნესტორ მუმლაძის ღვაწლიც აღვნიშნოთ, სტუმრად "ამერის" ძლევა არანაკლებ გამოსარჩევი ფაქტია. უბრალოდ, ტური იყო ასეთი...



დუშან უჰრინი



ვიტ ჯორჯიასთან თამაშის ჩაშლის გამო ამერს 0:3 წაგება ჩაეთვალა

სადისციპლინო კომიტეტის სხდომა

# როგორც ველოდით...

პფლ-ის სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზე გუშინ მოულოდნელი არაფერი მომხდარა. "ამერი"-"ვიტ ჯორჯიას" ჩაშლისთვის მასპინძელი კლუბის წარმომადგენლები დებულებით გათვალისწინებული სანქციებით დაისაჯნენ.

"ამერს" ტექნიკური მარცხი, 0:3 ჩაეთვალა, "ვიტ ჯორჯიას" კი შესაბამისად, 3:0-ით გამარჯვება. "ამერი" 5 000 ლარით დაჯარიმდა, პრეზიდენტი **ზურაბ ფოცხვერია** მსაჯების სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის 300 ლარს გადაიხდის. ამავე დარღვევისთვის კლუბის მთავარი მწვრთნელი **გიორგი ჩიხრაძე** და ადმინისტრატორი **მამუკა კვანტალიანი** ასევე 300-300 ლარით დააჯარიმეს და ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს.

ცხადია, სასჯელებს ვერც "ვიტ ჯორჯიასთან" შეხვედრაში გაძევებული ფეხბურთელები ასცდნენ. "ამერის" მეკარე **ზურაბ ქვაჩახია** სამ თამაშს გამოტოვებს და 400 ლარს გადაიხდის, **გიორგი ელბაქიძეს** კი ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია და 300 ლარიანი ჯარიმა დაეკისრა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

www.kazbegi.com

გახსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა თანხას მიიღებს ფეხბურთის ფედერაცია ტელეკონტრაქტებით?

*პირველი გვერდიდან*

როგორც ხედავთ, საერთო ჯამში ფეხბურთის ფედერაცია 1 700 000 დოლარს მიიღებს. მართალია, ეს წინა ციკლივით სარფიანი ჯგუფი არ გახლავთ, მაგრამ საკმაოდ მისაღები ვარიანტია. ჩვენ გაცილებით უარესი ვარიანტებიც გვახსენდება. მაგალითად, მაშინ, როდესაც საქართველოს მეტოქეები საბერძნეთი, ნორვეგია, სლოვენია, ლატვია და ალბანეთი იყვნენ. ამ ჯგუფიდან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ მხოლოდ 175 000 დოლარი მიიღო.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ახალკაცებს ფინანსური წარმატება ყოველთვის თან სდევდათ. უფროსი ახალკაცის პერიოდში ყველა ჯგუფი მომგებიანი გახლდათ - ჯერ გერმანიასთან მოვხვდით, რომლის თამაშებიც ყველაზე ძვირად ფასობს. მაგალითად, დღეს ბუნდესნაკრები რომ შეგვხვედროდა, მარტო ერთი თამაშით ფედერაცია 2 800 000 დოლარით გამდიდრდებოდა.

მეორე ციკლში უკვე ერთდროულად ინგლისი და იტალია დაგვიპირისპირდა, ასევე სახეირო მეტოქეები. მესამე ციკლში, პრეზიდენტი უილბლო ჟორდანია გახდა, რომლის დროსაც საქართველოს ყოველთვის ჰქონდა სპორტულად დამაიმედებელი, მაგრამ ფინანსურად უინტერესო მეტოქეები. 1998-99 წლების ციკლის მეტოქეები ვახსენეთ (ნორვეგია, საბერძნეთი, სლოვენია, ლატვია, ალბანეთი).

2000-01 შესარჩევი ციკლი კიდევ შედარებით სახეირო აღმოჩნდა. ეს ერთადერთი იღბლიანი კენჭისყრა იყო მერაბ ჟორდანიასთვის (იტალია, ლიტვა, რუმინეთი, უნგრეთი), რადგან ფედერაციაში 760 000 დოლარი შევიდა.

2002-03 შესარჩევიც არ იყო ფინანსურად მიმზიდველი - შვეიცარიასთან, ირლანდიასთან, რუსეთთან და ალბანეთთან მატჩებმა ფედერაციას 235 000 დოლარი შესძინა.

თურქეთმა, საბერძნეთმა, უკრაინამ, დანიამ, ალბანეთმა და ყაზახეთმა 450 ათასი დოლარი მოიტანეს.

აი, ფედერაციის პრეზიდენტი უმცროსი ნოდარ ახალკაცი რომ გახდა, თითქოს ქერის ორმოში ჩავარდა. ახლახანს დასრულებული შესარჩევი ციკლი ჩვენი ფედერაციის არსებობის ისტორიაში ყველაზე წარმატებული აღმოჩნდა. ქვემოთ შემოთავაზებული ცხრილიდან თავად განსაჯეთ.

| მეტოქე | თანხა |
|---|---|
| საფრანგეთი | 750 000 |
| იტალია | 1 600 000 |
| შოტლანდია | 25 000 |
| უკრაინა | 25 000 |
| ლიტვა | 25 000 |
| ფარერები | 25 000 |

ჯამში 2 450 000 დოლარი გამოვიდა. ასე რომ, თავად განსაჯეთ, ჩვენი ახლანდელი ჯგუფი რამდენად საინტერესოა ფინანსურად.

რაც შეეხება თანხებს, ის კონკრეტულ, ოფიციალურ კონტრაქტზე დაყრდნობით გამოვაქვეყნეთ.

ერთიც სათქმელია - ჩვენს მიერ მოპოვებული კონტრაქტი მხოლოდ ოფიციალური ხელშეკრულებაა. როგორც ამბობენ, ის სრულ სურათს ვერ ასახავს, იტალიასთან რეალურად 2 მილიონს მიიღებს ფედერაციაო. თუმცა ამ შემთხვევაში ჩვენ ოფიციალურ დოკუმენტაციას დავეყრდნობით.

**მერაბ მამულაშვილი**



# რატომ არ ათამაშეს ხიზანიშვილი ნაკრებში?

*პირველი გვერდიდან*

ფედერაციისთვის აბსოლუტურად მიუღებელია ზურას ასეთი ხისტი პოზიცია. მე, ისევე როგორც ფედერაციის სხვა ხელმძღვანელებს, პირადად გვსურს მასთან დალაპარაკება. სხვათა შორის, თავადაც თქვა, რომ ფედერაციის ხელმძღვანელობასთან ჩინებული ურთიერთობა აქვს.

რაც შეეხბა ყატარის მატჩის შემდეგ პრეზიდენტ სააკაშვილთან მიუსვლელობას, ეს მისი პირადი გადაწყვეტილებაა. არავის აქვს უფლება, დაუშალოს ან უკარნახოს სად და როდის წავიდეს. არ მესმის, წმინდა სპორტულ საკითხებში პოლიტიკურ მოტივებს რატომ ეძებენ. მას პრეზიდენტობის ნებისმიერი კანდიდატის მხარდამჭერის უფლება გააჩნია, მაგრამ ამის მიხედვით ნაკრები არ კომპლექტდება. დანაშაული იქნება, ფედერაციამ მოთამაშეები პოლიტიკური ნიშნით დაახარისხოს. გულდასაწყვეტია, ასეთი ვერსია რომ გაჩნდა. ეს ბოდვაა.

პრეზიდენტობის კანდიდატმა დავით გამყრელიძემ თავს უფლება მისცა ფეხბურთის ფედერაციის არჩევნები შეეფასებინა და თქვა, ნოდარ ახალკაცს ხელს არასდროს ჩამოვართმევო. ძალიან მინდა, გამყრელიძეს ვუთხრა, მასთან შეხვედრის და ხელის ჩამორთმევის დიდი სურვილით არც ნოდარი იწვის.

**- ისევ ფეხბურთზე და მწვრთნელისა და ფეხბურთელის ურთიერთობაზე ვთქვათ. მართალია, თითქოს ხიზანიშვილმა და ტოპმიოლერმა ლიტვის შემდეგ გერმანიამდე ერთად იმგზავრეს?**

- დიახ, ერთად გაფრინდნენ.

***ამის შემდეგ ზურაბ ხიზანიშვილს დავუკავშირდით.***

**- ზურა, როგორც შევიტყვეთ, ლიტვასთან მატჩამდე ნაკრების წევრებთან ერთად პრეზიდენტ სააკაშვილთან შეხვედრაზე არ წახვედი.**

- დიახ, არ ვყოფილვარ.

**- რა იყო მიზეზი? წინა დღეს დის ნიშნობა რომ გქონდა, გადაღლილი არ წახვედი თუ უბრალოდ, მასთან შეხვედრა არ გსურდა?**

- დის ნიშნობა კი მქონდა, მაგრამ მიზეზი ეს არაა. რა მაქვს დასამალი, ჩემი მეუღლე დავით გამყრელიძის დის შვილია, უახლოესი ნათესავია. ოჯახის წინააღმდეგ კი არასდროს წავსულვარ და არც არასდროს წავალ. გამყრელიძე პრეზიდენტობის კანდიდატია და რა მორალით უნდა მივსულიყავი სხვა კანდიდატის მხარდასაჭერ ღონისძიებაზე?

სხვათა შორის, მაშინ ნაკრების მოთამაშეები სააკაშვილის მხარდასაჭერ სარეკლამო სურათებში უნდა გადაეღოთ. მე კი ამაზე უარი ვთქვი და შეხვედრაზე არ წავედი.

**- ლიტვასთან მართლა ამის გამო არ გათამაშეს?**

- ეს უკვე აღარ ვიცი და ვერც დავამტკიცებ. ფაქტია, რომ სააკაშვილის მხარდასაჭერი აქციის ნაცვლად, დავით გამყრელიძის სარეკლამო კლიპში გადასაღებად წავედი. მე მხარს გამყრელიძეს დავუჭერ და ამის დამალვას არ ვცდილობ.

**მერაბ მამულაშვილი**



ზურაბ ხიზანიშვილი



# მკაცრი და ვნებიანი

„დინამო თბილისი" შემოდგომის ჩემპიონია - ამ გუნდს ჰყავს ბარაქიანი კონტინგენტი, ბარაქიანი პატრონი და აქვს კიდევ ერთი დიდი უპირატესობა კონკურენტებთან - საწვრთნელი ბაზა.

მმართველობა კი „დინამოს" ბრაზიანი ჰყავს. „ლელოს" ბოიკოტი გამოგვიცხადა, თქვენს გაზეთთან საქმეს აღარ დავიჭერთო.

„დინამოს" მმართველობას ალბათ იმათთან ურჩევნია საქმის დაჭერა, ვინც თვალს დახუჭავს რაღაც-რაღაცეებზე, ვისაც ჟურნალისტობაც უნდა და კაიტიპობაც.

„დინამო" მაინც „დინამოა" თავისი რეგალიებით, ტიტულებით, წარსულით, თავისი ზარითა და სილამაზით. „დინამოს" აქვს უნარი, გაუძლოს ბევრ უუნარო ადამიანს და მაინც პირველი იყოს.

თბილისის „ამერი" კი არ ეძებს არც სატელიტ გუნდებს და არც სატელიტ ჟურნალისტებს, მაგრამ „ამერს" არ აღმოაჩნდა რკინის ნერვები - ვერ შეეგუა იმას, რომ „დინამოს" და „ზესტაფონის" შემდეგ კიდევ ერთ პრინციპულ მეტოქესთან, „ვიტ ჯორჯიასთან" დაუცდა ფეხი, ვერ შეეგუა პენალტით გაშვებულ გოლს, ორ გაძევებულ ფეხბურთელს და კლუბის პრეზიდენტის მითითებით მოედანი დატოვა.

„ამერის" პრეზიდენტმა ზურაბ ფოცხვერიამ გვითხრა, ეს არ იყო ცხელ გულზე მიღებული გადაწყვეტილებაო. მაშ, რა იყო?...

ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, რომ სიმართლე ბოლომდე არ ითქვა. საქართველოში სკანდალები რომ ხდება, სიმართლეს ბოლომდე არავინ ამბობს, რადგან თვითონ ქვეყანა არ ცხოვრობს სინამდვილეში.

სადაც გვჯერა ასდოლარიანი პენსიის, დასაქმების პროგრამის და იმის, რომ პატრიოტთა ბანაკებში მოზარდებმა ერთმანეთი ბუჩქებში უნდა დაუღვლიმონ, ისიც უნდა ვირწმუნოთ, რომ ფოცხვერიამ „ამერს" მოედანი იმიტომ დაატოვებინა, რომ მხოლოდ „ვიტ ჯორჯიასთან" მატჩში მომხდარით დარჩა გულმოსული.

მოედნის დატოვება არ ხდება ერთი წამის, ერთი ეპიზოდის ემოციით - ეს დაგროვილი ემოციაა და თუ თქმას არათქმა სჯობს, ნახევარსიმართლის იქით ვერ წახვალ.

გასულ კვირაში უეფამ ყბად იღო ევროტურნირების გარიგებული მატჩები. ეჭვია ქართული გუნდების თუ გუნდის მონაწილეობაზეც ამ სიდამპლეში. ისლა დაგვრჩენია, დაველოდოთ, ეჭვი და ვარაუდი სადამდე მიგვიყვანს - ჯერ ხომ ვერც ერთ გუნდს ვერ დავადებთ თითს.

ეჭვი და ვარაუდები გამოითქვა იმის გამო, თუ რატომ არ დააყენა კლაუს ტოპმიოლერმა ზურაბ ხიზანიშვილი ლიტვასთან სასტარტოში. ერთი ვერსია ასეთია - ტოპმიოლერს ნაცმოძრაობამ სთხოვა ხიზანიშვილის სათადარიგოში გამწესება, რადგან ზურას მეუღლე მემარჯვენეთა ლიდერის, დავით გამყრელიძის დისშვილია.

ერთი შეხედვით, ეს დიდი სისულელეა, მაგრამ არანაკლები იმაზე, თუ რატომ სურთ ტოპისთან კონტრაქტის გაგრძელება - ეს ერთი ადამიანის ხუშტურია.

ამ აურზაურში სუპერთასი მოახლოვდა. თამაში გორშია. როცა „დილას" კარგი უნდი ჰყავდა, გორის სტადიონი სტალინივით მკაცრი და ნინა წკრიალაშვილივით ვნებიანი იყო. ეს სუპერთასიც ალბათ არ იქნება ჩვეულებრივი. „ოლიმპი" ბოლო მატჩებში მოლონიერდა. პირველ წრეში „დინამოსთან", „ვიტ ჯორჯიასთან" და „ზესტაფონთან" ხელმოცარული "ამერი" კი სუპერთასით თუ დაიბრუნებს საკუთარი თავის რწმენას.

**დავით თავართქილაძე**





# მუჯირი მსოფლიო ჩემპიონატზე

მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატში ორი ქართველი ფეხბურთელი მონაწილეობს - „მილანის" მცველი **კახა კალაძე** და აზიის ჩემპიონთა თასის ფინალისტ ისპაჰანის „სეფაჰანის" მცველი **ჯაბა მუჯირი.** გუშინ ტოკიოში გახსნის მატჩში ირანული კლუბი ზელანდიურ „ვაიტაკერე იუნაიტედს" შეხვდა და 3:1 მოუგო. ამ შეხვედრაში სასტარტო შემადგენლობაში იყო და 90 წუთი ითამაშა ქართველმა მცველმა. ირანელებმა თავბრუ დაახვიეს ზელანდიელებს და უკვე მე-4 წუთზე **ემად მოჰამედის** დუბლის წყალობით 2:0-ს იგებდნენ. მეორე ტაიმში **აბდულ ალ ჰაილმა** 3:0 გახადა, თუმცაზელანდიურმა გუნდმა მაინც შეძლო პრესტიჟის გოლის გატანა. უფრო ზუსტად ირანელმა **ჰადი ალილიმ** საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი. „სეფაჰანის" მწვრთნელმა **ლუკა ბონაჩიჩმა** მატჩის შემდეგ განაცხადა: „მატჩის ფავორიტები კი ვიყავით, მაგრამ ვიცოდით, რომ იოლი გასეირნება არ გველოდა. გვაკლდა რამდენიმე წამყვანი მოთამაშე, რაც პრობლემას გვიქმნიდა. პირველივე წუთებზე ორი გოლი გავიტანეთ და ყველაფერი ჩვენთვის კარგად აეწყო. ახლა ჩვენ „ურავას" დავუპირისპირდებით, რომელმაც აზიის ჩემპიონთა თასის ფინალში მოგვიგო. ძალიან კარგი, რევანშის დროა".

ჯაბა მუჯირი 27 წლის მცველია, საქართველოში ის „ვიტ ჯორჯიას" ღირსებას იცავდა. 2004 წლიდან კი ირანის ერთ-ერთ მოწინავე კლუბშია. ზედიზედ ორი სეზონია ის ირანის თასის მფლობელი ხდება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge



გიორგი ჩიხრაძე, პაატა ბურჯალიანი და ანატოლი პისკოვეცი

სუპერთასი. პრესკონფერენცია

# ხვალ გორში, ფოლკსვაგენით...

**გუშინ პროფესიული ფეხბურთის ლიგაში სუპერთასის მონაწილე გუნდების მწვრთნელები მედიის წარმომადგენლებს შეხვდნენ.**

**პირველი სიტყვა პროფლიგის გენერალურმა მდივანმა პაატა ბურჯალიანმა აიღო:**

**- გამარჯვებული გუნდი პროფლიგისგან პრემიას მიიღებს 10 ათას ლარს. ამას გარდა ახლახან დამზადებულ სუპერთასსაც.**

**გეტყვით იმასაც, რომ დისკვალიფიცირებული ფეხბურთელები სუპერთასს არ გამოტოვებენ. თუმცა სუპერთასზე მიღებული ყვითელი ან წითელი ბარათი მომდევნო მატჩებზეც იმოქმედებს.**

**ბურჯალიანმა ამით დაასრულა და მწვრთნელებს გადასცა.**

## გიორგი ჩიხრაძე (ამერი)

- ბუნებრივია, ეს თამაში ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია. ცოტა ხნის წინათ გარკვეული პრობლემები გვქონდა, "ვიტ ჯორჯიასთან" მატჩს ვგულისხმობ, თუმცა ყველანაირად ვეცდებით ამან ზეგინდელ მატჩზე არ იმოქმედოს. ის ჩემპიონატის თამაში იყო, ეს სუპერთასია და მაქსიმალურად შევეცდებით სანახაობრივი თამაში ვაჩვენოთ და მოვიგოთ...

- სამწუხაროდ არაერთი ფეხბურთელი გვაკლია. ტრავმების გამო 6 მოთამაშე ვერ დაგვეხმარება. ესენია: ჩიმაკაძე, წინამძღვრიშვილი, მჭედლიშვილი, ხვადაგიანი, დავითაშვილი და დობროვოლსკი...

- მატჩამდე ორივე გუნდს თანაბარი შანსი აქვს.

## ანატოლი პისკოვეცი (ოლიმპი)

- სუპერთასი პრესტიჟული ტიტულია და მის მოსაპოვებლად ბოლომდე ვიბრძოლებთ. თუკი მოვიგეთ, ეს ჩემთვის პირველი ქართული ტიტული იქნება. ქართულ ფეხბურთს მდიდარი ტრადიცია აქვს და ეს ჩვენს პასუხიმგებლობას კიდევ უფრო აძლიერებს. ჩვენთვის მთავარია კვირას სტადიონზე შეკრებილმა ქომაგმა კარგი სანახაობა იხილოს...

- გუნდში ყველა ჯანმრთელადაა, არავინ დაგვაკლდება.

**დაბოლოს, კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ სუპერთასზე დასწრება თავისუფალია.**

**დავით ცაგაძე**

საქართველოს თასი. წილისყრა

# მეოთხედფინალი პრინციპული წყვილით

გუშინ ფეხბურთის პროფესიული ლიგის ოფისში დავით ყიფიანის თასის მეოთხედფინალის წილისყრა გაიმართა.

"მეოთხედფინალის ყველა მონაწილეს გავუგზავნეთ წერილი მსაჯების დანიშვნის პრინციპთან დაკავშირებით და მათგან პასუხებიც მივიღეთ. 4 გუნდი თანახმაა, რომ თითო წყვილის ორივე მატჩს ერთი და იგივე მსაჯთა ბრიგადა მოემსახუროს. "ამერმა" პასუხად გვაცნობა, რომ ენდობა და ეთანხმება პროფლიგის გადაწყვეტილებას. შესაბამისად, ხმათა უმრავლესობით გადაწყდა, რომ წყვილის მატჩებს მსაჯთა ერთი ბრიგადა მოემსახუროს და ასე იქნება ნახევარფინალურ შეხვედრებშიც. წყვილებში მსაჯი იმ შემთხვევაში შეიცვლება თუ პირველ მატჩში დაბალ შეფასებას მიიღებს ან ავად იქნება ან სხვა რაიმე ობიექტური მიზეზი ექნება", - **ნოდარ კაკულიას** ამ სიტყვას უკვე წილისყრა მოჰყვა.

| გუნდები ასე დაწყვილდნენ |
|---|
| ოლიმპი-ზესტაფონი |
| სპარტაკი-დინამო |
| მაღაროელი-ამერი |
| დილა-ბორჯომი |

როგორც ხედავთ, ყველაზე საინტერესო "ოლიმპისა" და "ზესტაფონის" დაპირისპირება იქნება. ზესტაფონელები სამ ფინალში მარცხის შემდეგ, ამ სეზონში შეეცდებიან ნავსის გატეხვას, რუსთაველებს კი ჩემპიონატში საქმეები არცთუ სახარბიელოდ მისდით და ევროთასებზე მხოლოდ თასიდან თუ გაალწევენ. დანარჩენ წყვილებში კი ფავორიტები აშკარადაა გამოკვეთილი.

პირველი მატჩები პირველად დასახელებული გუნდების მოედანზე გაიმართება მომავალი წლის 17 თებერვალს, განმეორებითი შეხვედრების ჩატარების თარიღიც მალე დადგინდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# სუპერთასმა გორი წაახალისა

რეგიონებში ფეხბურთის წინსვლას რომ საერთოდ ქართული ფეხბურთის განვითარების გზაზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი ეკისრება, ვფიქრობთ სადავო არავისთვისაა. არც ის უნდა გაუკვირდეს ვინმეს, თუ ვიტყვით, რომ ჩვენი ქვეყნის რეგიონებში ფეხბურთი დღესდღეობით ვერაა სახარბიელო მდგომარეობაში. საქართველოსთვის ამის დამადასტურებელ მაგალითად შესაძლოა მხოლოდ ქუთაისის „ტორპედოს", ბათუმის „დინამოსა" და ფოთის „კოლხეთის" ირგვლივ შექმნილმა სავალალო ვითარებამ იკმაროს.

თუმცა ამ წერილში ჩვენ შიდა ქართლის შესახებ ვისაუბრებთ, კერძოდ კი გორში საქართველოს სუპერთასის მატჩის გამართვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების დადებით მხარეზე.

ფეხბურთის ფედერაციის ინიციატივა „ფოლკსვაგენის თასის" რეგიონში გამართვის თაობაზე მისასალმებელია. მართალია შიდა ქართლში მაინც და მაინც მისასალმებლად არა აქვს საქმე ფეხბურთს, მაგრამ, როცა შეხვედრის მასპინძლად გორი შეარჩიეს, ადგილობრივ გულშემატკივრებს ქუდები ჭერში არ უსვრიათ, მაგრამ მაინც დიდად გაიხარეს.



ამერი შარშანდელი წარმატების გამეორებას ხვალ გორშიც შეეცდება

სუპერთასის გორში ჩატარება ყველაზე მნიშვნელოვანი, ალბათ, თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონის ხელმძღვანელთათვისაა. ამ არენაზე, მისი კეთილმოწყობის დაწყებიდან, ანუ თებერვლის შემდგომ უამრავი საქმე გაკეთდა. ბევრი რამ დღესაც მოსაწესრიგებელია, მაგრამ სტადიონის შეფებისთვის სუპერთასის მატჩის გამართვის უფლების მიცემა ფედერაციის მხრიდან გამოცდასთან ერთად სერიოზული სტიმულია მუშაობის მეტი მონდომებით გასაგრძელებლად. თებერვლიდან დღემდე სტადიონზე სრულად დამონტაჟდა ინდივიდუალური სკამები. ის ადგილები, სადაც ინდივიდუალური სავარძლები დღემდე არ დამონტაჟებულა და ძველ ტრიბუნათა ბეტონის საფეხურები ისევ შემორჩენილია, უწინდელ ფუნქციას ალარ შეასრულებენ. ისინი სავარაუდოდ რეკონსტრუქციას ან ლიკვიდაციას დაექვემდებარებიან.

პირველი გამოცდა „თენგიზ ბურჯანაძემ" ჩემპიონატსა და თასზე გორის „დილისა" და ცხინვალის „სპარტაკის" საშინაო შეხვედრებზე ჩააბარა. „ფოლკსვაგენის" თასი გაცილებით სერიოზული გამოცდაა და რაც მთავარია, სწორი მუშაობის შემთხვევაში არის იმის იმედი, რომ ფეხბურთის ფედერაციამ არენა სამომავლოდ ქვეყნის ასაკობრივი ნაკრებების შეხვედრების გასამართად შეარჩიოს. სტადიონის ხელმძღვანელობისგან ისიც ირკვევა, რომ თუ სფფ-მ სამომავლოდ ეროვნული ჩემპიონატის მატჩების ლამის საათებში გამართვა გადაწყვიტა, სიახლეს გორის მთავარი არენის მესვეურნიც აუცილებლად დროულად აუბამენ მხარს.

არანაკლები სტიმული სუპერთასის გორში გამართვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებით ფეხბურთის ადგილობრივ გულშემატკივარსაც მიეცა. ფეხბურთი გორში ძალიან უყვართ და მართალია, ქვეყნის ჩემპიონატის შეხვედრებზე სტადიონზე მაყურებელთა დიდი ოდენობით დასწრება არ აღირიცხება, მაგრამ ამასაც აქვს თავის ობიექტური მიზეზები. პირველ ყოვლისა ჩვენი ჩემპიონატის დაბალი დონის გამო - მაყურებლისთვის თამაშები მეტწილად ვერაა „საამო საცქერი". გორელებს უმაღლესი ლიგის თამაშებით ვერ გააკვირვებ, ვინაიდან მისი ერთ-ერთი ყველაზე სტაჟიანი წევრები არიან და როდესაც მათი სათაყვანებელი გუნდი ბედის უკუღმართობით უკვე რამდენიმე წელია ცხრილის ფსკერზე დალექილა, ქართლელ ქომაგს თავმოყვარეობა კარნახობს, ხშირად შეიკავოს თავი სტადიონზე სიარულისგან. თუმცა ვერავინ იტყვის, თითქოს მათ „დილა" ნაგებული მატჩის შემდეგ (თუნდაც ყველაზე უსახური მატჩებისას) სტვენით გაეცილებინა მოედნიდან.

„თენგიზ ბურჯანაძის" არენაზე გამართული ესა თუ ის მატჩი, ფეხბურთში მოღვაწე ადამიანების ერთგვარი შემკრების დატვირთვასაც იძენს. გორში როგორც ბავშვთა, ისე დიდ ფეხბურთში დასაქმებულ ხალხს აღნიშნული თამაშების მეოხებით ყოველკვირეული ურთიერთობა მაინც აქვთ, ერთმანეთთან და გარდა ამისა იმავდროულად ეძლევათ ურთიერთობის საშუალება ქვეყნის სხვადასხვა ქალაქის საფეხბურთო მესვეურებთან, რამაც სხვა მიზეზებთან ერთად ერთმნიშვნელოვნად იმოქმედა იმაზე, რომ სერიოზული კრიზისის პერიოდშიც შიდა ქართლის მთავარი ქალაქი ბედს არ მიენდო და თითქმის სიკვდილისთვის განწირული ფეხბურთი, იმ სახით მაინც შეინარჩუნა, როგორც დღესდღეობითაა.

ვფიქრობთ, საქართველოს ნებისმიერ რეგიონს, ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი ქართლს ქართული ფეხბურთის მამებმა მომავალშიც ნათლად უნდა აგრძნობინონ, რომ რიგი პროექტების, გარკვეული სახის პროგრამებით გათვალისწინებული ღონისძიებების და ა.შ. განხორციელება მხოლოდ დედაქალაქისთვის არ არსებობს.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGA CARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
უწყვეტი მომსახურება
ტექნიკური მხარდაჭერა
გარანტირებული ხარისხი
გადაიხადე სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge



www.kazbegi.com
გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენს კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge

სუპერთასის ისტორია

# მივბაძოთ... ევროპელებს

საქართველოში სუპერთასის გათამაშების ინიციატორი გაზეთი „რეზონანსი" იყო. 11 წლის წინ ჩვენი კოლეგების იდეას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამაც მხარი დაუჭირა და ამ წამოწყებას ყველა დიდი ინტერესით შეხვდა. ახალი არაფერი გამოგვიგონებია - სუპერთასისთვის ქვეყნის ჩემპიონი და თასის მფლობელი იბრძოდნენ. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პირველი სამი გათამაშება იდეალურ დროს ტარდებოდა: სუპერთასის მატჩით, ფაქტობრივად, ახალი სეზონი იწყებოდა. მერე, ამ თამაშებისადმი ინტერესი მინელდა კი არა, საერთოდ გაქრა ჩვენი საფეხბურთო კალენდრიდან. თუმცა საქართველოს პროფესიული ლიგის მესვეურებმა 2005 წელს სუპერთასის გათამაშება „დაგვიბრუნეს" და ამისათვის მადლობის მეტი რა ეთქმით. ერთადერთი საკამათო მატჩის თარიღი გახლდათ, მაგრამ სეზონი ახალი დაწყებული იყო (თვე-თვენახევრის) და „კრიტიკოსებიც" მალე გაჩუმდნენ. შარშანდელიდან მოყოლებული კი სუპერთასს სერიოზული სპონსორი გამოუჩნდა - საქართველოს პროფესიულ ლიგას „ფოლკსვაგენი" ამოუდგა მხარში სოლიდური საპრიზო ფონდით. თუმცა, აქაც საკამათო იყო მატჩის ჩატარების დრო, მაგრამ დეკემბრის სუსხის მიუხედავად „სიონისა" და „ამერის" მატჩზე 4 000-მდე ქომაგი მაინც მივიდა.

და აი, წლევანდელი „ფოლკსვაგენის სუპერთასის" გათამაშების დროც დადგა. პირველად ამ გათამაშების ისტორიაში, შეხვედრას გორმა უნდა უმასპინძლოს. უცნაური, რაღა თქმა უნდა, მატჩის დაწყების დროა (13 საათი), ისევე როგორც თარიღი (9 დეკემბერი). ანუ, ფაქტობრივად, ზედიზედ მეორე წელია სუპერთასს პირველი წრის დასრულების მერე ვათამაშებთ. შესაძლოა, ვცდებით, მაგრამ ვერაფრით გაგვიხსენებია მსგავსი რამ რომელიმე საფეხბურთო ქვეყანაში ხდებოდეს. ანუ, თითქმის ყველგან სუპერთასის მატჩები ზაფხულში, ახალი სეზონის დაწყების წინ ტარდება (ზოგან ორ-ორი შეხვედრებიც არის: შინ და გარეთ). დიახ, ასეა ინგლისში და ესპანეთში, საფრანგეთში და იტალიაში, ჰოლანდიაში და ბელგიაში. გასაგებია, რომ ჩვენს მოქმედ ჩემპიონს („ოლიმპს") და თასის მფლობელს („ამერს") ზაფხულში ევროტურნირების მატჩები ჰქონდათ; ნურც სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრებების ინტერესებს დავივიწყებთ; და მაინც: რატომღაც გვგონია, რომ შესაძლებელი იყო რაიმე „ფანჯრის" მოძებნა და წლევანდელი სუპერთასის ივლისში ან აგვისტოში ჩატარება. თანაც, წარმოიდგინეთ - მატჩი რომ ჩვენს უმთავრეს არენაზე (ეროვნულ სტადიონზე) პროჟექტორების შუქზე ჩატარებულიყო, უდავოდ, დიდ ინტერესს გამოიწვევდა და ეფექტიც მეტი ექნებოდა...

იმედია, საქართველოს პროფესიული ლიგის ხელმძღვანელები ჩვენს კეთილ სურვილებს მიზანმიმართულ კრიტიკად არ მიიღებენ; თორემ ამ ბოლო დროს ხომ „მოდაში შემოვიდა" განსხვავებული აზრის გაქილიკება და უარესიც - მტრის ხატის შექმნა. თანაც, ჩვენი ფედერაციის ზოგიერთ მაღალჩინოსანს სურს, რომ საქართველოს ყველა ასაკობრივ ნაკრებზე, მათ უცხოელ მწვრთნელებზე და საერთოდ, ქართულ ფეხბურთზე... მხოლოდ აღმატებულ ხარისხში იწერებოდეს. თუმცა, ეს სულ სხვა თემაა და საბედნიეროდ, არც ჩვენ პროფლიგას ეხება და არც იმ ლამაზ გათამაშებას, რომელსაც ამიერიდან „ფოლკსვაგენის სუპერთასი" ჰქვია.

**I გათამაშება**

**დინამო-ბათუმი 4:0**

28.07.1996. ბათუმი. ცენტრალური. 7 000 მაყურებელი

**1:0 ა. იაშვილი (23), 2:0, 3:0 ყიზილაშვილი (52, 54), 4:0 ცქიტიშვილი (78)**

დინამო: **ზოიძე - კალაძე, ლობჟანიძე (75. დიდავა), კუდინოვი, კობიაშვილი - ცქიტიშვილი, კიკნაძე, ანჩაბაძე (72. ინალიშვილი), კერძევაძე - ყიზილაშვილი, ა. იაშვილი (71. ხომერიკი)**

*მწვრთნელი:* ***ნოდარ აკობია***

ბათუმი: **ტოგონიძე - შანიძე (71. ი. მახარაძე), მ. მახარაძე, შეყილაძე, მინდაძე - ღლონტი თორღაშვილი, ტულუში, ა. მუჯირი - უჯმაჯურიძე, დ. მახარაძე (54. ტრაპაიძე)**

*მწვრთნელი:* ***შოთა ჭეიშვილი***

გაფრთხილება: **კიკნაძე**

არბიტრი: **ე. სილაგავა (თბილისი)**

სუპერთასის პირველი გათამაშება იმითაც იყო საინტერესო, რომ ფიფამ ერთგვარი ექსპერიმენტი ჩაატარა: მატჩის დაწყებამდე... პენალტების სერია ვიხილეთ! ამ ექსპერიმენტის არსი ის გახლდათ, რომ თუ შეხვედრის ძირითადი დრო ფრედ დასრულდებოდა, დამატებითი დრო აღარ დაინიშნებოდა და სუპერთასიც იმ გუნდს დარჩებოდა, რომელიც მატჩამდე პენალტების სერიაში გაიმარჯვებდა. მართალია, ბათუმელებმა პენალტების სერიაში იმარჯვეს, მაგრამ ძირითად დროში თბილისელებმა მეტოქე ყველა კომპონენტში დაჩაგრეს და საპატიო პრიზთან ერთად ფულადი ჯილდოც ერგოთ. გაზეთ „რეზონანსს" კი იმ დროისთვის ერთობ სოლიდური საპრიზო ფონდი (5 000 ლარი) ჰქონდა წესებული...



2006 წლის 1 დეკემბერი. სუპერთასი. ამერი-სიონი 1:0. გივი დიდავა (27) სუპერთასის ოთხგზის გამარჯვებული და რეკორდსმენია

**II გათამაშება**

**დინამო-ბათუმი 4:1**

4.08.1997. ქუთაისი. ცენტრალური. 6 000 მაყურებელი

**1:0 დ. მუჯირი (20), 2:0 გოგიჩაიშვილი (27, პენალტით), 3:0 კალაძე (55), 3:1 აფხაზავა (75, პენალტით), 4:1 ალექსიძე (85)**

დინამო: **ზოიძე - კალაძე, ზ. ჯელაძე (46. გუჩუა), დიდავა, ლობჟანიძე - გოგიჩაიშვილი (64. ალექსიძე), კიკნაძე, ცქიტიშვილი (46. გოგობერიშვილი), ჩხაიძე (88. დავითნიძე) - დ. მუჯირი (58. ხომერიკი), ა. იაშვილი (87. გ. კვარაცხელია)**

*მწვრთნელი:* ***დავით ყიფიანი***

ბათუმი: **ტოგონიძე - ი. მახარაძე (40. ფუტკარაძე), ასპინძელაშვილი, ჭიჭვეიშვილი, მინდაძე - ღლონტი, სიჭინავა, კანტიძე, სოლოლაშვილი - მაქაცარია (46. აფხაზავა), ჩუხუა (46. ყულეჯიშვილი)**

*მწვრთნელი:* ***შოთა ჭეიშვილი***

გაფრთხილება: **მუჯირი, ჩუხუა, სოლოლაშვილი**

გაძევება: **სოლოლაშვილი**

არბიტრი: **პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)**

სუპერთასის მეორე გათამაშებას ამჯერად ქუთაისმა უმასპინძლა და პირველის მსგავსად, მოქმედ ჩემპიონს არ გასჭირვებია თასის ფინალისტის დამარცხება. ეს გათამაშებაც „რეზონანსის" მეოხებით ჩატარდა და საპრიზო ფონდიც იგივე იყო: გამარჯვებულ გუნდს 3 500 ლარი გადაეცა, დამარცხებულს - 1 500. სპეციალური პრიზები ერგოთ ცალკეულ ფეხბურთელებს: **დავით მუჯირს, გივი დიდავას** და **შალვა აფხაზავას.** მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად კი თბილისის „დინამოს" მარცხენაფლანგელი **გია ჩხაიძე** დასახელდა, ვისაც სამახსოვრო საათი და ფულადი ჯილდო (1 000 დოლარი) ერგო.

**III გათამაშება**

**დინამო-ბათუმი 1:2**

2.08.1998 ბათუმი. ცენტრალური. 5 000 მაყურებელი

**0:1 მაჭუტაძე (38), 1:1 ცქიტიშვილი (79), 1:2 ტულუში (81)**

დინამო: **სოლოლაშვილი - ი. მახარაძე, გ. კვარაცხელია (62. სახვაძე), გუჩუა, კობიაშვილი - ცქიტიშვილი, კიკნაძე, დ. მუჯირი (66. მელქაძე), ალექსიძე - ხომერიკი (68. გ. შენგელია), აშვეთია**

*მწვრთნელი:* ***მურთაზ ხურცილავა***

ბათუმი: **ტოგონიძე - გოგიტაძე, მ. მახარაძე, ჭიჭვეიშვილი, მინდაძე (44. აფხაზავა) - სიჭინავა, ვერემჩუკი, კანტიძე (71. მაქაცარია), ტულუში - გადელია (31. ღლონტი), მაჭუტაძე**

*მწვრთნელი:* ***შოთა ჭეიშვილი***

გაფრთხილება: **კანტიძე, გუჩუა**

არბიტრი: თ. ლაცაბიძე (სურამი)

1998 წელს ბათუმის „დინამომ", ბოლოს და ბოლოს, შეძლო და საქართველოს თასის ფინალში მუდმივ მეტოქეს (თბილისის „დინამოს") დრამატულ ბრძოლაში აჯობა. ალბათ, ბევრს ახსოვს ის მატჩი, როცა 120-ე (!) წუთზე **დავით ჭიჭვეიშვილის** ზუსტმა დარტყმამ ბათუმელებს სანუკვარი თასი მოუტანა. ორიოდ თვეში კი ბათუმის „დინამომ" თავის უცვლელ მეტოქეს სუპერთასზეც მოუგო! შეხვედრა დაძაბულად წარიმართა და ორივე გუნდის კართან არაერთი მომენტი შეიქმნა. მატჩის მშვენებად კი **ლევან ცქიტიშვილისა** და **თემურ ტულუშის**, მართლაც, ერთიმეორეზე ლამაზი გოლები იყო.

სხვათა შორის, სუპერთასის მესამე გათამაშება ამჯერად საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ეგიდით ჩატარდა - გარკვეული მიზეზების გამო „რეზონანსმა" თავის წამოწყებაზე უარი თქვა.

**IV გათამაშება**

**დინამო-ტორპედო 1:0**

29.02.2000. თბილისი. ეროვნული სტადიონი. 1 500 მაყურებელი

**1:0 ნიტაიშვილი(16)**

დინამო: **გრიშიკაშვილი - შაშიაშვილი, ვაშაკიძე, დიდავა, ქემოკლიძე - ჯინჭარაძე, გუჩუა, სიჭინავა, სახვაძე (89. რუხაძე) - დათვაძე (80. ანჩაბაძე), ნიტაიშვილი (90. ხუციშვილი)**

*მწვრთნელი:* ***ოთარ კორღალიძე***

ტორპედო: **გრ. ჭანტურია - ამისულაშვილი, მახვილაძე (23. ასათიანი), ხვადაგიანი, მაღლაკელიძე (76. ბობოხიძე) - ახვლედიანი, კვეტენაძე, კ. ჩხეტიანი, იონანიძე - იმედაძე (65. დ. ჯანაშია), გ. მეგრელაძე**

*მწვრთნელი:* ***დავით ყიფიანი***

გაფრთხილება: **გუჩუა, სახვაძე, ვაშაკიძე**

არბიტრი: **კ. მესხი (ზუგდიდი)**

1999 წელს, მიზეზთა გამო, სუპერთასი არ გათამაშებულა; თუმცა მომდევნო წელს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ეს მატჩი ერთობ „ორიგინალურ" დღეს- 29 თებერვალს დანიშნა! პირველად მოხდა, რომ სუპერთასის გათამაშებას თბილისმა უმასპინძლა; ასევე პირველად მოხდა, რომ თბილისელთა მეტოქე ბათუმის „დინამო" არ იყო...

...სუსხიანი ამინდის მიუხედავად საინტერესო ორთაბრძოლა ვიხილეთ. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მატჩის ფავორიტად უმრავლესობა „ტორპედოს" მიიჩნევდა - ქუთაისელების შემადგენლობა მეტოქესთან შედარებით აშკარად შთამბეჭდავად გამოიყურებოდა. თუმცა, „დინამოს" მთელი შეხვედრის განმავლობაში სოლიდური უპირატესობა ჰქონდა და **კლიმენტი ნიტაიშვილის** ლამაზი გოლი ლოგიკურადაც ჩანდა. თბილისის „დინამომ" ფულად ჯილდოსთან (5 000 ლარი) ერთად სუპერთასი სამუდამო მფლობელობაშიც დაისაკუთრა. დაბოლოს, ერთ ფეხბურთელზეც - სტუმართა გუნდში საუკეთესო, იმ დროისთვის ყველასათვის უცნობი 18 წლის **მალხაზ ასათიანი** იყო.

**V გათამაშება**

**დინამო-ლოკომოტივი 1:0**

14.09.2005. ბათუმი. ცენტრალური. 3 000 მაყურებელი

**1:0 ბობოხიძე (69)**

დინამო: **სტურუა - კ. ალადაშვილი, ქემოკლიძე, ამისულაშვილი, აკობია - ოდიკაძე, ლ. ნოზაძე, გ. მერებაშვილი, ბაბუნაშვილი (88. ნავალოვსკი) - მელქაძე (59. ს. იაშვილი), ბობოხიძე (83. გიგაური).**

*მწვრთნელი:* ***კახა ცხადაძე***

ლოკომოტივი: **გრ. ჭანტურია - საჯაია, გ. ონიანი (75. ფოფხაძე), მახვილაძე, რ. ონიანი - სეთურიძე, ქებაძე, ინომოვი (79. ა. ნოზაძე), სირაძე - რამონი (55. ალავერდაშვილი), კახელიშვილი**

*მწვრთნელი:* ***ნოდარ აკობია***

გაფრთხილება: **ალადაშვილი, გ. ონიანი, ა. ნოზაძე**

გაძევება: **იაშვილი, რ. ონიანი**

არბიტრი: **ლ. ფანიაშვილი (თბილისი)**

ხუთწლიანი შესვენების შემდეგ სუპერთასის გათამაშება კვლავ ალგა - ამჯერად საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის ინიციატივითა და თაოსნობით. სამწუხაროდ, სუპერთასის გათამაშების ისტორიაში პირველად მოხდა, რომ არ იყო დაწესებული საპრიზო ფონდი...

...მატჩი დაძაბული გამოდგა და გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, თუმცა „დინამომ" კლასით აჯობა მეტოქეს. ეფექტური გამოდგა ერთადერთი გოლიც, როცა **მიხეილ ბობოხიძეს** ჩინებული ასისტენტობა გაუწიეს **დავით ოდიკაძემ** და **სანდრო იაშვილმა.** ორი შანსი ჰქონდა „ლოკომოტივსაც", მაგრამ **ზვიად სტურუამ** ჯერ **გიორგი კახელიშვილის** დარტყმა მოიგერია, მერე კი - **დავით სირაძის.** ეს უკანასკნელი იმ დროის „ლოკომოტივის" უდავო ლიდერი იყო, მაგრამ მატჩის გმირი, ყველასათვის მოულოდნელად, მისი პერსონალური მეურვე **გიორგი მერებაშვილი** გახდა. ყველასათვის უცნობმა 19 წლის ნახევარმცველმა სადებიუტო შეხვედრა, მართლაც, შთამბეჭდავად ჩაატარა!..

**VI გათამაშება**

**ამერი-სიონი 1:0**

1.12.2006. თბილისი. მიხეილ მესხი. 4 000 მაყურებელი

**1:0 დოლიძე (38)**

ამერი: **ქვაჩახია - დიდავა, დავითნიძე, ჩიკვილაძე, ელბაქიძე - დოლიძე (90. მჭედლიშვილი), ბოლქვაძე, დეკანოსიძე, გ. ჯელაძე - წინამძღვრიშვილი (85. სევასტოპულო), ტატანაშვილი**

*მწვრთნელი:* ***გიორგი ჩიხრაძე***

სიონი: **ბობლიაშვილი - კობაური, ჭიჭვეიშვილი, ლ. ჭელიძე, რაქვიაშვილი - უგრეხელიძე (46. კვიტაიშვილი), ბაჯელიძე (63. შავგულიძე), ოქროპირიძე, ალავიძე - ევოჩე (80. ქარდავა), ჩასემი**

*მწვრთნელი:* ***კახა ცხადაძე***

გაფრთხილება: **ბოლქვაძე, დიდავა, რაქვიაშვილი, ქვაჩახია, ჩასემი, ოქროპირიძე**

არბიტრი: **დ. ხარიტონაშვილი(თბილისი)**

სუპერთასის რიგით მეექვსე გათამაშებას პროფლიგასთან ერთად „ფოლკსვაგენმაც" უპატრონა და სოლიდური ფულადი ჯილდოც (10 000 ლარი) დააწესა. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ „ამერიც" და „სიონიც" პირველად იბრძოდნენ ამ საპატიო პრიზისთვის. შეხვედრის ორგანიზატორებმა ისიც სწორად გათვალეს, რომ მატჩზე დასწრება უფასო იყო და ცივი ამინდის მიუხედავად 4 000 ქომაგმა საინტერესო მატჩი იხილა. ერთადერთი გოლი კი **გიზო ჯელაძის** ფლანგურ გარღვევას მოყვა - **გრიგოლ დოლიძემაც** თანაგუნდელის გარჯა ზუსტი დარტყმით დაასრულა. ამის გარდა მეტოქეებს არაერთი მომენტი ჰქონდათ (ბაჯელიძე, უგრეხელიძე, ბოლქვაძე), მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა. და კიდევ ერთი ფაქტიც: „ამერის" უნივერსალმა ფეხბურთელმა **გივი დიდავამ** მეოთხედ გაიმარჯვა სუპერთასის გათამაშებაში!

**გია ტუხაშვილი**

ფოლკსვაგენის თასი
გორის, თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონი
9 დეკემბერი 2007
ოლიმპი
ამერი
pfl.ge
დასაწყისი: 13:00
ფოლკსვაგენი VOLKSWAGEN
ჯეოსელი GEOCELL
აქსისი
დეველოპერული კომპანია
საქართველოს ბანკი BANK OF GEORGIA
საინფორმაციო მხარდაჭერა
104.9 FM FORTUNE ფორტუნა
სარბიელი
ოლიმპი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალია. სერია A. XV ტურის წინ

# ჩალაგებული ჩემოდნების რეჟიმში

**დღეს**

ლაციო-კატანია
პალერმო-ფიორენტინა

**ხვალ**

ინტერი-ტორინო
ლივორნო-რომა
იუვენტუსი-ატალანტა
უდინეზე-სამპდორია
ჯენოა-სიენა
ემპოლი-კალიარი
ნაპოლი-პარმა
რეჯინა-მილანი გადაიდო

იტალიაში კვლავ ნაკლული ტურია. „მილანი", რომელიც მსოფლიო საკლუბო ჩემპიონატში მონაწილეობს, „რეჯინასთან" საგარეო მატჩს მომავალი წლის 30 იანვარს გამართავს. ამავე მიზეზის გამო, „როსონერის" გადაუტანეს „ლივორნოსთან" მომდევნო უიქენდის შეხვედრაც. ეს დაპირისპირება 13 თებერვალს შედგება, ხოლო რაც შეეხება „ატალანტასთან" ჩაშლილი შეხვედრის გადათამაშებას, ის 13 იანვრისთვისაა დანიშნული.

რაც შეეხება სხვა მატჩებს. ტური „ლაციო"-"კატანიის" მატჩით დაიწყება. ბოლო პერიოდის წარუმატებლობამ რომაული ექსგრანდი მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო. „ბიანკოჩელესტე" გასავარდნ ზონას სულ რაღაც 4 ქულით ჩამორჩება. ამიტომ, სიცილიელებთან მატჩი საკვანძოა იმ მხრივ, რომ ბოლოს და ბოლოს გუნდმა საკუთარი თავი იპოვოს. **დელიო როსის** ტრავმირებული ჰყავს მარჯვენა მცველი **ვალონ ბეჰრამი** და ნახევარმცველი **ფაბიო ფირმანი**. „კატანიისთვის" კი სერიოზული დანაკლისია ურუგვაელი შემტევი ნახევარმცველის **ხორხე მარტინესისა** და საყრდენი **ჯაკომო ტედესკოს** დისკვალიფიკაცია.

„პალერმოში" დაბრუნების შემდეგ, **ფრანჩესკო გვიდოლინი** „რენცო ბარბერაზე" პირველ მატჩს გამართავს. სიცილიურ კლუბში მეოთხედ მისული სპეციალისტი იქაური პუბლიკისთვის პატივსაცემი პერსონაა, თუმც პრეზიდენტ **მაურიციო ძამპარინის** ხელში გარანტირებული არავის არაფერი გაქვს. ნებისმიერ მწვრთნელს იქ ჩალაგებული ჩემოდნების რეჟიმში უწევს მუშაობა. დღეს გვიდოლინს აქვს შანსი, „ბარბერაზე" მორიგი დებიუტი გამარჯვებით აღნიშნოს. ბოლო სამი ტურია, „ფიორენტინა" საკუთარ თავს უგანა. ერთი კვირის წინათ „ინტერთან" წაგებულ (0:2) მატჩში გამოჩნდა, რომ **ჩეზარე პრანდელის** გუნდს მაღალ სტანდარტებამდე, რაც სკუდეტოსთვის რეალურად მებრძოლი გუნდის სტატუსს გულისხმობს, ჯერ კიდევ ბევრი უკლია. პრანდელის პრობლემები აქვს დაცვაში, სადაც **ტომაშ უიფალუში** და **პერ კროლდრუპი** არ იქნებიან. „პალერმოს" კი დისკვალიფიცირებული ჰყავს ფორვარდი **ფაბიო კაზერტა**, ხოლო მცველი **მარკო პიზანო** ტრავმირებულია.

ლიდერები კვირას თამაშობენ. „ინტერი" „ტორინოს" მასპინძლობს. ამ მატჩის ინტრიგაა **ალვარო რეკობას** დაბრუნება „სან სიროზე", სადაც ის 8 წელი იღვწოდა. ყოფილი მწვრთნელ-შეგირდის გაბაასებას სხვა მასალაში შემოგთავაზებთ, სხვა მხრივ კი ასეთი სიტუაციაა: **რობერტო მანჩინის** კვლავაც დიდი დანაკლისი აქვს **პატრიკ ვიეირას, ოლივიე დაკურის, ადრიანოს, ლუიშ ფიგუსა** და **დეიან სტანკოვიჩის** სახით, თუმც უგრძესი სათადარიგოთა სკამი მწვრთნელს არჩევანი შანსს მაინც უტოვებს. მოსალოდნელია, რომ ხანგრძლივი ტრავმის შემდეგ ძირითად შემადგენლობაში პირველად ითამაშებს **მარკო მატერაცი**. „ტორინო" საბრძოლო შემადგენლობითაა.

„რომას" გასვლითი მატჩი აქვს ლივორნოში, სადაც **ჯანკარლო კამოლეზე**, ჯერჯერობით, კარგად მუშაობს. მის ხელში ტოსკანელები ნელ-ნელა ქულებს აგროვებენ და ბოლო ოთხ ტურში გასავარდნ ზონასაც თავი დააღწიეს. ამდენად, „რომას" იოლი გასეირნების იმედი არ უნდა ჰქონდეს. თუმცა **ლუჩანო სპალეტისთვის** სერიოზული შვებაა, რომ ბოლოს და ბოლოს ოპტიმალური შემადგენლობის დაყენებას შეძლებს. კამოლეზეს კი, ტრავმების გამო, ნახევარდაცვის ორი წამყვანი ფიგურა არ ეყოლება, **ჟოზე ვიდიგალისა** და **ანტონიო ფილიპინის** სახით, ხორვატი მცველი **დარიო კნეჟევიჩი** კი ერთმატჩიან დისკვალიფიკაციას მოიხდის.

საინტერესო თამაში იქნება „იუვენტუსი"-"ატალანტა". წინა ტურში ბერგამოელებმა „ნაპოლი" გაანადგურეს (5:1) და ხვალ ტურინულ „ოლიმპიკოზეც" აპირებენ ბრძოლას. **კლაუდიო რანიერიმ** „ემპოლისთან" ხუთშაბათის სათასო შეხვედრაში (2:1 ტოსკანელთა სასარგებლოდ) ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე საკვანძო მოთამაშე დაასვენა. შესაბამისად, „ბებერი ქალბატონის" მთავარი ფიგურები „ატალანტასთან" დაპირისპირებას დასვენებულები ხვდებიან. მაგრამ მაინც სერიოზული დანაკლისი იქნება **მაურო კამორანეზისა** და მარჯვენა მცველის **ზდენეკ გრიგერას** არყოფნა. თავსატეხი აქვს **ლუიჯი დელ ნერისაც**, განსაკუთრებით დაცვაში, სადაც არ იქნებიან ტრავმირებული **ლეონარდო ტალამონტი** და **კლაუდიო რივალტა**, პორტუგალიელი საყრდენი **კოშტინია** კი დიდი ხანია მკურნალობს.

„უდინეზე" „სამპდორიას" მიიღებს. მასპინძლებს 3 წამყვანი მოთამაშე ჰყავთ დისკვალიფიცირებული: მცველი **ანდრეა დოსენა** და ნახევარმცველები - **გაეტანო დ'აგოსტინო** და **ჯამპიერო პინცი**. „სამპის" მწვრთნელი **ვალტერ მაძარი** კი კვლავ ვერ დაიხმარს ფორვარდ **ვინჩენცო მონტელას**, რომელიც ტრავმირებულია.

„ჯენოასა" და „სიენის" შეხვედრაში მასპინძლებს დააკლდებათ მცველი **ფრანჩესკო ბეგა**. „ემპოლის" ახალ მწვრთნელ **ალბერტო მალეზანის** კი უკვე საჩემპიონატო დებიუტი აქვს „კარლო კასტელანიზე", სადაც „იუვესთან" სათასო მატჩში გამოცდაჩინებულად ჩააბარა. თუმცა სერია A-ში მისი ამოცანები გაცილებით სერიოზული და რთულია. ბოლოადგილოსანი „ემპოლი" გამოცდილმა მწვრთნელმა გავარდნისგან უნდა იხსნას. ტოსკანელთა დანაკლისი მხოლოდ მცველ **დანიელე ადანით** შემოიფარგლება, რაც შეეხება „კალიარის", აქ **ნედო სონეტის** საგანგაშო სიტუაცია აქვს: ტრავმირებულია ძირითადი მეკარე **მარკო ფორტინი**, ასევე მცველი **დიეგო ლოპესი**, ნახევარმცველები - **დავიდე ბიონდინი** და **ანტონიო დ'აგოსტინო**, და იმედისმომცემი ფორვარდი **რობერტ აკვაფრესკა**.

ტურის ბოლო მატჩია „ნაპოლი"-"პარმა". დააღწიეს თუ არა თავი ნეაპოლელებმა ბერგამოულ შოკს, ხვალ გამოჩნდება. სტუმრებსაც უნდა მოგება, რათა გასავარდნ ზონას გვარიანად მოცილდნენ. „პარმის" მწვრთნელ **დომენიკო დი კარლოს** განკარგულებაში ვერ იქნებიან - ფორვარდი **იგორ ბუდანი**, ნახევარმცველი **ლუკა ჩიგარინი** (დისკვალიფიკაცია) და მცველი **პაოლო კასტელინი**. „ნაპოლის" კი არ ეყოლება ცენტრალური მცველი **მაურიციო დომიცი**, რომელსაც ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია აქვს.



ფრანჩესკო გვიდოლინი რენცო ბარბერაზე ბრუნდება

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 14 | 10 | 4 | 0 | 29-8 | 34 |
| 2. რომა | 14 | 9 | 4 | 1 | 30-17 | 31 |
| 3. იუვენტუსი | 14 | 7 | 4 | 2 | 29-13 | 26 |
| 4. უდინეზე | 14 | 7 | 4 | 3 | 17-15 | 25 |
| 5. ფიორენტინა | 14 | 6 | 6 | 2 | 19-11 | 24 |
| 6. ატალანტა | 13 | 5 | 6 | 2 | 21-16 | 21 |
| 7. სამპდორია | 14 | 6 | 2 | 6 | 18-17 | 20 |
| 8. მილანი | 13 | 4 | 6 | 3 | 20-10 | 18 |
| 9. ნაპოლი | 14 | 5 | 3 | 6 | 22-20 | 18 |
| 10. კატანია | 14 | 4 | 6 | 4 | 14-14 | 18 |
| 11. პალერმო | 14 | 4 | 6 | 4 | 18-24 | 18 |
| 12. ტორინო | 14 | 2 | 9 | 3 | 14-15 | 15 |
| 13. პარმა | 14 | 3 | 6 | 5 | 16-22 | 15 |
| 14. ჯენოა | 14 | 3 | 6 | 5 | 13-19 | 15 |
| 15. ლაციო | 14 | 3 | 5 | 6 | 13-20 | 14 |
| 16. ლივორნო | 14 | 3 | 4 | 7 | 17-25 | 13 |
| 17. სიენა | 14 | 1 | 7 | 6 | 13-21 | 10 |
| 18. კალიარი | 14 | 2 | 4 | 8 | 11-22 | 10 |
| 19. რეჯინა | 14 | 1 | 7 | 6 | 9-21 | 10 |
| 20. ემპოლი | 14 | 2 | 4 | 8 | 7-20 | 10 |



ფრანჩესკო გვიდოლინი რენცო ბარბერაზე ბრუნდება

იუვენტუსი

# სკუდეტო გაისად

## პრეზიდენტი ტიფოზებს ცვლილებებს ჰპირდება

„იუვენტუსის„ პრეზიდენტი **ჯოვანი კობოლი ჯილი** პირობას დებს, რომ მომავალ სეზონში „ბებერი ქალბატონი" სკუდეტოსთვის იბრძოლებს. ამ სეზონისთვის კი ამოცანა უცვლელი რჩება: ჩემპიონთა ლიგის ზონაში მოხვედრა, რაც კლუბს გარკვეულ თანხებს შემატებს, მაგრამ არამარტო ამას. მაგრამ ვიდრე ფული უეფადან მოვა (რასაც პირველ რიგში დამსახურება უნდა), მანამდე „იუვენტუსის" სალაროს მოუწევს სახსრების გაღება. კობოლის ჯილის თქმით, „სინიორა" ზაფხულის ტრანსფერებისთვის მზადებას უკვე დღეიდან იწყებს. პრეზიდენტის კომენტარები ერთგვარი გამოხმაურებაა, „ფიატის" ერთ-ერთი მფლობელის **ჯონ ლაპო ელკანის** ამასწინანდელ განცხადებაზე, აქაოდა, გუნდი ისედაც ძლიერი გვყავს და ტრანსფერებში ფულს არ დავხარჯავთო. ელკანის სიტყვებს ტიფოზების მხრიდან სერიოზული უკმაყოფილება მოჰყვა და ეტყობა, „იუვენტუსის" უფროსობამაც გადაწყვიტა, სატრანსფერო და სხვა გეგმებზე სპეციალური განმარტებები გაეკეთებინა:

*„ჩვენ აუცილებლად გავაძლიერებთ გუნდს და, ამავე დროს, ყურადღებას მივაქცევთ იმ ახალგაზრდა „იუვენტინოებს", რომლებიც სხვადასხვა კლუბებში თამაშობენ, პრაქტიკას იძენენ და კლასს იმაღლებენ. პროექტი, რომელსაც ერთი წლის წინ ჩაეყარა საფუძველი, მოქმედებს და წინ მიდის. დიდიე დეშამის წასვლის შემდეგ, ჩვენ აუცილებლად გვჭირდებოდა სწორედ კლაუდიო რანიერის ტიპის მწვრთნელი, რომელმაც ამ ციკლს თავისი მდიდარი გამოცდილება და რესურსი შემატა. ჯერჯერობით, ჩემპიონატში საქმე კარგად მიდის. კარგად იმ მხრივ, რომ ჩვენი უმთავრესი მიზანი - ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრა, აბსოლუტურად რეალურია. ვფიქრობ, მეორე ან თუნდაც მესამე ადგილზე გასვლა თავისუფლად შეგვიძლია. ჩემპიონთა ლიგა ჩვენთვის პრესტიჟი და სოლიდური ფინანსური წყაროა".*

მომავალი სეზონიდან კობოლი ჯილი ვარსკვლავების მიწვევას გეგმავს. გვარები ჯერ არ კონკრეტდება, თუმც სანუკვარი მიზანი - სკუდეტო, დიდი ფეხბურთელების გარეშე რომ არ გამოვა, ყველასთვის ნათელია:

*„მე მჯერა იმ მოთამაშეებისაც, ვინც დღეს გუნდში არიან, მაგალითად, ტიაგო მენდეშის, რომელიც მართლაც ნიჭიერი ნახევარმცველია, ასევე ალესანდრო დელ პიეროსი, რომელიც, დარწმუნებული ვარ, მომავალ სეზონშიც „იუვენტუსის" ლიდერი იქნება. მიუხედავად იმისა, რომ ალექსი ყოველთვის არ არის ძირითად შემადგენლობაში, ის მაინც ჭეშმარიტი პროფესიონალის ეტალონად რჩება".*

უძღები შვილის დაბრუნება

# რეკობა: ასე იქცა მანჩინი იღბლიან მწვრთნელად...

## გოლი იქნებაო, მაგრამ ზეიმი?

„ინტერის"-"ტორინოს" ხვალინდელ მატჩში „სან სიროზე" **ალვარო რეკობას** დაბრუნებას ელიან. ურუგვაელი ფორვარდი „ბროწეულებში" გასულ ზაფხულს გადავიდა. მიზეზი **რობერტო მანჩინისთან** პერმანენტული უთანხმოება იყო. „ტორინოში" სიტუაცია ცოტა სხვაგვარია. **ვალტერ ნოველინოც** „ელ ჩინოს" ძველი მწვრთნელია. რეკობა „ტოროს" უფრო სჭირდება, მაგრამ ურუგვაელი არასტაბილურია, პირველ რიგში, ტრავმების გამო. „ინტერისა" და „ტორინოს" დაპირისპირების წინ, რეკობამ და მანჩინიმ კომენტარები გაცვალეს. ფეხბურთელი ამბობს:

*„მე და მანჩინის ერთსა და იმავე თემაზე სხვადასხვა აზრი გვაქვს. მიმაჩნია, რომ მას გაუმართლა, რაკი „ინტერში" მოხვდა. ეს სწორედ მისი დრო იყო. ასე იქცა ის იღბლიან მწვრთნელად. იმედი მაქვს, რომ მომავალ მატჩში აუცილებლად გავიტან გოლს, თუმც ჯერ არ გადამიწყვეტია, როგორ აღვნიშნავ ამ გოლს, ან საერთოდ, აღვნიშნავ თუ არა. „ნერაძურიში" 10 წელი გავატარე და გულშემატკივრები ყოველთვის თბილად მხვდებოდნენ. მჯერა, კვირასაც ასე იქნება. მაგრამ კარგად მესმის, რომ მატჩის დროს მათთვის უბოროტესი მტერი ვიქნები".*

მანჩინიმ პოლემიკაში ჩაბმა არ ისურვა, მხოლოდ ლაკონური კომენტარით შემოიფარგლა: *„ყოველთვის ვამბობდი, რომ რეკობა ნიჭიერი ფეხბურთელია. რატომ მოხდა ჩვენს შორის უთანხმოება? ეს ხომ ასე ბანალურია - როცა ფეხბურთელი ძირითად შემადგენლობაში არ თამაშობს, ან იშვიათად თამაშობს, ცხადია, ეს გაუგებრობისა და უთანხმოების მიზეზი ხდება. ასე რომ, არაფერი განსაკუთრებული"...*

ამ გადაძახილს „ინტერის" პრეზიდენტი **მასიმო მორატიც** გამოეხმაურა, თუმცა ერთობ ძუნწად. სხვათა შორის, ჟურნალისტები აღნიშნავენ, რომ მუდმივად მშვიდი და კორექტული მორატი უჩვეულოდ გაღიზიანებული ჩანდა. მენავთობე ბოსის კომენტარი ასეთი იყო: *„ჩვენ ვიცით, რომ რეკობა მეტად სახიფათო ფეხბურთელია, მაგრამ იმედი მაქვს, „ინტერის" წინააღმდეგ თამაში არ გამოუვა. შესაძლოა, მანჩინი და რეკობა ვერ ეწყობდნენ ერთმანეთს იმიტომ, რომ ალვარო ცოტას თამაშობდა... მაგრამ მე არა მგონია, რომ ეს თემა სალაპარაკოდ ღირდეს. დავამთავროთ ამაზე".*

ბოლოს, ჟურნალისტებმა ისარგებლეს შემთხვევით და მორატის იანვრის სატრანსფერო გეგმებზეც ჰკითხეს - მართალია თუ არა, რომ **რაფაელ ვან დერ ვაარტის** ყიდვას გეგმავთო? არაო, უპასუხა მორატიმ: *„ჩემი აზრით, დღევანდელ „ინტერს" ახალი ფეხბურთელები არ სჭირდება. გუნდი მშვენივრად თამაშობს და გაძლიერებას არ საჭიროებს".*



ალვარო რეკობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია. ბუნდესლიგა. XVI ტურის წინ

# დესპოტმა თქვა: ლენცი!

## კობიაშვილი გამოჯანმრთელდა, მაგრამ მისი თამაში ჯერ ნაადრევია...

**გუშინ**

**ბორუსია (დ)-არმინია 6:1**

**დღეს**

**შტუტგარტი-ვოლფსბურგი**
**ბაიერნი-დუისბურგი**
**ჰამბურგი-კოტბუსი**
**ბოხუმი-კარლსრუე**
**ჰანოვერი-ვერდერი**
**აინტრახტი-შალკე**

**ხვალ**

**ლევერკუზენი-ჰანზა**
**ნიურნბერგი-ჰერტა**

ვინ გახდება შემოდგომის ჩემპიონი, „ბაიერნი" თუ „ვერდერი"? ან იქნებ სულაც „ჰამბურგი"? ფაქტი ის გახლავთ, რომ ლიდერ რეკორდმაისტერს პირველი წრის დასრულებამდე ორი ტურით ადრე, საუკეთესო შანსი აქვს, თანაც, ბავარიელებს დღეს საკმაოდ იოლი მატჩი ელით – **ოტმარ ჰიტცფელდის** გუნდი ბოლოსწინა ადგილზე მყოფ „დუისბურგს" მასპინძლობს. თუმცა „ზებრებმა" წინა ტურში უშუალო კონკურენტ „ნიურნბერგს" მოუგეს (1:0) და საკმაოდ კარგ ხასიათზე არიან. MSV-ს **იშიაკუ** და **ტიფერტი** ჰყავს ტრავმირებული, რაც იმას ნიშნავს, რომ ძირითად შემადგენლობაში **გეორგიევი** და **აილტონი** ითამაშებენ. ამრიგად, ქვეხარა ბრაზილიელს კიდევ ერთი ჩინებული შანსი ეძლევა, რომ მწვრთნელსა და გულშემატკივრებს თავისი შესაძლებლობები დაუმტკიცოს, თანაც, „ბაიერნთან"! სანაკლისი აქვს ჰიტცფელდსაც: **ლუსიო** დისკვალიფიცირებულია, **იანსენი** კი ტრავმირებული. ვერ ითამაშებს **ჰამით ალთინთოფიც**. სამაგიეროდ, ბავარიული გიგანტის განაცხადში **ბასტიან შვაინშტაიგერი** ბრუნდება.

„ბაიერნის" უპირველეს მდევარ „ვერდერს" კი საკმაოდ რთული მატჩი აქვს ჰანოვერში. „წითლებმა" წინა ტურში როსტოკის „ჰანზა" გაანადგურეს (3:0) და საუკეთესო ხუთეულს მიუახლოვდნენ. და საერთოდ, უნდა ითქვას, რომ „ჰანოვერი" ამ სეზონში საკმაოდ კარგი, მებრძოლი გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებს. თუმცა ბრემენელებიც ძალიან კარგ, მეტიც, თითქმის იდეალურ ფორმაში არიან. თანაც, „მუსიკოსებს" ლაზარეთიდან წამყვანი ფეხბურთელები უბრუნდებიან. კარს ისევ **ტიმ ვიზე** დაიცავს, რომელიც გამოჯანმრთელდა. თავდასხმაში **მარკუს როზენბერგის** ნაცვლად ისევ **უგო ალმეიდას** ვიხილავთ, რომელმაც ასევე დააღწია თავი ავადმყოფობას, ხოლო ნახევარდაცვაში კი, **იურიცა ვრანიეშის** ადგილს გამოჯანმრთელებული **ტიმ ბოროვსკი** დაიკავებს.

მესამე ადგილზე მყოფ „ჰამბურგს" აუტსაიდერ „კოტბუსთან" მოუწევს საქმის დაჭერა. HSV წინა ტურში „ვერდერთან" განცდილი მარცხის გამო შოკში არ ჩავარდა და ოთხშაბათს უეფას თასზე მორიგი გამარჯვებით, ამ ევროტურნირის ფლეი ოფში თამაშის უფლება მოიპოვა. **ჰუუბ სტევენსი** „კოტბუსთან" **დავიდ იაროლიმს** ვერ დაიხმარს, რომელმაც წინა ტურში მე-5 ყვითელი ბარათი მიიღო და შესაბამისად, დისკვალიფიცირებულია. ერთი კვირის წინათ „კოტბუსმა" ყველა გააოცა, როცა „კარლსრუეს" 2:0 მოუგო, მაგრამ „ენერგიმ" ამ მოგებით ბოლო ადგილს თავი მაინც ვერ დააღწია. **პრასნიკარი** დღეს ტრავმირებულ **რივიჩს** და დისკვალიფიცირებულ **ანგელოვს** ვერ დაიხმარს.

„აინტრახტისა" და „შალკეს" დაპირისპირება წესით ძალიან საინტერესო და დრამატული უნდა გამოდგეს. ამ მატჩის მთავარი ინტრიგა **ჯერმეინ ჯონსია**, რომელიც ზაფხულში „აინტრახტიდან" „შალკეში" გადავიდა. იმის გათვალისწინებით, რომ ჯონსი ფრანკფურტელი ქომაგების უსაყვარლესი ფეხბურთელი იყო, მას ფრანკფურტში ოვაციებით ნამდვილად არ შეხვდებიან. „აინტრახტის" ფანები ამბობენ, გამორიცხული არაა, რომ ჯონსმა გრიპი მოიმიზეზოს და არ ითამაშოსო. ვნახოთ! ისე, ორივე გუნდს არაერთი ფეხბურთელი უბრუნდება ლაზარეთიდან. ჰესსენელებს **ვაისენბერგერი, თურკი, ტაკაჰარა** და **ინამოტო** გამოუჯანმრთელდათ. „შალკეს" თავკაც **მირკო სლომკას** კი კვლავ ექნება **სიორენ ლარსენისა** და **კრისტიან პანდერის** იმედი. გამოჯანმრთელდა **ლევან კობიაშვილიც**, მაგრამ მისი თამაში ჯერ მაინც ნაადრევია, რადგან რისკთანაა დაკავშირებული.

„შტუტგარტმა" წინა ტურში საკუთარ მოედანზე დორტმუნდის „ბორუსიასთან" წააგო (1:2), რითაც თავისი გულშემატკივრები ძალიან გაანაწყენა. შვაბებს დღეს 2007 წლის უკანასკნელი საშინაო მატჩი აქვთ „ვოლფსბურგთან" და ძალიან უნდათ, რომ გულშემატკივრებს მეორე წრემდე გამარჯვებით დაემშვიდობონ. თუმცა VFB-სთვის დიდი დანაკლისია ის, რომ კვლავ ვერ ითამაშებს **მარიო გომესი**, რომელსაც ოპერაცია დასჭირდა და ფეხბურთს თებერვლამდე გამოეთხოვა. კითხვის ნიშნის ქვეშაა **სამი ხედირას** და **სერდარ ტასკის** თამაშიც. „ვოლფსბურგის" მწვრთნელ **ფელიქს მაგათისთვის** შტუტგარტში ჩასვლა იმ ქალაქში დაბრუნებაა, სადაც სამწვრთნელო კარიერის ერთ-ერთი საუკეთესო პერიოდი გაატარა. „ვოლფსბურგის" კარს დღეს სათადარიგო მეკარე **ანდრე ლენცი** დაიცავს. **სიმონ იენტცში** სათადარიგო იქნება – ასეთია „დესპოტი ფელიქსის" გადაწყვეტილება. ამრიგად, 34 წლის ლენცი 2005 წლის 20 მაისის შემდეგ ძირითად შემადგენლობაში პირველად იქნება.



ფელიქს მაგათის გადაწყვეტილებით, ვოლფსბურგის კარს 34 წლის ანდრე ლენცი დაიცავს

დღესვე ერთი კვირის წინათ განზილებული „კარლსრუე" „ბოხუმს" სტუმრობს და ძირითადი ფორვარდის, **კაპლანის** გარეშე მოუწევს თამაში. ფაქტია, რომ ბადენელები ერთადერთი თავდამსხმელით ითამაშებენ და ეს უკანასკნელი **სებასტიან ფრაისი** იქნება.

ხვალ „ლევერკუზენი" „ჰანზას" დაუხვდება. თამამად შეიძლება ითქვას, რომ „ბაიერი" შესანიშნავ ფორმაშია. „ფარმაცევტებმა" წინა ტურში ბერლინის „ჰერტა" მისსავე მოედანზე 3:0 დაამარცხეს და ახლა მე-4 ადგილზე არიან. იდეალურ ფორმაშია „ლევერკუზენის" ვეტერანი თავდამსხმელი **სერგეი ბარბარესი**, რომელსაც „ბაიერის" ბოსები უახლოეს მომავალში ახალ კონტრაქტს შესთავაზებენ. ითამაშებს თუ არა 36 წლის ბარბარესი დღეს თავის ყოფილ კლუბთან, ეს ჯერ კიდევ საკითხავია, რადგან ბოსნიელს ტრავმა აწუხებს. დღესვე "ნიურნბერგი", რომელმაც მიუხედავად კრიზისული მდგომარეობისა, უეფას თასზე „ალკმაართან" მნიშვნელოვანი გამარჯვება იზეიმა, „ჰერტას" დაუხვდება. შეგახსენებთ, რომ ფრანკების ამჟამინდელი მწვრთნელი **ჰანს მაიერი** დედაქალაქური კლუბის ყოფილი დამრიგებელია.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 15 | 10 | 4 | 1 | 31-8 | 34 |
| 2. ვერდერი | 15 | 10 | 3 | 2 | 34-18 | 33 |
| 3. ჰამბურგი | 15 | 9 | 3 | 3 | 23-12 | 30 |
| 4. ლევერკუზენი | 15 | 8 | 3 | 4 | 27-11 | 27 |
| 5. კარლსრუე | 15 | 8 | 2 | 5 | 16-18 | 26 |
| 6. შალკე | 15 | 6 | 7 | 2 | 22-14 | 25 |
| 7. ჰანოვერი | 15 | 7 | 3 | 5 | 22-20 | 24 |
| 8. შტუტგარტი | 15 | 7 | 1 | 7 | 21-22 | 22 |
| 9. ბორუსია (დ) | 16 | 6 | 3 | 7 | 26-26 | 21 |
| 10. ჰერტა | 15 | 6 | 1 | 8 | 18-22 | 19 |
| 11. აინტრახტი | 15 | 4 | 7 | 4 | 16-21 | 19 |
| 12. ბოხუმი | 15 | 5 | 3 | 7 | 23-23 | 18 |
| 13. ვოლფსბურგი | 15 | 4 | 5 | 6 | 25-27 | 17 |
| 14. არმინია | 16 | 4 | 3 | 9 | 17-38 | 15 |
| 15. ჰანზა | 15 | 4 | 2 | 9 | 14-23 | 14 |
| 16. ნიურნბერგი | 15 | 3 | 3 | 9 | 18-25 | 12 |
| 17. დუისბურგი | 15 | 4 | 0 | 11 | 14-25 | 12 |
| 18. კოტბუსი | 15 | 2 | 5 | 8 | 12-26 | 11 |



ჟოზე მოურინიო ინგლისში დასაბრუნებლად ემზადება

ინგლისის ნაკრები

# კონტრაქტი მოურინიოს?

## არაოფიციალური ინფორმაციით, პორტუგალიელ მწვრთნელს წელიწადში 6 მილიონ გირვანქას გადაუხდიან...

ინგლისის საფეხბურთო ასოციაცია **ჟოზე მოურინიოს** აგენტს დაუკავშირდა. „ჩელსის" ყოფილ დამრიგებელს ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი შესთავაზეს. ეს ინფორმაცია ბი-ბი-სიმ გაავრცელა. სტატიაში ეწერა, რომ მოურინიო უკვე ლონდონში იყო, თუმცა მწვრთნელის წარმომადგენელმა, ჟორჟე მენდეშმა ეს ფაქტი არ დაადასტურა.

ბი-ბი-სის მიმომხილველმა **ჯონათან ლეგარდმა** ინფორმაცია მოურინიოსთან მოლაპარაკებების დაწყების თაობაზე საკუთარი არხებით მოიპოვა. საკუთარი არხებით იმიტომ, რომ საფეხბურთო ასოციაცია კომენტარების გაკეთებას არ ჩქარობს. ლეგარდის წყარო იუწყება, რომ დანიშვნის შემთხვევაში, მოურინიოს წლიურად 6 მილიონ გირვანქას გადაუხდიან. ასოციასთან დაახლოებული წყაროებიდან კი მხოლოდ ის ვიცით, რომ ჩამოწერილია ოთხი-ხუთი გვარისაგან შემდგარი სია. სიაში სახელგანთქმული სპეციალისტები ფიგურირებენ. მათ შორისაა მოურინიოც. მიმომხიველები ჟოზეს ფავორიტად მიიჩნევენ, ასოციაცია კი დუმს. სამაგიეროდ, ინგლისური ფეხბურთის მმართველო ორგანიზაციაში კატეგორიულად უარყოფენ ცნობას, თითქოს ორი მაღალჩინოსანი, **ბრაიან ბარვიკი** და **ტრევონ ბრუკინგი**, რომელთაც მწვრთნელის მოძიება ევალებათ, კანდიდატურაზე ვერ თანხმდებიან.

საინტერესოა, რომ ბოლო ორი დღის განმავლობაში ბარვიკი **არსენ ვენგერს**, ხოლო ბრუკინგი **სერ ალექს ფერგიუსონს** შეხვდა. საუბარი ნაკრების ახალ დამრიგებელს შეეხებოდა, მაგრამ არც ვენგერი და არც ფერგიუსონი დღევანდელი სამსახურებიდან წასვლას არ გეგმავენ. მათ რჩევისათვის მიმართეს. საუბრის დეტალები არ გაუხმაურებულა. მოურინიოს გარდა, სიაში არიან **ფაბიო კაპელო, მარტინ ონილი, მარჩელო ლიპი** და **იურგენ კლინსმანი**. როგორც ხედავთ, ხუთი პრეტენდენტიდან ოთხი არაბრიტანელია. ინგლისელებს თავიანთ ისტორიაში მხოლოდ ერთი არაბრიტანელი მწვრთნელი ჰყავდათ - **სვენ გორან ერიქსონი**. მიმომხილველთა ერთი ნაწილი დღემდე დარწმუნებულია, რომ **სტივ მაკლარენის** დანიშვნის ერთ-ერთი ძირითადი მოტივი მისი ინგლისელობა იყო. ინგლისის ეროვნული გუნდი მომდევნო მატჩს 6 თებერვალს, შვეიცარიის ნაკრებთან ჩაატარებს. იმ დროისათვის ნაკრების მწვრთნელი უკვე დანიშნული უნდა იყოს.

ინგლისი. პრემიერლიგა. XVI ტურის წინ

# ჩელსი დროგბას გარეშე

## გარი ნევილის დაბრუნება ისევ გადაიდო

**დღეს**

**ასტონ ვილა-პორტსმუთი**
**ჩელსი-სანდერლენდი**
**ევერტონი-ფულჰემი**
**მანჩესტერ იუნ.-დერბი**
**ნიუკასლი-ბირმინგემი**
**რედინგი-ლივერპული**

**ხვალ**

**მიდლსბრო-არსენალი**
**ბოლტონი-ვიგანი**
**ტოტენჰემი-მანჩესტერ სიტი**
**ბლექბერნი-ვესტ ჰემი**

„ჩელსის" „სანდერლენდთან" **დიდიე დროგბა** არ ეყოლება. თავდამსხმელმა მიმდინარე სეზონში ცხრა გოლი შეაგდო. დროგბა გასულ უქმეებზე „ვესტ ჰემთან" დერბიში დაშავდა. მას მუხლის ტრავმა აქვს და ოპერაცია ესაჭიროება. საეჭვოა დიდიეს ასპარეზობა „ვალენსიასთან" ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში. ლონდონელებს ამ ტურნირის ფლეი ოფის საგზური უკვე ჯიბეში აქვთ.



არისტოკრატებს პეტრ ჩეხი გამოუჯანმრთელდათ, მაგრამ დიდიე დროგბა გამოაკლდათ

„სანდერლენდთან", შესაძლოა, ძირითადში ვიხილოთ **პეტრ ჩეხი**. მისი ტრავმის გამო ერთი თვე კარლო კუდიჩინი თამაშობდა. **ფლორან მალუდა** მუხლს იშუშებს, მიკაელ ესიენი - დასჯილია. **პაულო ფერეირა, რიკარდო კარვალიო** და **მიხაელ ბალაკი** ჯერ არ გამოჯანმრთელებულან. საკადრო პრობლემების მიუხედავად, ამ მატჩში „ჩელსი" უსიტყვო ფავორიტია. „სანდერლენდი" სუსტად თამაშობს. წინა ტურში მან ბოლო წუთზე გატანილი გოლით სძლია აუტსაიდერ „დერბის", ხოლო ორი კვირის წინ „ევერტონთან" 1:7 განადგურდა...

საბრალო „დერბი". დღეს ის „მანჩესტერ იუნაიტედს" ესტუმრება. **კრისტიანო რონალდო** საუცხოო ფორმაშია. ორშაბათს, „ფულჰემთან" შესრულებული დუბლის შემდეგ, მის აქტივში 13 გოლი ირიცხება. ამ სეზონში „დერბიმ" სტუმრად რვა თამაში ჩაატარა და ერთი ქულა აილო. მას მეტოქის მოედანზე ერთხელაც არ გაუტანია. „იუნაიტედს" ახალი საკადრო პრობლემები არ აქვს, მაგრამ **გარი ნევილის** დაბრუნება ისევ გადაიდო. მანჩესტერელთა კაპიტანს მარტის შემდეგ არ უთამაშია.

ხვალ „არსენალი" „მიდლსბროს" ესტუმრება. რივერსაიდელებს 10 მატჩია, არ მოუგიათ. გასულ უქმეებზე „რედინგთან" ნათამაშევი 1:1-ის შემდეგ, ისინი გასავარდ ზონაში აღმოჩნდნენ. „მეთოფეებს" ხუთი წამყვანი ფეხბურთელი დააკლდებათ. **ვან პერსის, ფლამინისა** და **დიაბის** შემდეგ, **ფრანსესკ ფაბრეგასმა** და **ალექსანდრ გლებმაც** შეუბულებები გამოიწერეს. მასპინძლებს ძირითადი მეკარე მარკ შვარცერი გამოუჯანმრთელდათ. მწყობრშია გერმანელი მცველი **რობერტ ჰუთიც**. ეგვიპტელი თავდამსხმელი **მიდო** მირდორს ახალი წლის შემდეგ დაუბრუნდება.

„ლივერპული" „რედინგთან" გასვლაზე ითამაშებს. ძირითადში ვიხილავთ ფერნანდო ტორესს. ესპანელი თავდამსხმელი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ რაფა ბენიტესის როტაციული საკადრო პოლიტიკა მას არ შეეხოს. მან 17 მატჩში 11 გოლი დააგროვა, აქედან სამი „რედინგს" გაუტანა ლიგის თასზე.

მერსისაიდელებს ცენტრალური მცველი **ჯეიმი კარაგერი** გამოუჯანმრთელდათ. მან დაჟეჟილი გვერდები მოიშუშა. მაგრამ საკმარისია, ყვითელი ბარათი მიიღოს, რომ ავტომატურ ერთმატჩიან დისკვალიფიკაციას გაიფორმებს. კარაგერის თამაში სულაც არ არის გადაწყვეტილი. **ჩაბი ალონსო** და **ფაბიო აურელიო** ისევ მკურნალობენ. მწყობრშია **დანიელ აგერი**. კარაგერს ან ის შეცვლის, ანდა სარეზერვო გუნდის მოთამაშე **ჯეკ ჰობსი**.

„ტოტენჰემი" **რობი კინის** გარეშე ითამშებს. ირლანდიელი თავდამსხმელი სამმატჩიანი დისკვალიფიკაციის მოხდას შეუდგა. ლონდონელებს დაშავებული ჰყავთ ორი ცენტრალური მცველი - **პასკალ შიმბონდა** და **იანგ პიო ლი**. „მამლების" მეტოქე „მანჩესტერ სიტის" კვლავ არ ეყოლება ელანო ბლუმერი. სამაგიეროდ, თავდამსხმელი **დარიუს ვასელი** გამოჯანმრთელდა.

ლიდერთა ზონის მიღმა საინტერესო მატჩი გაიმართება ბირმინგემში. „ასტონ ვილა" პორტსმუთს მიიღებს. მასპინძლებს **სტილიან პეტროვი** არ ეყოლებათ. ის ერთი კვირის წინ, „არსენალთან" მატჩისას დაშავდა. უშეღავათო ბრძოლას უნდა ველოდოთ აუტსაიდერთა შორისაც. „ბოლტონი" „ვიგანს" უმასპინძლებს. ორივე გუნდი პრემიერლიგაში ადგილის შენარჩუნებისათვის იბრძვის.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არსენალი | 15 | 11 | 4 | 0 | 32-12 | 37 |
| 2. მანჩესტერ იუნ. | 15 | 10 | 3 | 2 | 25-7 | 33 |
| 3. ჩელსი | 15 | 9 | 4 | 2 | 22-9 | 31 |
| 4. ლივერპული | 14 | 8 | 6 | 0 | 26-6 | 30 |
| 5. მანჩესტერ სიტი | 15 | 9 | 3 | 3 | 19-15 | 30 |
| 6. პორტსმუთი | 15 | 7 | 6 | 2 | 25-13 | 27 |
| 7. ასტონ ვილა | 15 | 8 | 3 | 4 | 26-16 | 27 |
| 8. ბლექბერნი | 15 | 7 | 5 | 3 | 20-18 | 26 |
| 9. ევერტონი | 15 | 7 | 3 | 5 | 26-16 | 24 |
| 10. ვესტ ჰემი | 14 | 5 | 4 | 5 | 19-12 | 19 |
| 11. ნიუკასლი | 15 | 5 | 4 | 6 | 21-25 | 19 |
| 12. ბირმინგემი | 15 | 4 | 2 | 9 | 16-24 | 14 |
| 13. რედინგი | 15 | 4 | 2 | 9 | 18-32 | 14 |
| 14. ფულჰემი | 15 | 2 | 7 | 6 | 18-24 | 13 |
| 15. სანდერლენდი | 15 | 3 | 4 | 8 | 15-29 | 13 |
| 16. ტოტენჰემი | 15 | 2 | 6 | 7 | 26-28 | 12 |
| 17. ბოლტონი | 15 | 2 | 5 | 8 | 12-22 | 11 |
| 18. მიდლსბრო | 15 | 2 | 5 | 8 | 13-27 | 11 |
| 19. ვიგანი | 15 | 2 | 3 | 10 | 11-26 | 9 |
| 20. დერბი | 15 | 1 | 3 | 11 | 5-34 | 6 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. IV ტური

# ლევერკუზენის მძიმე გამარჯვება

## ბაიერნი მესამეა, მაგრამ ბოლო ტურში ფრეც ეყოფა...




მანუელ ფრიდრიხს (შუაში) თანაგუნდელები გოლს ულოცავენ

### E ჯგუფი

**ლევერკუზენი–სპარტა 1:0**

**ლევერკუზენი:** ადლერი, ფრიდრიხი, ჰაგი, ბარნეტა, კასტრო, ფრაიერი (66. ბ. შნაიდერი/83. გრეშკო), რამელოვი, როლფესი, შარპეი, გეკასი (78. ზინკივიჩი), კისლინგი.

**სპარტა:** გრიგარი, კადლეცი, კლადრუბსკი, რჟეპკა, ზაბავნიკი (89. ბრეჟინსკი), ჰორვატი, კისელი, პოსპეხი, დოზეკი, რეჟეკი (72. მატუსოვიჩი), შლეპიჩკა.

**გოლი:** 1:0 ფრიდრიხი (71)

**გაძევება:** რამელოვი (60. ლევერკუზენი)

**მაყურებელი:** 17 771

**სპარტაკი–ციურიხი 1:0**

**სპარტაკი:** პლეტიკოშა, დედურა, ივანოვი (46. სოავა), შიშკინი, შტრანცლი, კოვალჩუკი, ტიტოვი, ტორბინსკი, ბაჟენოვი (71. ბოიარინცევი), ძიუბა (58. ველიტონი), პავლიუჩენკო.

**ციურიხი:** გუატელი, როშა, მ. შნაიდერი, შტაჰელი, ტიჰინენი, აგერტერი (81. გაში), შიხლაუი, კონდე, ოკონკვო, ალფონსი, რაფაელი.

**გოლი:** 1:0 ტიტოვი (57)

**მაყურებელი:** 20 000

მეოთხე ტურის შემდეგ E ჯგუფში ყველაფერი გარკვეულია: 1/16 ფინალში მოსკოვის „სპარტაკი", „ციურიხი" და ლევერკუზენის „ბაიერი" ითამაშებენ. პრაღის „სპარტა" და ფრანგული „ტულუზა" კი ჯგუფში ჩარჩნენ. გადამწყვეტი მატჩი „ლევერკუზენსა" და „სპარტას" შორის გაიმართა, რომელიც დაძაბულ ბრძოლაში გერმანულმა კლუბმა მოიგო. **მიხაელ სკიბეს** სამწყსოს ჩეხური კლუბის დამარცხება ძალიან გაუჭირდა. მე-60 წუთზე, როცა ანგარიში ჯერ კიდევ 0:0 იყო, მსაჯმა „ფარმაცევტებს" მოედნიდან **კარსტენ რამელოვი** გაუძევა, რის შემდეგაც „ბაიერის" პერსპექტივა უფრო ბუნდოვანი გახდა, მაგრამ „ლევერკუზენმა" მაინც შეძლო გამარჯვების გოლის გატანა, თუმცა ძალიან კი გაუმართლა. ის ის იყო, „ბაი არენაზე" შეკრებილი ქომაგები ხელის ჩაქნევას აპირებდნენ, რომ პრაღელთა კართან კუთხური დაინიშნა, რასაც **მანუელ ფრიდრიხის** საგოლე თავური მოჰყვა. „სპარტამ" ანგარიშის გათანაბრება სცადა, მაგრამ გერმანელებმა თავგანწირვით იბრძოლეს და კაცნაკლულებმა მატჩი გამარჯვებამდე მიიყვანეს.

პარალელურ შეხვედრაში „სპარტაკმა" „ციურიხს" უმასპინძლა და ასევე მინიმალური ანგარიშით მოიგო. ამ გამარჯვებით, რუსეთის სახალხო გუნდი პირველ ადგილზე გადავიდა და ფლეი ოფში თამაში გაინაღდა. ერთადერთი გოლის ავტორი „სპარტაკის" ლიდერი **ეგორ ტიტოვია**, რომელმაც „ციურიხი" 57-ე წუთზე დაამწუხრა. ბოლო ტურში, 19 დეკემბერს „ტულუზა" „სპარტაკს" უმასპინძლებს, ხოლო „ციურიხი" კი „ლევერკუზენს" და რაკი 1/16 ფინალში გასული გუნდების ვინაობა უკვე გარკვეულია, ამ ჯგუფის ერთადერთი ინტრიგა ის იქნება, თუ ვინ დაიკავებს პირველ, მეორე და მესამე ადგილებს.

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სპარტაკი | 3 | 2 | 1 | 0 | 3-1 | 7 |
| 2. ციურიხი | 3 | 2 | 0 | 1 | 4-2 | 6 |
| 3. ლევერკუზენი | 3 | 2 | 0 | 1 | 3-2 | 6 |
| 4. სპარტა | 4 | 1 | 1 | 2 | 4-5 | 4 |
| 5. ტულუზა | 3 | 0 | 0 | 3 | 2-6 | 0 |

### F ჯგუფი

**არისი–ბრაგა 1:1**

**არისი:** ხალკიასი, ბარბიერი, ნეტო, პაპადოპულოსი, გუიარო რონალდო, გარსია, ნებეგლერასი, დიოგო (79. არანი), ივიჩი, ხავიტო (79. ფელიპი), კოკე.

**ბრაგა:** პაულუ სანტუში, ვალდელომარი, ჟუნიორი, ფერნანდესი, პეიშოტუ (53. ჟოაო პინტუ), ფრეშო, ჟოაო პერეირა, ჟორჟინიო (73. ჟაილსონი), ბრუნი, ლინცი, ვენდერი (81. კაშტანიერა).

**გოლები:** 0:1 ლინცი (6), 1:1 გუიარო რონალდო (26)

**მაყურებელი:** 14 000

**ცრვენა ზვეზდა–ბოლტონი 0:1**

**ცრვენა ზვეზდა:** რანჯელოვიჩი, ბაიალიცა, ბასტა, ბრონოვიცკი (80. ანჯელკოვიჩი), ტუტორიჩი, კორომანი, ჟოაო ლუკაში, მილიაში (73. ბურჟანოვიჩი), მილოვანოვიჩი, მოლინა, იესტროვიჩი (64. ჯორჯევიჩი).

**ბოლტონი:** ალ ჰაბსი, ჰანტი, მეიტე, მიხალიკი, სამუელი, იანაკოპულოსი, მაკკანი, სპიდი, თეიმურიანი, ვილჰელმსონი, ბრაატენი (87. სინკლერი).

**გოლი:** 0:1 მაკკანი (45)

**მაყურებელი:** 45 000

სამაგიეროდ, F ჯგუფში არაფერი არ არის გარკვეული და ჯგუფიდან გამსვლელთა ვინაობის გარკვევა ბოლო ტურისთვის გადაიდო. შესაბამისად, მიუნხენის „ბაიერნი" არც ისე სახარბიელო სიტუაციაშია. **ოტმარ ჰიტცფელდის** გუნდი ამ ტურში ისვენებდა და ბავარიელებმა ტელევიზორში უმზირეს იმას, თუ როგორ მოუგო „ბოლტონმა" სტუმრად „ცრვენა ზვეზდას" და როგორ გადაინაცვლა პირველ ადგილზე. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ „ბოლტონი" კარგ მდგომარეობაშია. ინგლისელებმა ოთხივე თამაში ჩაატარეს და ახლა მათი ბედი მათსავე ხელში ალარაა. „ბოლტონს" გამარჯვება **მაკკანის** გოლმა მოუტანა, რომელმაც პირველი ტაიმის მიწურულს იხეირა. სერბები ძალიან ცუდად თამაშობდნენ და მეორე ტაიმში ანგარიშის გათანაბრების ერთი რეალური შანსიც არ მისცემიათ. ბელგრადელებს სამივე თამაში წაგებული აქვთ, რაც იმას ნიშნავს, რომ ჯგუფიდან ველარ გავლენ. შესაბამისად, ბოლო ტურში, როცა „ბრაგას" ესტუმრებიან, მხოლოდ პრესტიჟისთვის იბრძოლებენ.

მეორე შეხვედრაში სალონიკის „არისმა" და „ბრაგამ" ქულები გაიყვეს (1:1). პორტუგალიელები ავსტრიელმა **ლინცმა** მე-6 წუთზე დააწინაურა, მაგრამ 20 წუთში არისელმა **გუიარომ** ანგარიში გაათანაბრა. ბოლო ტურში „ბაიერნი" „არისს" მასპინძლობს და მიუნხენურ კლუბს ერთი ქულაც ეყოფა იმისთვის, რომ ჯგუფიდან გავიდეს. თუკი „ბრაგა" „ცრვენა ზვეზდას" დაამარცხებს, ხოლო „ბაიერნისა" და „არისის" მატჩი ფრედ დასრულდება, „ბოლტონი" ჯგუფში ჩარჩება.

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბოლტონი | 4 | 1 | 3 | 0 | 5-4 | 6 |
| 2. არისი | 3 | 1 | 2 | 0 | 5-2 | 5 |
| 3. ბაიერნი | 3 | 1 | 2 | 0 | 6-5 | 5 |
| 4. ბრაგა | 3 | 0 | 3 | 0 | 3-3 | 3 |
| 5. ცრვენა ზვეზდა | 3 | 0 | 0 | 3 | 2-7 | 0 |

### G ჯგუფი

**ოლბორგი–ხეტაფე 1:2**

**ოლბორგი:** ქარიმ ზაზა, კალიფი, იაკობსენი, ოლესენი, აუგუსტინუსენი, ენევოლდსენი (77. ლინდსტრიომი), იოჰანსონი, პედერსენი (58. ოლფერსი), რისგაარდი (58. ნომვეტე), კურტი, პრიცა.

**ხეტაფე:** აბონდანსიერი, ბელენგერი (81. მარიო), კონტრა, დიასი, ლიხტი, ჩელესტინი (60. კორტესი), გრანერო, ბრაულიო, დე ლა რედი, მანუ (76. ალბინი), პაბლო.

**გოლები:** 0:1 პაბლო (11), 0:2 გრანერო (78), 1:2 პრიცა (90)

**მაყურებელი:** 10 634

**ანდერლეხტი–ტოტენჰემი 1:1**

**ანდერლეხტი:** ზიტკა, დეშახტი, იუჰაში, ვან დამი, ვასილევსკი, ბილია, გოორი, ჰასანი, პოლაკი, ფრუტოსი (55. ტერო), მ. მპენზა (72. ბასეჯო).

**ტოტენჰემი:** რობინსონი, შიმბონდა, დოუსონი, ლი (81. სტალტერი), ჰალფრედსონი, ჟენასი, ლენონი, მალბრანკი, სოკორა, ბენტი (72. დეფო), კინი (59. ბერბატოვი).

**გოლები:** 1:0 გოორი (68), 1:1 ბერბატოვი (71-პენ)

**მაყურებელი:** 22 500

ამ ჯგუფში ერთი გამარჯვებული უკვე ცნობილია: „ტოტენჰემი" ფლეი ოფში აუცილებლად ითამაშებს, დანარჩენი ორი საგზურისთვის კი „ხეტაფე", „ანდერლეხტი" და „ჰაპოელი" იბრძვიან. ლონდონურმა კლუბმა ჯგუფის ცენტრალურ შეხვედრაში „ანდერლეხტს" მისსავე მოედანზე ქულა აართვა (1:1) და ჯგუფიდან გასვლა ასე გაინაღდა. „ტოტენჰემმა" 7 ქულა დააგროვა, ჯგუფის ლიდერია და მართალია, მეტი მატჩი ალარ აქვს, მაგრამ სამეულს მიღმა ვერანაირად ველარ ალმოჩნდება. თავიდან ბელგიელები დაწინაურდნენ – ანგარიში **ბარტ გოორმა** 68-ე წუთზე გახსნა, მაგრამ ზუსტად 3 წუთში **დიმიტარ ბერბატოვმა** წონასწორობა პენალტით ალადგინა. „ანდერლეხტი" მე-3 ადგილზეა, 5 ქულა აქვს და ბოლო ტურში „ხეტაფეს" ესტუმრება, რომელმაც აუტსაიდერი „ოლბორგი" სტუმრად 2:1 დაამარცხა. „ოლბორგს" არანაირი შანსი ალარ აქვს, აი, თელ ავივის „ჰაპოელი" კი, რომელიც ამ ტურში ისვენებდა და მეოთხე ადგილზეა, ჯერ კიდევ იმედოვნებს, რომ ჯგუფიდან გავა – ბოლო ტურში „ჰაპოელი" სწორედ „ოლბორგს" უმასპინძლებს. „ხეტაფე" და „ანდერლეხტი" კი ურთიერთობას ერთმანეთში გაარკვევენ.

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტოტენჰემი | 4 | 2 | 1 | 1 | 7-5 | 7 |
| 2. ხეტაფე | 3 | 2 | 0 | 1 | 5-4 | 6 |
| 3. ანდერლეხტი | 3 | 1 | 2 | 0 | 4-2 | 5 |
| 4. ჰაპოელი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-5 | 3 |
| 5. ოლბორგი | 3 | 0 | 1 | 2 | 4-6 | 1 |

### H ჯგუფი

**აუსტრია–პანიონიოსი 0:1**

**აუსტრია:** ფორნეცი, ბაკი, ერტლი (64. სულიმანი), მ. მაისტროვიჩი, შიმერი, აჩიმოვიჩი, ბლანშარი, ლასნიკი (71. მაირი), სარიარი, შტანდფესტი, ოკოტი (80. ლაფატა).

**პანიონიოსი:** კიონიგი, ბერტი, მანიატისი, პლეტჩი, სპიროპულოსი, გუნდულაკისი, კუმორძი (87. გასპარი), ი. მაისტროვიჩი, ნიკოლაუ (73. ფერნანდესი), სკუფალისი (85. კუცოპულოსი), ჯებური.

**გოლი:** 0:1 ი. მაისტროვიჩი (90)

**მაყურებელი:** 15 000

**ბორდო–ჰელსინგბორგი 2:1**

**ბორდო:** რამე, შალმი, ენრიკე, მარანჟი, პლანუსი, ტრემულინასი (62. ალონსო), დუკასი (61. დიარა), მენეგაცო, ჟუსი, შამახი (73. კავენაგი), ობერტანი.

**ჰელსინგბორგი:** დ. ანდერსონი, კ. ანდერსონი, იაკობსონი, რონინბერგი, ტამბურა, ვალსტედტი, ლანტცი, სკულასონი (85. შანსა), ლარსონი, მაკონდელე, ომოტოიოსი (71. სვანბაკი).

**გოლები:** 1:0 შამახი (12), 1:1 ლარსონი (17), 2:1 ჟუსი (69)

**გაძევება:** ტამბურა (63. ჰელსინგბორგი)

**მაყურებელი:** 12 000

H ჯგუფში მერვედფინალის 2 ბილეთი უკვე გათამაშებულია. „ჰელსინგბორგს" ამ ტურამდეც განაღდებული ჰქონდა ჯგუფიდან გასვლა. ასე რომ, შვედები დიდად არ ნერვიულობენ იმის გამო, რომ ბორდოში 1:2 დამარცხდნენ. „ბორდომ" კი ამ გამარჯვებით ახლა მოიპოვა ფლეი ოფის საგზური. მნიშვნელოვანი გამარჯვება იზეიმა „პანიონიოსმაც" – ბერძნებმა ვენაში „აუსტრიას" მოუგეს (1:0) და სამეულში აინაცვლეს. „პანიონიოსმა" ბოლო წუთზე **მაისტროვიჩის** მიერ გატანილი გოლით მოიგო. „აუსტრიამ" კი, ამ წაგებით ჯგუფიდან გასვლის თეორიული შანსიც დაკარგა. „პანიონიოსი" ბოლო ტურში ფაქტობრივად უმოტივაციო „ბორდოს" უმასპინძლებს, ხოლო „გალათასარაი", რომელიც ამ ტურში ისვენებდა და მეოთხე ადგილზე ჩამოქვეითდა, „აუსტრიას" მიიღებს.

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორდო | 3 | 3 | 0 | 0 | 6-3 | 9 |
| 2. ჰელსინგბორგი | 4 | 2 | 1 | 1 | 8-5 | 7 |
| 3. პანიონიოსი | 3 | 1 | 1 | 1 | 2-4 | 4 |
| 4. გალათასარაი | 3 | 1 | 0 | 2 | 6-5 | 3 |
| 5. აუსტრია | 3 | 0 | 0 | 3 | 1-6 | 0 |

ბარსელონა

# ვალდანო: ნუ გაყიდით რონალდინიოს

## რეალის ყოფილი სპორტული დირექტორი კატალონიელებს მეგობრულად ურჩევს...

**ხორხე ვალდანო** ესპანეთში ჩავიდა და ადგილობრივ საზოგადოებრივ ტელევიზიას ინტერვიუ მისცა. არგენტინელმა საფეხბურთო მოღვაწემ თითქმის მთელი დრო **რონალდინიოზე** საუბარს დაუთმო. არადა, ჟურნალისტები დარწმუნებულები იყვნენ, ბატონი ხორხე ყოფილი კლუბის შესახებ გაცილებით მეტს ილაპარაკებდა. თქვენს სამსჯავროზე ვალდანოს ინტერვიუს მცირე ფრაგმენტს გამოვიტანთ: *„მეჩვენება, რომ რონალდინიოს მნიშვნელობას მეტისმეტად აკნინებენ. ჩემი აზრით, იოჰან კრუიფის შემდეგ „ბარსელონას" ამდენად მნიშვნელოვანი ფიგურა არ ჰყოლია. შესაძლოა, ის ახლა საუკეთესო ფეხბურთს ვერ თამაშობს, მაგრამ ეს დროებითი მოვლენაა. ძალიან მალე გაუჩო ჩვეულ ფეხბურთს ითამაშებს. კატალონიელებისთვის ძალიან სავალალო იქნება, თუ მოთმინებას დაკარგავენ და გაყიდიან. „ბარსელონას" მთელი გულით ვურჩევ რონალდინიოს კარგად მოეპყრონ და კიდევ დიდი ხნით შეინარჩუნონ."*




რონალდინიო მედიის მთავარი თემაა

კონფლიქტი

# ტრისტანი vs დეპორტივო

„დეპორტივო" ერთ-ერთი ყველაზე გაჭირვებული და უფულო ესპანური გუნდია. პრეზიდენტი **აუგუსტო სესარ ლენდოირო** ფეხბურთელებისთვის ხელფასის გადახდას დიდი ტანჯვით ახერხებს. გალისიელთა უმაღლეს ხელისუფალს იმედი ჰქონდა, რომ უკანასკნელი ფულის მობილიზებას მოახდენდა და იანვრის სატრანსფერო ბაზრის გახსნისთანავე ერთ ფეხბურთელს მაინც შეიძენდა...

მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ლენდოირო ამ ტრანსფერის გაჩარხვას ვერ მოახერხებს. „დეპორტივოს" ფინანსური პრობლემები **დიეგო ტრისტანის** სარჩელმა გაურთულა. ესპანელმა ფორვარდმა „დეპორს" ერთდროულად ესპანეთის ფეხბურთის სამეფო ფედერაციასა და ფიფაში უჩივლა. ტრისტანი იმ თანხის გასტუმრებას ითხოვს, რომელიც „დეპორტივოს" მის მიმართ დაუგროვდა. როგორც გაირკვა, ლაკორუნიელებს დიეგოსთვის თითქმის ერთი წლის ხელფასი არ გადაუხდიათ. იმ შემთხვევაში, თუ ლენდოირო დავალიანებას არ გაისტუმრებს, ფიფა „დეპორტივოს" სასტიკად დასჯის. სულ მცირე ამ გუნდს სეგუნდა დივიზიონში დააქვეითებენ. სენიორ აუგუსტო სესარი ამ საფრთხემ უკიდურესად შეაშინა და ფულის მოძიება დაიწყო. საუბარი 2,1 მილიონ ევროაზეა.

ინტერვიუ კრისტიან ვიორნსთან

# ბაიერნს ძალიანაც ვუნდოდი, მაგრამ...

## ვეტერანი მცველი ყველაფრის თავიდან დაწყებას აპირებს



კრისტიან ვიორნსი: მე ყოველთვის მებრძოლი ვიყავი!

**35 წლის კრისტიან ვიორნსი დორტმუნდის „ბორუსიის" ძირითად შემადგენლობაში ველარ ხვდება. მან სეზონი იმდენად ცუდად დაიწყო, რომ კრიტიკის ქარცეცხლში იქნა გატარებული, რის შემდეგაც BVB-ს მთავარმა მწვრთნელმა თომას დოლმა ის სასტარტოდან ამოაგდო. მაგრამ კრისტიანი მებრძოლი სულის მქონე ადამიანია და ცხადია, დანებებას არ აპირებს, ამბობს, კარიერას სათადარიგოთა სკამზე ნამდვილად არ დავასრულებ, ყველაფერს თავიდან დავიწყებ და ჩემსას მაინც მივაღწევ – ძირითად შემადგენლობაში დავბრუნდებიო. ვიორნსს „ბილდის" კორესპონდენტი გაესაუბრა.**

**- ჰერ ვიორნს, სეზონი გუნდის კაპიტნის რანგში დაიწყეთ. ახლა კი სათადარიგო ფეხბურთელი ხართ. როგორ გადაიტანეთ დეგრადირება?**

- ცხადია, ძალიან რთულ სიტუაციაში აღმოვჩნდი და რომ ვთქვა, უკმაყოფილო არ ვარ-მეთქი, ნამდვილად მოგატყუებთ. მაგრამ გაიხსენეთ: მე ყოველთვის მებრძოლი ვიყავი. შესაბამისად, დანებებას არც ახლა ვაპირებ. სამწუხაროდ, ამ ყველაფერს ისიც დაემატა, რომ ტრავმა მივიღე, მაგრამ არა უშავს, ყველაფერს თავიდან დავიწყებ. კარიერის დასრულებას სათადარიგო ფეხბურთელის რანგში არ ვაპირებ – ეს არ მოხდება!

**- მოდით, აგვიხსენით, როგორ და რატომ მოხდა ეს ყველაფერი?**

- ყველაფერი ძალიან მარტივია: ისე კარგად ველარ ვთამაშობდი, როგორც ადრე. ძალიან ბევრ შეცდომას ვუშვებდი და არცაა გასაკვირი, ასე რომ მოხდა.

**- 35 წლის ხართ და არც ისაა გასაკვირი, რომ სისწრაფე დაგაკლდათ...**

- ერთი რამ აუცილებლად უნდა ითქვას: ფიზმომზადების მხრივ მთელ გუნდში საუკეთესო მონაცემები მაქვს. და სხვათა შორის, სპრინტ-ტესტებშიც არასდროს ჩავჭრილვარ. აქ საქმე ჩემს სისწრაფეში ნამდვილად არ არის.

**- მაშინ გვითხარით, რაშია საქმე?**

- ორთაბრძოლებში აღარ მიმართლებდა! ძალიან ბევრ მომენტში აღარ გამიმართლა და სულელური შეცდომები დავუშვი. მაგრამ უკვე 9 წელია, რაც „ბორუსიაში" ვთამაშობ და ის, რომ ორი-სამი მატჩი ჩავაგდე, ნამდვილად არ არის კატასტროფა.

**- არის თუ არა ეს თქვენი კარიერის ყველაზე მძიმე ფაზა?**

- მინდა გითხრათ, რომ ეს ჩემი პირველი კრიზისია. აქამდე ასეთ ვითარებაში არასდროს ვყოფილვარ.

**- როგორ აგიხსნათ მწვრთნელმა ის, რომ ძირითად შემადგენლობაში აღარ ითამაშებდით, რა გითხრათ თომას დოლმა?**

- მან თავის ოთახში მიხმო და ყველაფერი დაწვრილებით, ძალიან მეგობრულად ამიხსნა. ფაქტი იყო ისიც, რომ „ლევერკუზენთან" მატჩის შემდეგ რობერტ კოვაჩს სასტარტოდან არ ამოაგდებდა, რადგან რობერტმა ის თამაში, როგორც იქნა, ძალიან კარგად ჩაატარა. ამას გარდა, „ბორუსიას" „ბაიერნთან" მინიმუმ ერთი ძალიან მაღალი მცველი სჭირდებოდა, რადგან ლუკა ტონის საჰაერო ორთაბრძოლებში ვერც მე გავუმკლავდებოდი და ვერც კოვაჩი. ამიტომაც, დოლმა „ბაიერნთან" კოვაჩთან ერთად მარკუს ბრჟენსკა ათამაშა.

**- და მისი ეს გადაწყვეტილება მშვიდად მიიღეთ?**

- რა თქმა უნდა. როგორც უკვე ვთქვი, ძალიან ბევრ შეცდომას ვუშვებდი და არანაირი არგუმენტი არ მქონდა იმის საწინააღმდეგოდ, რომ სათადარიგოთა სკამზე უნდა ვმჯდარიყავი. შესაბამისად, მწვრთნელის გადაწყვეტილება მშვიდად მივიღე.

**- 2006 წელს იურგენ კლინსმანმა თქვენზე უარი თქვა და მუნდიალზე არ გათამაშამათ, ახლა კი, იგივე „ბორუსიაშიც" მოხდა...**

- კლინსმანის შესახებ საუბარი არ მინდა და არც იმ ისტორიაზე ვისაუბრებ – ის ამბავი უკვე წარსულს ჩაბარდა და არანაირი სურვილი არ მაქვს, რომ კიდევ ერთხელ გავიხსენო. მხოლოდ იმას შეგახსენებთ, რომ ამ სიტუაციისგან განსხვავებით, მაშინ მე საუკეთესო ფორმაში ვიყავი და „ბორუსიაში" ერთმანეთზე უკეთეს მატჩებს ვატარებდი. გაცილებით უკეთესი იქნებოდა, რომ კლინსმანს პირდაპირ ეთქვა, ვიორნსი აღარ მჭირდება და ამიტომ არ ვიძახებო. სრული სიცრუე და ამაზრზენი ალიბი იყო ის, რომ თითქოს მე ნაკრებში ცუდად ვთამაშობდი.

**- რას ამბობენ თქვენი შვილები იმის შესახებ, რომ მათი მამა „ბორუსიაში" სკამს ხეხავს.**

- (იცინის) ჩემი ექვსი წლის ვაჟი უკვე სერიოზულად იმუქრება, თუ კიდევ არ გათამაშებენ, გუნდიდან გამოგიყვანო. მეორე ვაჟი კი გაურკვევლობაშია და სულ მეკითხება, რატომ არ თამაშობო. ცხადია, ვეუბნები, რომ სათანადო კონდიციაში არ ვარ.

**- არის თუ არა თომას დოლი „დორტმუნდისთვის" ღირსეული მწვრთნელი?**

- რა თქმა უნდა! თომასი ძალიან იოლად აგებინებს ფეხბურთელებს იმას, რასაც მათგან ითხოვს და შესანიშნავ ვარჯიშებს ატარებს. დოლი ძალიან აქტიური და თბილი ადამიანია, ვფიქრობ, BVB-ს სწორედ ასეთი თავკაცი სჭირდებოდა. როცა საჭიროა, ბრაზდება, როცა საჭიროა, ხუმრობს. ჩემი აზრით ის შესანიშნავი მწვრთნელია.

**- მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ კარიერას დაამთავრებთ?**

- ფიზიკურად თავს ძალიან კარგად ვგრძნობ და კარიერა რატომ უნდა დავასრულო?

**- გუნდის ხელმძღვანელებისგან რაიმე ნიშანი მიიღეთ იმის თაობაზე, რომ თქვენთან კონტრაქტის გაგრძელებას მოისურვებენ?**

- დიახ. გვინდა, რომ უახლოეს მომავალში დავსხდეთ და ახალი ხელშეკრულების შესახებ დავილაპარაკოთ. ვნახოთ, რას შემომთავაზებენ.

**- თქვენს აქტუალურ კონტრაქტში ჩადებულია პუნქტი, რომლის მიხედვითაც, ხელშეკრულება ავტომატურად მხოლოდ იმ შემთხვევაში გაგრძელდება, თუ მინიმუმ 25 მატჩს ჩაატარებთ. ჯერ მხოლოდ 10 თამაში გამართეთ...**

- არა მგონია, რომ ხელმძღვანელებმა და მე მარტამდე ან აპრილამდე მოვიცადოთ. ორივე მხარეს გვინდა, რომ გარანტია გვქონდეს.

**- იქნებ გამოგეპარათ ის დრო, როცა სპორტიდან უნდა წასულიყავით?**

- კარგი კითხვაა. როდის მოვიდა ის დრო? როდის არის ადამიანი ძალიან ზანტი და როდის ემუქრება მას ხშირი ტრავმები? მე ფეხბურთს მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო ვთამაშობ, რომ ეს მსიამოვნებს. მართალია, რთულ მდგომარეობაში ვარ, მაგრამ ბუცების ლურსმანზე ჩამოკიდებას ჯერ არ ვაპირებ.

**- თუკი „ბორუსიასთან" ვერ შეთანხმდით, სხვა გუნდში გადასვლაზე იფიქრებთ?**

- დორტმუნდში დიდი ხანია ვცხოვრობ და ჩემი ოჯახი აქ თავს ძალიან კარგად გრძნობს. ძალიან მინდა, რომ ამ გუნდში დავრჩე, რადგან ჩემთვის მთავარი ის არის, რომ ჩემმა ოჯახმა თავი კარგად იგრძნოს. ეს კი მხოლოდ დორტმუნდშია შესაძლებელი. მარტო რომ ვიყო, ყველაფერი გაცილებით მარტივად იქნებოდა – ბარგს ჩავალაგებდი და სადაც მომინდებოდა, იქ წავიდოდი, მაგრამ მე ოჯახი მყავს და მათ გარეშე ვერაფერს გადავწყვეტ. ესეც არ იყოს, მხოლოდ ერთი წლით გუნდის და ქალაქის შეცვლა? არა მგონია, რომ ამის გაკეთება ღირდეს.

**- კარიერის დასრულების შემდეგ რას აპირებთ?**

- ერთი-ორი წელი დავისვენებ, ეს ფაქტია. მერე კი, ბავშვთა გუნდების გაწვრთნას შევუდგები.

**- ჰერ ვიორნს, იქნებ თქვენ მაინც გვითხრათ, რატომ ვერ აღწევს „ბორუსია" წარმატებას? ერთი შეხედვით ყველაფერი რიგზეა: გუნდმა ჩინებული ფეხბურთელები იყიდა და კარგი შემადგენლობა ჰყავს, თქვენი თქმით, მწვრთნელიც იდეალურია. მაშ რა ხდება?**

- მიზეზი ის არის, რომ დორტმუნდში წარმოუდგენლად დიდი ქაოსია. ეს ქაოსი მედიისგანაც მოდის, ფანებისგანაც და უშუალოდ გუნდის წევრებისგანაც. შესაბამისად, გუნდს თავდაჯერება აკლია. ფეხბურთელები ყველა თამაშში დაძაბულები არიან, თითქოს თამაშის დროს ზურგზე რუკზაკები კიდიათ.

**- გჯერათ, რომ ვიორნსი-კოვაჩის დაცვა ამ სეზონში კიდევ ითამაშებს?**

- ეს ჩემი გადასაწყვეტი არაა, მაგრამ თუ ჩემი პირადი აზრი გაინტერესებთ, ვფიქრობ, რომ ასე იქნება.

**- სჭირდება თუ არა BVB-ს ზამთარში ახალი ფეხბურთელები?**

- თუკი ბოსები ვინმეს იყიდიან, მაშინ მაღალი კლასის მოთამაშე უნდა შეიძინონ. კარგი ფეხბურთელი არცერთ გუნდს არასდროს არ აწყენს.

**- 2002 წელს „დორტმუნდთან" ერთად გერმანიის ჩემპიონი გახდით, 1993-ში კი „ლევერკუზენთან" ერთად გერმანიის თასი მოიგეთ. საკმარისია ეს ორი ტიტული?**

- იმის ფონზე, თუ რაოდენ დიდი სამუშაო გავწიე ამ ხნის მანძილზე, ეს ორი ტიტული საკმარისი ნამდვილად არ არის. შესაძლოა, სხვა გუნდში უნდა გადავსულიყავი...

**- „ბაიერნს" თქვენი გადაბირება არასდროს მოუსურვებია?**

- როგორ არა, რეკორდმაისტერს ძალიანაც ვუნდოდი, მაგრამ...

**- მაგრამ?**

- (იცინის) შესაძლოა, შეცდომა დავუშვი, მიუნხენელთა წინადადებაზე უარი რომ ვთქვი...

**გოტფრიდ ლენცი**

### ხოაკინმა მილიონებზე უარი თქვა

ესპანეთის ნაკრების ნახევარმცველმა **ხოაკინმა** განაცხადა, რომ ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ის „ბეტისის" ფეხბურთელი იყო, უარი თქვა რომან აბრამოვიჩის დაჟინებულ თხოვნაზე, რომ „ჩელსიში" გადასულიყო. ნიჭიერ განაპირა ნახევარმცველს ლამის მთელი მსოფლიო იწვევდა, მან კი სამშობლოში დარჩენა გადაწყვიტა და შარშან აგვისტოში, 25 მილიონად „ვალენსიაში" გადაბარგდა. ის გამოტყდა, რომ მართლა ჰქონდა მოლაპარაკებები უშუალოდ **ჟოზე მოურინიოსთან**, მის ტრანსფერს „ჩელსის" ხელმძღვანელობა 42 მილიონ ევროდ აფასებდა, მაგრამ მან პრემიერლიგაზე უარი თქვა. *„ის რასაც ლონდონელები მე მთავაზობდნენ, დაუჯერებელი იყო. თუმცა დავფიქრდი და გადავწყვიტე, რომ მსურდა, ბედნიერი ვყოფილიყავი. ამისთვის კი „ვალენსიაში" გადასვლა იყო აუცილებელი. მე ვერ მივიღე მილიონები, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ლონდონში უკეთეს ცხოვრებას ვერ ვიპოვნიდი. მე არ ვნანობ ჩემს გადაწყვეტილებას. ჩემთვის ფეხბურთში ფული მთავარი მოტივაცია არ არის,"* - განაცხადა ფეხბურთელმა.

### რომარიო სტიქიაშია

სწორედ გუშინ გაცნობებდით, რომ 41 წლის ბრაზილიელი **რომარიო**, რომელსაც ვერაფრით გადაუწყვეტია ფეხბურთიდან წასვლა, აკრძალული პრეპარატების მოხმარებაშია ეჭვმიტანილი. მას „ვასკო და გამასთან" გარდა მოთამაშის კონტრაქტისა, მწვრთნელის ხელშეკრულებაც აქვს გაფორმებული. ლეგენდარულმა ფეხბურთელმა სამწვრთნელო სკამზე ოქტომბრის თვეში **ვალდირ ესპინოზა** შეცვალა. მიუხედავად იმისა, რომ შეთანხმება სულ ახლახანსაა გაფორმებული, მხარეები უჩვეულო გადაწყვეტილებამდე მივიდნენ და რატომღაც მისი ერთი თვით (?!) გახანგრძლივება გადაწყვიტეს.

### მალდინი არ ჩქარობს

**პაოლო მალდინიმ** უარყო იტალიური პრესის მიერ გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს ის კარიერის დასრულებას მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგვე გეგმავს. *„ჩემი კონტრაქტი „მილანთან" სეზონის დასრულებამდე მოქმედებს და ამასთან ვერანაირ მიზეზს ვერ ვხედავ, რის გამოც შეიძლება კარიერის დასრულებაზე ამ ვადამდე ვიფიქრო* - განუცხადა ვარსკვლავმა „როიტერს"- *მე მშვენიერ ფორმაში ვარ და მთელი კონცენტრაცია საკონტინენტთაშორისო თასისკენ მაქვს."*

### სპარტაკის გულშემატკივრებმა აურიეს

„რია ნოვოსტის" ცნობით, „სპარტაკსა" და „ციურიხს" შორის გამართული უეფა-ს თასის მატჩის შემდეგ, წვრილმანი სამართალდარღვევების გამო 40-მდე რუსი გულშემატკივარია დაკავებული. *„ესენი ძირითადად ის ახალგაზრდები არიან, რომლებიც სტადიონზე მთვრალები მივიდნენ და ყოველ ნაბიჯზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებს სჩადიოდნენ. უსაფრთხოების დაცვის მიზნით, გულშემატკივრები სხვადასხვა სექტორში განვათავსეთ. ამას გარდა, მატჩის დასრულების შემდეგ შვეიცარიელი ფანები მილიციის ქვედანაყოფებმა ჯერ ავტობუსებამდე მიაცილა, ამის შემდეგაც სპეციალური კორტეჟის თანხლებით სასტუმრომდე,"* - განაცხადა მილიციის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა. მატჩზე წესრიგს შინაგან საქმეთა ჯარების 1 600 წარმომადგენელი იცავდა. შეგახსენებთ, რომ „სპარტაკმა" **იგორ ტიტოვის** მიერ 57-ე წუთზე გატანილი გოლის წყალობით მატჩი 1:0 მოიგო.

რეალი

# კალდერონი კაკასთვის ბრძოლას განაახლებს

**რამონ კალდერონს** გამჩენი არ ასვენებს. **ადრიანო გალიანიმ** უამრავჯერ უთხრა, უმინიმალურესი შანსიც არ არსებობს იმისათვის, რომ **კაკა** მოგყიდოთო. მიუხედავად ამისა, სამეფო კლუბის პრეზიდენტი უკან არ იხევდა და კვირაში ერთხელ „მილანის" ოფისში რეკავდა. პასუხი ყოველთვის ერთი და იგივე გახლდათ, კაკა არ იყიდება, ძალიან გთხოვთ, თავი დაგვანებეთ. ზაფხულის სატრანსფერო ბაზრის დახურვის შემდეგ კალდერონმა თითქოს ფარ-ხმალი დაყარა. ყოველ შემთხვევაში, სენიორ რამონი აღარ აქტიურობდა, მაგრამ აი, მოახლოვდა იანვრის სატრანსფერო ბაზრის გახსნის თარილი და კაკასთან დაკავშირებულმა ციებ-ცხელებამ კიდევ ერთხელ იჩინა თავი. გუშინ რამონ კალდერონმა „რეალის" გულშემატკივრებს პირობა მისცა, რომ ბრაზილიელი გენიოსის ხელშიჩასაგდებად თავდაუზოგავად იბრძოლებს: *„გადავწყვიტე, ესპანეთის ფეხბურთის სამეფო ფედერაციის პრეზიდენტთან ერთად საკლუბო მუნდიალზე გავემგზავრო. იქ „მილანის" ხელმძღვანელებს შევხვდები და კიდევ ერთხელ განვუცხადებ, რომ კაკა ჩვენი გუნდისთვის უპირველესი სამიზნეა. ვიცი, ადრიანო გალიანი ჩემს სიტყვებს სიხარულით არ მოისმენს და ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ურთიერთობის ყოველგვარი სურვილი დამაკარგვინოს, მაგრამ მე მზად ვარ იტალიელთა უარყოფას ცივსისხლიანად მოვეკიდო და პრაგმატულად ვიმოქმედო. მთავარია, მიზანს მივაღწიო. დირექტორატის წევრებთან ერთად ამ საკითხზე საფუძვლიანად ვიმუშავე. შევათანხმეთ ყველა ის სტრატეგია, რომელიც ასეთი ხმაურიანი ტრანსფერის გაჩარხვისას დაგვჭირდება. მზად ვართ, ურთულესი ბრძოლა წამოვიწყოთ და მოლაპარაკებები გამარჯვებისკენ წარვმართოთ. ამისათვის ძალიან ბევრი პირობა გვაქვს, თუმცა წარმატების გარანტია, რა თქმა უნდა, არ არსებობს. უნდა გავითვალისწინოთ, რომ „მილანთან" გვაქვს საქმე, ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს და უმდიდრეს კლუბთან."*

კაკა „რეალის" უპირველესი სამიზნეა, მაგრამ არა ერთადერთი. მადრიდელებს **კარლოს ვილიანუევას** გადაბირების სურვილიც გაუჩნდათ. ესპანური გრანდის მესვეურები მიიჩნევენ, რომ 21 წლის ჩილელ ფეხბურთელს უდიდესი პერსპექტივა აქვს და „სანტიაგო ბერნაბეუზე" ფანტასტიკურ კარიერას გაიკეთებს. ვილიანუევა „აუდაქსში" თამაშობს. ეს გუნდი ჩილეს ჩემპიონატში მესამე ადგილზეა. **პრედრაგ მიატოვიჩი** გუნდის მესვეურებთან დაკავშირებას და სატრანსფერო თანხის გარკვევას აპირებს. თუ სამხრეთამერიკელები არარეალურ თანხას არ მოითხოვენ, „რეალი" ახალგაზრდა ნახევარმცველს უსიკვდილოდ შეიძენს.



მადრიდელები თავისას არ იშვიან, მათ ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის ხელში ჩაგდება უნდათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. XV ტურის წინ

# დღეს ეტოო უნდა დაბრუნდეს

**დღეს**

ოსასუნა-ვალენსია
ბილბაო-რეალი

**ხვალ**

სევილია-მურსია
რასინგი-მალიორკა
ალმერია-ვალიადოლიდი
ვილიარეალი-ბეტისი
ლევანტე-რეკრეატივო
სარაგოსა-ესპანიოლი
ატლეტიკო-ხეტაფე
ბარსელონა-დეპორტივო

„ბილბაოსთან" საკმაოდ რთული გასვლითი ორთაბრძოლის წინ **ბერნდ შუსტერს რუუდ ვან ნისტელროი** და **ვესლი სნაიდერი** დაუბრუნდნენ. მიკრო ტრავმების გამო „რეალის" ჰოლანდიელი ლეგიონერები ორი დღის განმავლობაში ვერ ვარჯიშობდნენ. პარასკევს კი ისინი მოედანს დაუბრუნდნენ და სრული დატვირთვით ივარჯიშეს. სამეფო კლუბის მთავარი მწვრთნელი ამ გარემოებით ძალიან გახარებულია, თუმცა შიშობს, რომ ვან ნისტელროი უმცირეს დროში სრულად რეაბილიტირებას ვერ მოასწრებს. ამიტომ, გერმანელმა სპეციალისტმა **ჟულიო ბაპტიშტას** ძირითად შემადგენლობაში დაყენების შესაძლებლობაზე ჩამოაგდო სიტყვა: *„ვფიქრობ, ბაპტიშტა 100 პროცენტითაა მზად ძირითადში იასპარეზოს და გუნდს უდიდესი სარგებელი მოუტანოს. ამ ბიჭის მონდომება, შრომისმოყვარეობა, გამძლეობა და პროფესიონალიზმი აღფრთოვანებას იწვევს. მთელი რიგი მიზეზების გამო ბრაზილიელი იშვიათად ახერხებს მოედანზე გასვლას, თუმცა როცა მინდორზეა საოცრებებს აკეთებს. ის აშკარად იმსახურებს, რომ შესაძლებლობების გამომჟღავნების შანსი უფრო ხშირად მივცეთ."*

ამასობაში, სამეფო კლუბს **გუტი** დაუბრუნდა. გეცოდინებათ, რომ ხოსე მარიამ წინა ტურის შეხვედრა დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა. მან კარგად დაისვენა და ახლა ბასკებზე ილესავს კბილებს. ესპანური პრესის ინფორმაციით შუსტერმა განაცხადში **როისტონ დრენტეც** შეიყვანა. ჰერ ბერნდმა ახალგაზრდა ჰოლანდიელს წყალობის თვალით მას შემდეგ გადახედა, რაც სანტიაგო ბერნაბეუს თასზე „პარტიზანის" წინააღმდეგ ფანტასტიკურად იასპარეზა. თავად განსაჯეთ, დრენტემ გოლი გაიტანა არაერთ სახიფათო კომბინაციაში მიიღო მონაწილეობა. ამის პარალელურად მწვრთნელის გადაწყვეტილების გამო **სოლდადოს, სალგადოს, ბალბოას, მეტცელდერისა** და **იგუაინის** თამაში გამოირიცხა. შუსტერს იმედი ჰქონდა, რომ **გაბრიელ ჰაინცე** დროულად გამოჯანმრთელდებოდა, თუმცა არგენტინელ მცველს ფეხი ისევ ტკივა. ბუნებრივია, მოედანზე გასვლას ისიც ვერ შეძლებს.

სამეფო კლუბი ბასკეთს ამ შემადგენლობით გაემგზავრა: *კასილიასი, კოდინა, სერხიო რამოსი, კანავარო, პეპე, მარსელო, ტორესი, დრენტე, დიარა, გუტი, გახო, რობენი, სნაიდერი, ბაპტიშტა, რობინიო, ვან ნისტელროი, რაული, სავიოლა.*

კოპენჰაგენში უეფას თასის მორიგ ტურში მოპოვებული გამარჯვების (2:0) შემდეგ „ატლეტიკოს" ფეხბურთელებს დასასვენებლად დრო საერთოდ არ ჰქონიათ. მადრიდში დაბრუნებისთანავე მათ „ხეტაფესთან" მატჩისთვის მზადება დაიწყეს. თავად განსაჯეთ, დანიიდან ისინი ღამის 5 საათზე ჩაფრინდნენ. შუადღის 12 საათზე კი უკლებლივ ყველა მოთამაშე საწვრთნელ ბაზაზე გამოცხადდა და მსუბუქად ივარჯიშა. იმათ კი, ვისაც „კოპენჰაგენთან" არ უთამაშია **ხავიერ აგირემ** გაცილებით დიდი დატვირთვა მისცა. ბოლოს კი კანტერის ბიჭებთან სპარინგ მატჩი გააჩაღეს. ვარჯიშს მხოლოდ ორი კაცი აკლდა. **ანტონიო ლოპესს** ოჯახური პრობლემები შეექმნა და კლუბის ხელმძღვანელობამ ულაპარაკოდ გაათავისუფლა. **ხოსე ანტონიო რეიესმა** კი გასულ კვირას „ბეტისთან" მიღებული ტრავმა აქამდე ვერ მოიშუშა, თუმცა „როხიბლანკოს" პრესსამსახურის თქმით, უვარჯიშებლობის მიუხედავად მათი თამაში გამორიცხული სულაც არ არის. თუ სენიორ აგირე საჭიროდ ჩათვლის, ლოპესი და რეიესი დედაქალაქურ დერბიში იასპარეზებენ. რასაც ვერ ვიტყვით **მანუელ ხურადოზე, ლეო ფრანკოზე, გიორგიოს სეიტარიდისსა** და **პაბლო იბანიესზე**. პირველ სამს სხვადასხვა სიმძიმის ტრავმა აწუხებს და „ატლეტიკოს" ვერაფრით დაეხმარებიან. იბანიესი კი სადისციპლინო კომიტეტმა ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა.

„ბარსელლონაში" სადღესასწაულო განწყობაა. ამის მიზეზი **სამუელ ეტოოს** გამოჯანმრთელებაა. კამერუნელმა ფორვარდმა მუხლის უმძიმესი ტრავმა საბოლოოდ მოირჩინა და გასული კვირა ინტენსიურ ვარჯიშში გაატარა. არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ სამუ ყველას ძალიან მოენატრა. კატალონიელებს არცთუ დალხინებულმა ცხოვრებამ დაანახა, რომ „ბარსასთვის" ეტოო ფაქტობრივად, შეუცვლელი ფიგურაა. **რაიკაარდი** ამ ნანატრ დღეს სამ თვეზე მეტი ხანია ელოდა. ჰოლანდიელმა სპეციალისტმა არც აცია, არც აცხელა და შეგირდი ძირითადი შემადგენლობის ბიჭებთან ერთად ავარჯიშა. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, რომ სამუელი ავტომატურად ძირითადში იასპარეზებს, თუმცა საამისო ალბათობა საკმაოდ დიდია. ყოველ შემთხვევაში, „ბარსელონის" ბაზაზე მისულმა ჟურნალისტებმა აღმოაჩინეს, რომ რაიკაარდი **მესის, რონალდინიოსა** და ეტოოს ისეთივე შემართებითა და ენთუზიაზმით ამზადებდა, როგორც იმ დროს, როცა გენიალური ტრიო ქვასქვაზე არ ტოვებდა. ჩვენი კოლეგების მტკიცებით, კატალონიური გრანდის თავკაცი სწორედ ეტოოს მოვლენათა ეპიცენტრში დაბრუნებას აპირებს. კაცმა რომ თქვას, პრობლემებით დაუძლურებულ „დეპორტივოსთან" მატჩში დიდი ხნის განმავლობაში უთამაშებელი და უვარჯიშებელი ფორვარდის გამოყვანა განსაკუთრებულ საფრთხეს არ შეიცავს. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ **ტიერი ანრი** ისევ ტრავმირებულია და საკვირაო შეხვედრისთვის სათანადო მომზადებას ვერ მოასწრებს. რონალდინიოს, მესისა და ეტოოს ტრიოს გასული სეზონის შემდეგ ერთად არ უთამაშია. მაშინ „ბარსელონამ" „კამპ ნოუზე" მესის დუბლის, **ძამბროტას, პუიოლისა** და რონალდინიოს გოლების წყალობით ხიმნასტიკს 5:1 მოუგო. ეტოოს გამოჯანმრთელებასთან ერთად პირენეულ მედიაში ისევ გაჩნდა კითხვა, ვარსკვლავური ოთხეულიდან ვის მოუწევს სათადარიგოთა სკამზე დაჯდომა. მართალია, რონალდინიოს ახლა რთული პერიოდი უდგას, მაგრამ ყველა დარწმუნებულია, რომ ბრაზილიელი ფორვარდი სათადარიგოთა სკამზე დიდ ხანს არ დარჩება. აშკარაა, რაიკაარდს ძალიან რთული არჩევანის გაკეთება მოუწევს.

ხსენებულ ვარჯიშზე მედიელებმა კიდევ ერთი საგულისხმო გარემოება შენიშნეს. კერძოდ, რაიკაარდმა დაცვაში ძამბროტა, **აბიდალი**, პუიოლი და **ტურამი** ათამაშა. როგორც ჩანს, **გაბრიელ მილიტოს** სწორედ ფრანგი მცველი შეცვლის. არგენტინელს მიკრო ტრავმა აწუხებს და კატალონიელებს რისკზე წასვლა არ სურთ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ 22 დეკემბერს „ბარსელონა" მის დაუძინებელ მტერს, მადრიდის „რეალს" დაუპირისპირდება. ამ დროისთვის ყველა წამყვანი ფეხბურთელი მწყობრში უნდა იყოს. მათ შორის, **დეკუც**, რომელმაც შუა კვირაში უდიდესი სკანდალი მოაწყო. აღნიშნულ თემაზე უკვე ვისაუბრეთ, თუმცა მაინც შეგახსენებთ, რომ პორტუგალიელმა თვენახევრიანი ტრავმის შემდეგ ვარჯიში ექიმების უკითხავად, თვითნებურად განაახლა. ვოლუნტარიზმის გამოვლინებას „ბარსას" მთავარი ექიმი **რიკარდ პრუნა** შემთხვევით შეესწრო და დეკუს ვარჯიშის დაუყოვნებლივ შეწყვეტა მოსთხოვა. ნახევარმცველმა კი წივილ-კივილი მორთო. რაიკაარდმა სამედიცინო შტაბის პოზიცია უფრო დამაჯერებლად მიიჩნია და დეკუს წვრთნა შეაწყვეტინა.



სამუელ ეტოომ ტრავმა მოიშუშა

გუშინ გვიან ღამით გავრცელდა ინფორმაცია, რომ **იაია ტურეს** მარცხენა კოჭი ტკივა. თუ კვირას დილის 11 საათამდე აფრიკელს ტკივილი არ გაუვლის, მას სამატჩო განაცხადიდან ამოაგდებენ...

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 14 | 10 | 2 | 2 | 33-14 | 32 |
| 2. ბარსელონა | 14 | 8 | 4 | 2 | 27-11 | 28 |
| 3. ვილიარეალი | 14 | 9 | 1 | 4 | 26-21 | 28 |
| 4. ატლეტიკო | 14 | 8 | 3 | 3 | 29-17 | 27 |
| 5. ესპანიოლი | 14 | 7 | 5 | 2 | 20-15 | 26 |
| 6. ვალენსია | 14 | 8 | 0 | 6 | 20-23 | 24 |
| 7. რასინგი | 14 | 6 | 5 | 3 | 12-12 | 23 |
| 8. მალიორკა | 14 | 5 | 5 | 4 | 24-21 | 20 |
| 9. სარაგოსა | 14 | 5 | 3 | 6 | 21-22 | 18 |
| 10. ხეტაფე | 14 | 5 | 3 | 6 | 16-17 | 18 |
| 11. ბილბაო | 14 | 4 | 5 | 5 | 15-16 | 17 |
| 12. სევილია | 14 | 5 | 1 | 8 | 25-21 | 16 |
| 13. ოსასუნა | 14 | 4 | 4 | 6 | 17-18 | 16 |
| 14. ალმერია | 14 | 4 | 4 | 6 | 12-15 | 16 |
| 15. ვალიადოლიდი | 14 | 4 | 4 | 6 | 21-26 | 16 |
| 16. მურსია | 14 | 3 | 6 | 5 | 10-15 | 15 |
| 17. რეკრეატივო | 14 | 4 | 3 | 7 | 10-19 | 15 |
| 18. დეპორტივო | 14 | 3 | 4 | 7 | 13-21 | 13 |
| 19. სევილია | 14 | 2 | 5 | 7 | 13-22 | 11 |
| 20. ლევანტე | 14 | 2 | 1 | 11 | 11-29 | 7 |

ვალენსია

# კანისარესი შეცდომებს ინანიებს

## სულელური გოლები, მნიშვნელოვანი ქულები, მოუშუშებელი ტრავმა

**სანტიაგო კანისარესის** უსახური თამაშის გამო „ვალენსიამ" მიმდინარე სეზონში არაერთი ქულა დაკარგა. ბევრს მიაჩნია, რომ სანტი დაბერდა და ყველა უბედურების მიზეზიც ეს არის. თავად კანისარესს კი აბსოლუტურად სხვა მოსაზრება გააჩნია: *„თავს არ ვიმართლებ, რამდენიმე სულელური გოლი გავუშვი და გუნდს ძალიან მნიშვნელოვანი ქულები დავაკარგვინე... თუმცა ამის მიზეზად ჩემს ასაკს ვერ დავასახელებ. მართალია, ფეხბურთელისთვის საკმაოდ ასაკოვანი ვარ, მაგრამ თავს ძალიან მხნედ ვგრძნობ. შეცდომების მიზეზი მოუშუშებელი ტრავმაა. გუნდს სრულ გამოჯანმრთელებამდე დავუბრუნდი და ამით ძალიან სერიოზული შეცდომა დავუშვი. აშკარად ჯობდა, მკურნალობა გამეგრძელებინა და ვარჯიში მხოლოდ ამის შემდეგ განმეახლებინა. გაგიმხელთ, რომ ტკივილი ბოლომდე დახარჯვის საშუალებას არ მაძლევდა და ამ გარემოებამ თამაშებისას იჩინა თავი."*

თვითკრიტიკა კარგია, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, რომ კანისარესს ამ აღიარებამ უშველოს. საქმე ის არის, რომ „ვალენსიის" გულშემატკივრები გუნდის სამარცხვინო თამაშის გამო აღშფოთებას არ მალავს. ამასწინათ მოგახსენეთ, რომ ინჩასები მოთამაშეების სახლებთან ობსტრუქციებს აწყობდნენ. მათ ესეც არ იკმარეს და „მესტალიის" კედლებზე შეურაცხმყოფელი წარწერები გააკეთეს. ფანებმა უკლებლივ ყველა ფეხბურთელის დედებს მეძავები უწოდეს და შეეცადნენ, ეს სიტყვები იმდენად დიდი ასოებით დაეწერათ, რომ გამვლელებს ძალიან შორიდან დაენახათ.




სანტიაგო კანისარესი

### პსჟ-ს პოლიცია იცავს

პსჟ-ს ირგვლივ სიტუაცია ყოველდღიურად იძაბება. ხუთშაბათს, ვარჯიშისას გუნდის ქალაქგარეთ არსებულ ბაზას აგრესიული ფანებისგან პოლიცია იცავდა. საქმე ისაა, რომ ისინი დიდი ხანია აღრენილები არიან დღემდე გადაუჭრელი პრობლემების გამო. მიმდინარე ჩემპიონატში გუნდი საშინლად გამოდის და მე-16 ტურის შემდეგ, გასავარდნ მე-18 ადგილზეა. არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ კლუბის ძირითად ბაზასაც მალე გადაუვლის თავმოყვარეობაშელახული გულშემატკივრების ობსტრუქციის ტალღა.

### ვერმელენი აიაქსში დარჩა

„აიაქსის" ბელგიელმა ლეგიონერმა **ტომას ვერმელენმა** გუნდში დარჩენა გადაწყვიტა და კონტრაქტი 2012 წლის 30 ივნისამდე გააგრძელა. „აიაქსში" ფეხბურთელი „ვაალვაიკიდან" 2004 წელს გადავიდა და მას მერე ამსტერდამულ გრანდში 87 თამაში ჩაატარა.

ცსკა. სკანდალები

# არეულობა მოსკოვურ არმიაში

მოულოდნელად, გუშინწინ, საბერძნეთში შეკრებაზე მყოფი ცსკა-ს რიგები **ვაგნერ ლავამ** სკანდალით დატოვა და კატეგორიულად მოითხოვა ტრანსფერზე დაყენება. ამ ინფორმაციას არ ადასტურებს კლუბის პრესსამსახური, რომელიც აცხადებს, რომ ბრაზილიელს ჯანმრთელობის პრობლემების გამო არ შეუძლია სავარჯიშო პროცესში მონაწილეობა და ამიტომაც გადაწყდა ნაადრევად მისი მოსკოვში გამგზავრება. ანონიმური წყაროების ცნობით, კონფლიქტი მთავარ მწვრთნელსა და ფეხბურთელს შორის მოხდა. მხარეები ამ ფაქტს გარეშე პირებთან არ ადასტურებენ.

ინფორმაციის გავრცელებისთანავე, იტალიური გუნდები დაფაცურდნენ და ბრაზილიის ნაკრების ფეხბურთელის შეძენის სურვილი ოფიციალურად დააფიქსირეს. „ფიორენტინისა" და „ნაპოლის" ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ უმალ მას შემდეგ, რაც ვაგნერი გუნდის დატოვების სურვილს დაადასტურებს, ისინი მზად იქნებიან, ცსკა-ს მესაკუთრეებთან მოლაპარაკებებში ჩაებან, გვამცნობს „კალჩიომერკატო".

**ვალერი [illegible]ზაევს** საკმ[illegible] მძიმე პრობლემებ[illegible] მო[illegible], რადგან ვაგნერის გარდა, გ[illegible] ჯანმრთელების დიდი იმედების მიუხ[illegible]ავად, მოსკოველებს ჭოც დაალეწავს, არადა სწორედ ეს ორი ფეხბურთელი მოსკოველთა თავდაცვის ძირითადი ძალაა. საბერძნეთში გუნდს აკლია ბრაზილიელი **დუდუ**, ვინც ჯანმრთელი კი არის, მაგრამ დისკვალიფიკაციის გამო გუნდის დახმარებას ისედაც ვერ გაუწევდა. დისკვალიფიკაციის მიზეზითვე გაზაევი ვერც **ელვერ რახიმიჩის** იმედს იქონიებს, ვინც ახლა გერმანიაში ისვენებს. დიდი კითხვის ნიშნის ქვეშაა თურქეთში მილოშ კრასიჩისა და კარვალიოს თამაშის საკითხიც, სერბს მტკივანი ფეხის თითი ორიოდე კვირაა, რაც აწუხებს, ხოლო სამხრეთამერიკელის ფიზიკური კონდიციები ძალიან შორსაა სასურველისგან. ერთადერთი სასიამოვნო, რაც ვალერი გიორგევიჩმა ამ დღეებში შეიტყო, ეს გუნდში **რამონის** დაბრუნებაა. ამ უკანასკნელის ასავალ-დასავალის შესახებ გუნდის ხელმძღვანელობამაც კი არაფერი უწყოდა. შეკრებაზე გამოცხადდა ასევე **ჩიდი ოდიაც**, აფრიკელმა მოსკოვიდან საბერძნეთში გამგზავრება რატომღაც სხვებზე გვიან გადაწყვიტა.

მოკლედ, გაზაევის გუნდში დიდი არეულობაა. ძნელად წარმოსადგენია, ასეთ მდგომარეობაში მყოფმა გუნდმა „ფენერბაჰჩეს" სათანადო წინააღმდეგობა გაუწიოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რაგბი

LOYALCAPITAL group · ქვარციტი QUARTZITE · BTA Silk Road Bank



ინტერვიუ გოდერძი შველიძესთან

# კლერმონიდან წასვლაზე დავფიქრდები

**საქართველოს ნაკრების შერკინების გოდერძი შველიძე მეოთხე სეზონია, საფრანგეთის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდის, „კლერმონის" ღირსებას იცავს. „ვულკანებს" გასულ ჩემპიონატში ჩემპინობამდე ერთი ნაბიჯი დააკლდათ. შველიძის და ზირაქაშვილის გუნდმა ფინალი ბოლო წუთებზე წააგო „სტად ფრანსესთან". შეძლებენ თუ არა წლეულს ასე ახლოს მისვლას ჩემპიონის ტიტულთან? ამ და სხვა საინტერესო თემების თაობაზე გოდერძის ვესაუბრეთ.**

- მართალია, ჩემპიონატის სტარტზე პირველი შეხვედრა წავაგეთ, მაგრამ მერე ზედიზედ სამჯერ მოვიგეთ და ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. ამჟამად სატურნირო ცხრილში მესამე ადგილზ ვართ, მაგრამ უკვე დიდი ხანია, ეს ჩვენთვის მაქსიმუმი არაა. გუნდს, თავისი შემადგენლობიდან გამომდინარე, რეალურად შესწევს ძალა, ჩემპიონობისთვის იბრძოლოს. მით უფრო, რომ „კლერმონს" მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელი, ზელანდიელი ვერნ კოტერი ჰყავს.

**- შაბათს „კლერმონი" ჰაინეკენის თასზე ჯგუფში უშუალო კონკურენტს, ინგლისურ „ვოსფსს" ხვდება. შემადგენლობაში არც თქვენ ხართ და არც დავით ზირაქიშვილი. რატომ?**

- დათოს რაც შეეხება, ის განაცხადში იყო, მაგრამ ვარჯიშისას საზარდული დაიჭიმა და კოტერმა მისი დასვენება გადაწყვიტა, მე კი რატომღაც არ დამაყენა შემადგენლობაში. ფეხი კი მტკიოდა, მაგრამ არც იმდენად, რომ ვერ მეთამაშა. შესაძლოა, მწვრთნელმა პირველხაზელების როტაციას მიმართა, რაც ნორმალური მოვლენაა პროფესიონალურ გუნდებში. რაც არ უნდა კარგ ფორმაში იყო, ყველა მატჩში ერთ დონეზე თამაში შეუძლებელია. მორაგბეს დასვენება ჭირდება და ჩავთვალოთ, რომ კოტერმა მეც დამასვენა.

**- არადა, ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩში, „ბურგუენთან", გუნდს გამარჯვება თქვენ მოუტანეთ.**

- დიახ, ასე იყო, მაგრამ ის ლელო, რომელიც მე თამაშის მიწურულს გავიტანე, მთელი გუნდის გარჯის ნაყოფი იყო. თან ბურგუენელებმა უხეში შეცდომა დაუშვეს. ეს გუნდი ყოველთვის მაოცებს. პატარა ქალაქის გუნდია, მაგრამ რამდენადაც პატარაა, იმდენად უფრო ბრძოლისუნარიანი და ძნელად გასატეხია. ამჯერად მათი დამარცხება შევძელით, რაც სატურნირო თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია.

**- „კლერმონის" ახალგაზრდულ გუნდში მეორე წელია, სამი ქართველი - ირაკლი ჭყონია, სიმონ მაისურაძე და დიმიტრი ბასილაია თამაშობენ. როდის მიეცემათ ძირითად გუნდში თამაშის შანსი?**

- ჭყონია, მაისურაძე და ბასილია სათადარიგო გუნდში თამაშობენ. ნორმალურად არიან, ძირითად გუნდში მათ თამაშზე კი რა მოგახსენოთ? „კლერმონში" პირველიც და მესამე ხაზიც ძალიან ძლიერია. კონკურენცია ძალიან დიდია და არ მგონია, უახლოეს მომავალში ძირითადში თამაშის შანსი ჰქონდეთ.

**- თქვენ „კლერმონიდან" წასვლას და სხვა გუნდში გადაბარგებას ხომ არ აპირებთ?**

- სეზონის შემდეგ „კლერმონიდან" ალბათ წავალ. კონტრაქტი 1+1 მაქვს და ალბათ ამ პლუს ერთს არ გამოვიყენებ. თუმცა ჯერ გადაწყვეტილი არაფერია. წინ კიდევ გრძელი სეზონია და ვითარება ბევრჯერ შეიძლება შეიცვალოს. ერთი კი ნაღდია, დღეს „კლერმონიდან" წასვლის სურვილი ნამდვილად მაქვს.

**- „აჟენში" ანრი ბრონკანთან სტაჟირებაზე სამი ქართველი მწვრთნელია - ლევან მაისაშვილი, ნიკო ჭავჭავაძე და დიმიტრი ობოლაძე. ორი მათგანი მალე საქართველოს მეორე ნაკრებს ჩაუდგება სათავეში. ხომ არ გქონიათ მათთან საუბარი?**

- ჩვენი მწვრთნელების ბრონკანთან სტაჟირებაზე ყოფნის შესახებ თქვენგან გავიგე. არ ვიცოდი, თუ ისინი საფრანგეთში იყვნენ. თუმცა ფაქტი ძალიან სასიხარულოა. A ნაკრების შექმნაც მიხარია. მწვრთნელები ბრონკანისგან ბევრ სიხლეს აითვისებენ, მომავალ საქმიანობაში ნამდვილად წაადგებათ. ვფიქრობ, ეს სასარგებლო საქმეა.

**ბესიკ ჯანგავაძე**

## კალათბურთი

წინასამატჩო პრესკონფერენცია

# ხალხნო, მოდით კალათბურთზე!

გუშინ კლუბ „12 მაგიდაში" საქართველოს ჩემპიონატის მერვე ტურის ცენტრალური შეხვედრის წინასამატჩო პრესკონფერენცია გაიმართა. თუკი გასულ წლებში მთავარი თამაშის წინასწარ გამოყოფა იოლი იყო, ამ სეზონში საქმე ასარჩევადაა - როგორც წესი, ყველა თამაში თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობს და რომელსაც გინდა, დაარქმევ ცენტრალურს. დღეს, სპორტის სასახლეში მოედანზე ჯერ „დინამოსა" და „ვითას" კალათბურთელები გამოვლენ, შემდეგ - „მაკაბი"-"აზოტის" მატჩი შედგება, ბოლოს - თსუ-"ავიამშენის".



დაიმახსოვრეთ, რუსთავის გუნდს ენერჯი ინვესტი ჰქვია

**ჩემპიონატის ორგანიზატორებმა ცენტრალურ დაპირისპირებად „მაკაბი"-"აზოტი" მიიჩნიეს, ამიტომ მას პრესკონფერენციაც მიეძღვნა და ხვალ პირდაპირ ეთერში საზოგადოებელი მაუწყებელიც გადასცემს.**

შესავლის კითხვისას, შეიძლება „აზოტის" მწვრთნელ **დავით უსტიაშვილს** გაუკვირდა, „ლელოს" კორესპონდენტს ჩემი თხოვნა ასე სწრაფად რატომ დაავიწყდაო, მაგრამ არ დამვიწყნია: ამიერიდან „აზოტის" ნაცვლად „ენერჯი ინვესტს" დავწერთ - ეს სახელი რუსთაველებს მათი სპონსორის პატივსაცემად დაერქვათ.

მკითხველს შევახსენებთ, რომ ბოლო 3 წელიწადში ქვემოქართლურ კლუბს სახელი მეოთხედ შეეცვალა: ერქვა - „თუჯი", თმკც (თუჯი, მადნეული, კვარციტი, ცემენტი), „აზოტი" და ამ სეზონიდან „ენერჯი ინვესტი", მოფერებით „ენერჯი". იმედია, ევროპა რუსთაველებს ამ სახელით ყველაზე უკეთ გაიცნობს.

გადავიდეთ მთავარზე, პრესკონფერენციაზე „აზ"... „ენერჯი" მათავარმა მწვრთნელმა დავით უსტიაშვილმა და ფორვარდმა **ზვიად ბაბიაშვილმა** წარმოადგინეს. გუნდის თავკაცმა საუბარი „ინვესტში" არსებული მდგომარეობით დაიწყო:

*- სერბმა მეფარემ იოვან სტეფანოვმა ფეხის ტრავმა უკვე მოიშუშა და ორი დღეა გუნდთან ერთად ვარჯიშობს. მართალია ოპტიმალური ფორმა ჯერ არ აღუდგენია, მაგრამ „მაკაბისთან" მის მოედანზე გაყვანას ვაპირებ. ყველა სხვა კალათბურთელი მწყობრშია და საბრძოლველად ვემზადებით. თბილისიდან ქულას იოლად ვერ წავიღებთ, რადგან ჯამლეტ ხუხაშვილს თანაბრად დაბალანსებული გუნდი ჰყავს. „მაკაბიმ" თავისი ძალა წელს უკვე დაამტკიცა - რეგულარულ ჩემპიონატში „ავიამშენი" ორჯერ დაამარცხა, ხოლო დადიანის მემორიალზე ჩვენც მოგვიგო.*

ზვიად ბაბიაშვილმა ხაზი გაუსვა, რომ საქმე გვაქვს ბოლო წლების საუკეთესო ჩემპიონატთან, რადგან გუნდების სათამაშო დონე გათანაბრდა და ნებისმიერ შეხვედრაში გამარჯვებულის ვინაობის წინასწარ გამოცნობა წარმოუდგენელია: *- „მაკაბისთან" სერიოზული მატჩი გველის. გამარჯვება იოლი მოსაპოვებელი არ იქნება, მაგრამ საწყისი ორი წრის წაუგებლად დასრულებას ვაპირებთ და ხვალინდელ მატჩში მარცხი ჩვენს გეგმებში არ ჯდება.*

რუსთაველების შემდეგ სიტყვა „მაკაბის" თავკაცმა **ჯამლეტ ხუხაშვილმა** აიღო: *- „ენერჯი ინვესტი" საქართველოს ჩემპიონატის სატურნირო ცხრილში ერთპიროვნული ლიდერია. იგი ამას იმსახურებს, რადგან სხვებზე უკეთესი გუნდია, წელს საქართველოს სახელი ევროთასზე გაიტანა. კიდევ უფრო გამეხარდება, თუ გაისად ევროტურნირებზე უკეთეს შედეგს უჩვენებს. ყოველივე ამის მიუხედავად „ენერჯის" შიდა პირველობაზე იოლად ერთი ქულაც არ მოუპოვებია. ჩვენც ვეცდებით ჩვენი წილი შანსი ხელიდან არ გავუშვათ, მაგრამ ვაღიარებ, რომ მოგების მეტი შანსი რუსთაველებს აქვთ, მითუმეტეს, რომ ჯერჯერობით არ გარკვეულა ჩვენი ლიდერის გიორგი შერმადინის ბედი. მას მუხლის მყესი აქვს დაჭიმული და ვნახოთ, ხვალ ექიმი მოედანზე გასვლის უფლებას დართავს, თუ - არა.*

თავად **შერმადინმა** დღევანდელი მეტოქეები ერთმანეთს შეადარა: *- „მაკაბი" სიმაღლით გამოირჩევა, თუმცა ძლიერი ტანმაღალი მოთამაშეები „ენერჯი ინვესტსაც" ჰყავს. რუსთაველთა მთავარი პლუსი სისწრაფეა. ასე რომ, სპორტის სასახლეში საინტერესო მატჩი გველის.*

საქართველოს ჩემპიონატში დონე გათანაბრდაო, ხშირად ვამბობთ. ეს კარგია, მაგრამ არის ერთი უარყოფითი მხარე, რაც მე-17 პირველობას ახლავს. პრესკონფერენციის მონაწილეებს ზოგადად ვკითხეთ - ჩემპიონატის მთავარ მინუსად რა მიგაჩნიათ? პასუხი ერთგვაროვანი იყო - გულშემატკივართა სიმცირე.

*- სუპერლიგის თითოეული მატჩი იმდენად მაღალ დონეზეა ორგანიზებული, იმდენად საინტერესოა მატჩები, რომ ჩემთვის გასაკვირია, რატომ დადის ცოტა ხალხი. იმედია, ნელ-ნელა ყველა გაიგებს, რა დონის პირველობა გვაქვს და დარბაზიც გაივსება. -* აღნიშნა „მაკაბის" მწვრთნელმა **ჯამლეტ ხუხაშვილმა**. მისმა რუსთაველმა კოლეგამ, **დავით უსტიაშვილმა** დასძინა:

*- ნებისმიერი კალათბურთელისთვის ძნელია ცარიელ დარბაზში თამაში. მერწმუნეთ, გულშემატკივრის მაყურებლებთან ერთად სანახაობრივი მხარე ერთი-ორად გაიზრდება.*

ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ შარშან ამ დროს „ავიამშენი"-„აზოტის" მატჩს 3 ათასზე მეტი კაცი იმიტომ დაესწრო, რომ მაშინ სუპერლიგა დაცილებით უკეთ იყო რეკლამირებული. მარტო ის რეკლამა რად ღირდა - მამიკო, წამიყვანე კალათბურთზეო, ბავშვი რომ ამბობდა.

**ვაჟა სიმონიშვილი**




ეროვნული ბიბლიოთეკა



ჭადრაკი — მსოფლიოს ასაკობრივი ჩემპიონატი



მარცხნივ - მაკა ხანთაძე გუნდური მეორე ადგილისთვის განკუთვნილი პრიზით

## კიდევ ერთი ჩემპიონი და გუნდური მეორე

ანთალიაში ახლახან დასრულებულ ასაკობრივ მსოფლიო ჩემპიონატს კიდევ ერთხელ მივუბრუნდებით, თუმცა ამჯერად სხვა კუთხით. პირველ რიგში აღვნიშნავთ ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც აქამდე არ გაგვიხმაურებია: ჩემპიონატის მსვლელობის დროს, კერძოდ, ტურნირის შუაწელს, დასვენების დღეს, ჩემპიონატის მონაწილეთა შორის გაიმართა ეტიუდების ამოხსნაში მსოფლიო ჩემპიონატი, რომელიც რიგით მეორეა.

ასეთ პაექრობას საფუძველი შარშან, ბათუმში ჩაეყარა, როცა ასაკობრივ მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლა ჩვენმა ქალაქმა. იდეის ავტორი ქართული ეტიუდისტი, მსოფლიო ორგზის ჩემპიონი ეტიუდების შედგენაში, **დავით გურგენიძეა**. ნოვაციამ იმდენად დიდი ინტერესი გამოიწვია, რომ ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელობამ ნება დართო ბატონ დავითს, ანთალიაშიც გაემართა ასეთი შეჯიბრი. ეს კი იმის მანიშნებელია, რომ საეტიუდო შეჯიბრებები მსგავს ტურნირთა აუცილებელი თანამგზავრი გახდება...

თავისთავად სასიამოვნოა, რომ ასეთი ინიაციატივის მოთავე ქართველი კაცია, კიდევ მეტად გასახარია, როცა გათამაშებას ქართველი მოჭადრაკე იგებს. ანთალიაში 18 წლამდე გოგონათა შორის ქართველებში საუკეთესო შედეგი **სალომე სირაძეს** ჰქონდა. მართალია სალომემ ძირითად ტურნირში პრიზიორობა ვერ შეძლო, მაგრამ ამ გამარჯვებით წარუმატებლობა ნამდვილად გადაფარა... სალომეს შედეგი ვაჟთა შორისაც გამორჩეული იყო: მან მესამე ადგილი დაიკავა. თუმცა პრიზად ქალთა შორის გამარჯვებისთვის განკუთვნილი ჯილდო ერგო.

ჩემპიონები ვერა, მაგრამ პრიზიორები სხვებიც გვყავდა ქართველებს: სალომეს შემდეგ 18 წლიანებში მეორე ადგილი **მერი ჟორჟოლიანმა** დაიკავა; 14 წლიანებში მეორე ადგილზე **ანა კუჭავა** გავიდა; მეორე იყო **მარიამ ჭოლაძეც**, რომელიც 10 წლიანებში ასპარეზობდა. შევნიშნავთ, რომ ეტიუდების ამოხსნაში შეჯიბრი სამ ასაკობრივ ჯგუფში მიმდინარეობდა: 10, 14 და 18-წლამდელ გოგონებსა და ვაჟებს შორის; სულ 100 მონაწილე შეგროვდა. რა თქმა უნდა, ქართველთა შედეგები თვალსაჩინო იყო და ამით თავმოწონება შეიძლება.

**ანთალიაში საინტერესო სხვაც ბევრი რამ მოხდა, მაგრამ ვინაიდან ადგილზე ხილვის საშუალება არ გვქონდა, ოპერატიულად ცნობებს ვერ გაწვდიდით. ამის შესახებ ქართული დელეგაციის ხელმძღვანელს ქალბატონ მაკა ხანთაძეს ვესაუბრეთ.**

- ჩემი აზრით, ქართულმა დელეგაციამ მსოფლიო ჩემპიონატი წარმატებულად მოიარა, თუმცა შეიძლებოდა უკეთესი შედეგიც გვქონოდა. ტურნირის საწყის ეტაპზე ქართველთა დიდი უმრავლესობა შესანიშნავ შედეგს აჩვენებდა, მაგრამ ბოლოსკენ ბევრს დაღლა დაეტყო და ლიდერებს ჩამორჩნენ. სამწუხაროა, რომ ვაჟთაგან საპრიზოზე ვერავინ გავიდა, თუმცა გვასახელეს გოგონებმა და ორი ოქრო და ერთი ვერცხლი მოიპოვეს.

ქართული დელეგაცია საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო - 34 მოჭადრაკე შეიკრიბა. ობიექტურად ამდენი მონაწილისთვის სათანადო ყურადღების მიქცევაძალიან რთულია - სასტუმროში დაბინავება, ტურნირზე წასვლის ორგანიზება და სხვა მრავალი ნიუანსია გასათვალისწინებელი, სათამაშოდ საჭირო პირობები რომ შეიქმნას. აღვნიშნავ, რომ ჩვენს გარჯას დიდი გულისყურით მოეკიდნენ ბავშვებიც და მთელი ჩემპიონატი ისე ჩავამთავრეთ, არანაირ ინციდენტს არ ჰქონია ადგილი. ამისთვის ყველა მათგანს მადლობას მოვახსენებ.

შედეგებზე კარგად მოგეხსენებათ და ამით თავმოწონებაც შეგვიძლია, მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ ამჯერად ჩემპიონატზე პირველი 6 ადგილი ჯილდოვდებოდა და ექვსივეს ურიგდებოდა მედლები. ამ ნიშნით ქართულმა დელეგაციამ 9 მედალი მიიღო. ეს მეორე შედეგი იყო რუსეთის ნაკრების შემდეგ, თუმცა ოფიციალურ ჩათვლაშიც, სადაც პირველ სამ საპრიზო ადგილს ითვალისწინებენ, მეორენი ვიყავით. რუსეთის უპირატესობა ბუნებრივი იყო - ანთალიაში 300 მოჭადრაკე ჰყავდათ ჩამოყვანილი (!). გუნდური მეორე ადგილისთვის ორგანიზაციებმა 20 ელექტრონული საათი გადმოგვცეს, პირველისთვის 30 იყო განკუთვნილი.

**- ტურნირის ოფიციალურმა საიტმა დაჯილდოების ცერემონიალიდან ძალიან საინტერესო ფოტოები დაბეჭდა - ქართულ სამოსში ჩაცმული ქართველი მოჭადრაკეები ვიხილეთ...**

- ნიკოლოზ ჭანტურია და მამუკა ანთაძე იყვნენ. ეს იდეა მე მეკუთვნოდა, - ვიფიქრე, არ იქნებოდა ურიგო, წარმოგვეჩინა ჩვენი კულტურის ეს მხარე. როცა ჩვენ გოგონებს აჯილდოებდნენ, ბიჭებიც მაშინ ჩნდებოდნენ კვარცხლბეკიდან. უნდა გენახათ, რამხელა აჟიოტაჟი გამოიწვია ამ ნაბიჯმა - ჰოლივუდის ვარსკვლავებივით მთელი ანთალია დასდევდა ორივეს და ყველა ცდილობდა სურათი გადაეღო მათთან. დარბაზში კი, დაჯილდოების დროს ისეთი ოვაციები ისმოდა, სიტყვით აღწერა შეუძლებელია...

**- სასიამოვნოა, როცა უცხო ქვეყანაში გაფასებენ და მით უფრო კარგია, როცა ვიზიტი წარმატებულია, მაგრამ ანთალიამდე ავტობუსით ორდღიანი მგზავრობა რომ არა, შეძლებდით უკეთესი შედეგით დაბრუნებას?**

- სამწუხაროდ, ფინანსური პრობლემების გამო ანთალიაში ავტობუსით გამგზავრება მოგვიხდა. ძალიან რთული მგზავრობა გვქონდა და შესაძლოა გარკვეულწილად ამანაც იმოქმედა, მაგრამ ძირითადი მიზეზი მაინც ადგილზე - ქვეყანაში უნდა ვეძებოთ: ბევრი ჩვენგანი უბრალოდ ვერ უძლებდა სათამაშო დაძაბულობას და ამის გამო კარგავდა ქულებს. მაგალითად ვაჟებში ყველაზე პატარა მონაწილე ჩვენი ნიკოლოზ ჭანტურია იყო. იგი ექვსი წლისაა - ისე ილლებოდა პარტიის ბოლოს, თანაბარ პოზიციაშიც კი დანებებას თხოვდა მეტოქეს. სხვებიც ვერ უძლებდნენ... აშკარაა, ჩვენს ქვეყანაში ნიჭიერ ბავშვებს მეტი ყურადღება და მხარდაჭერა რომ ჰქონდეთ, ფიზიკურადაც კარგად მოემზადონ, შეუდარებლად უკეთესი შედეგები ექნებათ. ამის მიუხედავად, უკმაყოფილების საბაბი არ მაქვს და მადლობას მოვახსენებ ყველას, ვინც წარმატებას მიაღწია და ქართული დროშა მაღლა ასწია. მე ორმაგად ბედნიერი ვარ, რადგანაც დელეგაციის ხელმძღვანელის ამპლუაში პირველად ვიყავი და დებიუტი წარმატებულია ღმოჩნდა. ღმერთმა ქნას, ასეთი გამარჯვებები უხვად გვქონოდეს მომავალშიც.

**ზვიად შათირიშვილი**



სალომე სირაძე

ძიუდო — საქართველოს ჩემპიონატი

## ზვიადაური არ იჭიდავებს

ამ უქმეებზე ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზი ძიუდოს დაეთმობა - საქართველოს ჩემპიონატი ჩატარდება. ამ ტურნირის დანიშნულება დიდია, რადგან ის ბირთვი უნდა გამოავლინოს, რომელიც გაისად მსოფლიო თასებზე იჭიდავებს. ამის მიუხედავად, მწვრთნელთა გადაწყვეტილებით, ჩემპიონატში ქვეყნის არც ერთი ტიტულოვანი ფალავანი არ იჭიდავებს. მათ შორის, არც ოლიმპიური ჩემპიონი **ზურაბ ზვიადაური** (90), რომლის გამოსვლის შანსი თითქოს აქამდე იყო...

მწვრთნელთა გადაწყვეტილება გასაგებია - გაისად ოლიმპიადა ტარდება და რადგან უმეტესობამ უკვე მოიპოვა პეკინში გამოსვლის უფლება, ოლიმპიადისთვის მოსამზადებლად მათ საგანგებო განრიგით ამზადებენ - იმდენად არ დატვირთავენ, მეტოქეებს მოარიდებენ და ეცდებიან, თამაშებს დასვენებულნი შეახვედრონ. თან, თბილისის მსოფლიო თასიც კარსაა მომდგარი - 26-27 იანვარს ტარდება და ყველა კონკურენციას იქ გაეცემა პასუხი. მით უფრო, თასზე ყველა უძლიერესი იჭიდავებს. თან, ახლა წონის დაკლება არც იქნება გამართლებული, რადგან ეს გადაღლის ფალავნებს.

საქართველოს ჩემპიონატმა ის ოთხეულები უნდა გამოავლინოს, რომლებიც მსოფლიო თასზე იჭიდავებენ, მერე კი ამათგან ისინი შეირჩევიან, რომლებიც გაისად უცხოურ ტურნირებში გამოვლენ. აქვე შეგახსენებთ, რომ საშინაო ტურნირისგან განსხვავებით, უცხოურ შეჯიბრებებში მხოლოდ ორი მონაწილის გამოყვანა შეგვიძლია. და აქვე კიდევ ერთი განმარტება - ვისაც ახლა ასვენებენ, მათ უკვე გაინაღდეს თბილისის ტურნირში გამოსვლა.

ვერის ბაღში შეჯიბრებები დღესაც და ხვალაც 11 საათზე დაიწყება, ფინალები - 17 საათისთვის. დღეს 60, 66 და 73 კილოგრამი წონითი კატეგორიების ფალავნები იჭიდავებენ, დანარჩენები - ხვალ.

**ირაკლი თავაძე**

ხელბურთი — ეროვნული ნაკრები



იმედო ფხაკაძე

## ლუქსემბურგი ჩვენზე ძლიერი გუნდი არაა

**საქართველოს ხელბურთელთა ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრები გუნდები კვლავ ერთად, სტუ-ს დარბაზში ემზადებიან უცხოური ტურნესათვის. როგორც იცით, 16 დეკემბერს, ორივე გუნდი თურქეთში გაემგზავრება, სადაც იქაურ ნაკრებებთან ამხანაგურ მატჩებს ჩაატარებს. ეს იქნება გენერალური რეპეტიცია ეროვნული ნაკრებისთვის, რომელსაც 20 იანვარს, ნორვეგიაში "ჩელენჯ ტროფის" ფინალი ელის ლუქსემბურგთან. გუშინ, ეროვნული ნაკრების თავკაც იმედო ფხაკაძეს შევეხმიანეთ და გუნდის ამბები გამოვკითხეთ.**

- გეგმის მიხედვით ვემზადებით და ყველაფერი რიგზეა. ჩემს განკარგულებაშია საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების 24 ხელბურთელი. ორშაბათიდან, სავარაუდოდ, ახალგაზრდულ ნაკრებს ახალი მთავარი მწვრთნელი ეყოლება და ორ გუნდად დავიყოფით.

**- თურქეთში წამომსვლელ ლეგიონერთა ვინაობა ხომ არ გაირკვა?**

- ჯერჯერობით, ეს საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის. სავარაუდოდ, წამყვანი ოთხი ლეგიონერიდან, თურქეთში წამოვლენ ვლადიმერ რუსია, რეზო ჭანტურია და რატი მსხვილიძე. რაც შეეხება სერგო დათუკაშვილს, როგორც იცით, იგი დეკემბრის ბოლომდე ვერ ჩამოდის, რადგან კლუბი არ უშვებს.

**- დანარჩენი ლეგიონერებიდან ვის გამოძახებას აპირებთ?**

- ალბათ ექვს ხელბურთელს გამოვიძახებთ. ჭანტურიას, რუსიას, დათუკაშვილისა და მსხვილიძის გარდა, გვინდა შოთა გრიშიკაშვილის ჩამოყვანა. ამას გარდა, ალბათ შანსს მივცემთ გიორგი გვაზავასაც.

**- ლუქსემბურგის მატჩის ვიდეოფირი გიშოვნიათ. როგორი შთაბეჭდილება დატოვეს ამ ფირის მიხედვით ლუქსემბურგელებმა?**

- დიახ, გვაქვს ლუქსემბურგ-ფარერების შეხვედრის ფირი. ამ მატჩის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ნორმალური გუნდია – შეტევაშიც და დაცვაშიც თანაბრად ძლიერი. საერთოდ, ბურთი მრგვალია და წინასწარ მუდამ ძნელია იმის თქმა, რომ ასი პროცენტით გაიმარჯვებ. თუმცა, თუკი ყველა წამყვანი ლეგიონერი ჯანმრთელად გვეყოლება, ლუქსემბურგი სულაც არაა ჩვენზე ძლიერი და წესით უნდა გავიმარჯვოთ.

**კობა ხატისაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა






საქართველოს ვაჟთა ნაკრებმა დევისის თასზე შარშან მოპოვებული ადგილი შეინარჩუნეს

სეზონის ბოლოს. ინტერვიუ ლეილა მესხთან

# აქტიური ჩოგბურთის წელიწადი

სპორტული სეზონი ბევრ სახეობაში დაასრულა, მაგრამ ზოგგან მნიშვნელოვანი ტურნირები კვლავაც იმართება. ამ მხრივ განსაკუთრებულად აქტიურები ჩოგბურთელები არიან, მათ შორის ქართველებიც: რამდენიმე ჩვენებური ამჟამად ამერიკაში იმყოფება და „ორანჟ ბოულში" თამაშობს, მაგრამ დღევანდელი სასაუბრო თემა სხვაა: გსურს თვალი გადავავლოთ განვლილ წელს და გავიხსენოთ რა წარმატებები გვქონდა, რისი გაკეთება მოხერხდა და რისი იმედი უნდა გვქონდეს. ამ საქმეში კი უკეთეს მეგზურს, ვიდრე საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლეილა მესხია, ვერ ვიპოვით.

- კმაყოფილებით მინდა აღვნიშნო, რომ წლევანდელი წელი ერთ-ერთი საუკეთესო იყო თანამედროვე ქართული ჩოგბურთის ცხოვრებაში. მნიშვნელოვანი წარმატებები გვქონდა როგორც სანაკრებო დონეზე, ისე - ინდივიდუალურად. სანაკრებოდან დავიწყებ.

მოგეხსენებათ, ვაჟთა ნაკრები დევისის თასზე გამოდის და ევრო-აფრიკული ზონის I ჯგუფშია. ამ დონეზე გასასვლელად შარშან სერიოზული ბრძოლები გვქონდა და მადლობა ღმერთს, შევძელით პირველში ალზევება. წინსვლა კარგია, მაგრამ ამ დონეზე ბევრად ძლიერი შემადგენლობაა და ადგილის შენარჩუნებაც მეტად ჭირს. წლის დასაწყისშივე გადამწყვეტი ბრძოლა პორტუგალიის ძლიერ ნაკრებთან გვქონდა. შეხვედრა თბილისში გაიმართა და ჩვენი გამარჯვებით დასრულდა. ამ მოგებით პირველ ჯგუფში დავრჩით. შეგვეძლო წინსვლაზეც გვეფიქრა და ელიტარულ ჯგუფში - უმაღლეს ლიგაში გადავსულიყავით, მაგრამ ამისთვის სერბეთის ძალიან ძლიერი ნაკრები თავისივე მოედანზე უნდა დაგვემარცხებინა. სამწუხაროდ, დღეისათვის სერბეთის ნაკრების დამარცხება ჩვენთვის არარეალურია. პირველ რიგში იმიტომ, რომ ქართველთა ლიდერს ირაკლი ლაბაძეს სერიოზული ტრავმა ჰქონდა (ირაკლიმ მალე მეორე ოპერაცია უნდა გაიკეთოს) სერბეთის ნაკრების ლიდერი მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ჩოგბურთელი ნოვაკ ჯოკოვიჩია, იარკო ტიპსარევიჩიც მსოფლიო დონის მოთამაშეა.

სერბეთთან ლაბაძეს აღარ უთამაშია, მან სასწრაფოდ გაიკეთა მაჯაზე ოპერაცია. ირაკლის უდიდესი ტკივილის გაძლების ხარჯზე მოუხდა პორტუგალიელებთან თამაში და მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ შესანიშნავად გაართვა თავი ყველა პრობლემას. ამისთვის მას და ლადო ჩიხლაძესაც უდიდეს მადლობას კიდევ ერთხელ მოვახსენებ. ლადომ, როგორც ჩვევია, გუნდში ბრწყინვალედ ითამაშა და გამარჯვებაში დიდი წილი დაიდო...

საერთოდ, ლადოსთვის წლევანდელი წელი ყველაზე წარმატებული იყო: რეიტინგში დაახლოებით სამასი ადგილით წაიწია წინ, მოიგო სამი საერთაშორისო ტურნირი, რომელთა საპრიზო ფონდი 10 ათასი დოლარი იყო - ორი თბილისში, ერთიც - გერმანიაში.

გამორჩეული შედეგი აჩვენა ქალთა ნაკრებმაც: ევრო-აფრიკული ზონის მეორე ჯგუფში იმარჯვა და პირველში გადავიდა. ამ შედეგისთვის ბოლ ოთხი წელია ვიბრძოდით და როგორც იქნა, შევძელით. ეს წარმატება მით უფრო ღირებულია, რომ შემადგენლობაში ახალგაზრდები თამაშობდნენ: გამოცდილ მაკა ჩახნაშვილს გვერდს ოქსანა კალაშნიკოვა, ეკა გოროძე და სოფიო ქვაცაბაია უმშვენებდნენ. მათაც უდიდესი მადლობა მინდა ვუთხრა.

ინდივიდუალურ შედეგებში ოქსანა კალაშნიკოვას გამოვყოფდი, რომელმაც სპეციალური პრიზი საერთაშორისო ფედერაციიდან - მასტერსის საგზური მიიღო და ხუთ საერთაშორისო ტურნირში მათივე დაფინანსებით იასპარეზა. კარგი შედეგებიც აჩვენა, რის შემდეგაც 18-წლამდელთა შორის მსოფლიოში ათეულში შევიდა.

კარგად ასპარეზობდა მთელი წლის მანძილზე 16 წლის ლაზარე კუხალაშვილი, რომელმაც საქართველოს ჩემპიონატში პირველად გააღწია ფინალში - იქ გიორგი ჭანტურიასთან დამარცხდა. წლის ბოლოს ბევრად მოუმატა ნიკოლოზ ბასილაშვილმა. ამჟამად ამერიკაში, „ორანჟ ბოულზე" ასპარეზობს 16 წლამდელთა შორის და დღეისთვის ნახევარფინალშია, რაც მშვენიერი შედეგია - მან უკვე რამდენიმე განთესილი გამოთიშა ასპარეზობას.

გოგონებში თათია მიქაძესაც გამოვარჩევ, რომელიც ორწლიანი შესვენების შემდეგ დაუბრუნდა კორტს. თათიას ტრავმები აწუხებდა და უქმობის მიზეზიც ეს იყო. საოცარია, რომ ამდენი ხნის შესვენების შემდეგ თათიამ საქართველოს ჩემპიონატიც მოიგო და „ბორჯომის თასის" გათამაშებაც.

მნიშვნელოვან წარმატებას მივაღწიეთ ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე, რომელიც სერბეთის დედაქალაქ ბელგრადში ჩატარდა. ეკა გოროძემ ინდივიდუალურში მეორე ადგილი დაიკავა, ხოლო გიორგი ხმიადაშვილთან ერთდა შერეულ წყვილთა ტურნირი მოიგო.

კმაყოფილი ვარ იმითაც, რომ წელს ყველა ის ღონისძიება ჩავატარეთ, რაც დაგეგმილი გვქონდა. აღვადგინეთ კაცების საერთაშორისო ტურნირი, რომელსაც კომპანია „კოკა-კოლა" სპონსორობს და მისივე სახელობისაა, საპრიზო ფონდი კი 15 ათასი ამერიკული დოლარია. ჩავატარეთ „ბორჯომის თასი" და ბათუმის 25-ათასიანი ტრადიციული ტურნირი. იყო ერთი სიახლეც: თელავში აღდგა საჩოგბურთო კორტები, რისი ორგანიზატორიც საჩოგბურთო კლუბი „თელავი" იყო. საპრიზო ფონდი სოლიდური იყო - 25 ათასი ამერიკული დოლარი. ამ შეჯიბრს ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რეგიონში ჩოგბურთის განვითარების თვალსაზრისით. საერთოდ, რაც მეტი იქნება მსგავსი მაგალითი, მით მეტად მოიგებს ქართული ჩოგბურთი.

**- გეთანხმებით, მაგრამ რა კეთდება ამ მხრივ? კონკრეტული გეგმა არსებობს თუ კერძო ინიციატივებს უნდა ველოდოთ?**

- სურვილი, ცხადია, გვაქვს, მაგრამ ჩოგბურთის ფედერაციას არა აქვს ისეთი ფინანსური შესაძლებლობა, რომ თავად შექმნას საჩოგბურთო ცენტრები ქვეყნის მასშტაბით. ამისთვის, რა თქმა უნდა, სპონსორთა მოძიება და მათი დახმარებაა საჭირო. სახელმწიფომაც უნდა გამოილოს ხელი. საბედნიეროდ, მიხეილ სააკაშვილმა კარგა ხნის წინ განაცხადა სამთავრობო პროგრამის შესახებ, რომელიც რეგიონებში საჩობურთო კორტების აგებას ითვალისწინებს. ეს პროექტი მსგავსია იმისა, ფეხბურთსა და რაგბში უნდა განხორციელდეს. იმედი მაქვს, რომ ქვეყანას საჩოგბურთო მოედნებიც მოუმრავლდება.

**- ფინანსურად რომ არავის ულხინს ჩვენში, გასაგებია, თუმცა ამის მიუხედავად, წლევანდელ საქართველოს ჩემპიონატზე საპრიზო ფონდიც დააწესეთ. ამ თანხების მოზიდვა როგორ მოხერხდა?**

- საქართველოს სპორტის დეპარტამენტი ძალიან გვიდგას მხარში და ფინანსურადაც გვეხმარება. საპრიზო ფონდის შექმნაც ამიტომ მოვახერხეთ. დეპარტამენტმა წელს სასიამოვნო სიურპრიზიც გვიძღვნა: ახალგაზრდა ჩოგბურთელებს, ვინც თავი გამოიჩინა, ფულადი პრემიები დაუწესა. თანხის ოდენობა 5 000 დოლარს შეადგენს.

**- სამომავლო გეგმებზე რას იტყვით?**

- უპირველესი საზრუნავი იანვრის ბოლოს ფედერაციის თასის გათამაშებისთვის მზადებაა. ტურნირი უნგრეთში ტარდება და 16 გუნდი მონაწილეობს. აპრილის დასაწყისში კი დევისის თასზე სლოვაკეთს ვხვდებით სლოვაკეთში.

**- ირაკლი ლაბაძეზე თქვით, მეორე ოპერაციას იკეთებსო. რატომ დადგა ოპერაციის აუცილებლობა?**

- პირველმა ოპერაციამ კარგად კი ჩაიარა, მაგრამ რეაბილიტაციის პროცესი გართულდა. ირაკლის მაჯაში რკინა ჩაუდგეს. იმედოვნებდნენ, რომ ამოღება არ დაჭირდებოდა, მაგრამ საჭირო გახდა ჩარევა. ექიმთა ცნობით, ამჯერად რეაბილიტაცია უკეთესად უნდა წარიმართოს.

**- ნინავს თუ არა ეს, რომ ირაკლი მალე დაუბრუნდება კორტს და დევისის თასისთვისაც მოასწრებს სათანადო ფორმაში შესვლას?**

- დიდი იმედი გვაქვს, რომ მოასწრებს. სხვა შემთხვევაში სლოვაკთა ძლევის შანსი ძალიან გვიმცირდება - სლავებს საკმაოდ ძლიერი გუნდი ჰყავთ და მათი დამარცხებისთვის ჩვენი სრული მზადყოფნაა საჭირო.

**- ლადო ჩიხლაძეს ხომ არ აწუხებს ტრავმა?**

- ლადო სრულად ჯანმრთელადაა და ამჯერად ამერიკაში ვარჯიშობს. თუ წელსაც არ შეწყვეტს ოსტატობის ზრდას, ბევრად უფრო კვალიფიციური ჩოგბურთელი გახდება.

**- 2008 წელი ოლიმპიური წელია. არის თუ არა შანსი, რომ რომელიმე ქართველმა ჩოგბურთელმა პეკინში თამაშის უფლება მოიპოვოს?**

- ირაკლი ვერაფრით შეძლებს ასეულში დაბრუნებას და მისი თამაში ოლიმპიადაზე გამორიცხულია. ლადო - შესაძლოა, თუკი ასეულში შევა, ამისთვის კი რამდენიმე ტურნირის მოგება დასჭირდება. ყველაზე კარგი შანსი მაკა ჩახნაშვილს აქვს - ის ასეულთან უფრო ახლოსაა.

სიმართლე გითხრათ, იმედიანად ვარ განწყობილი და ვფიქრობ, რომ მომავალი წელი კიდევ უკეთესი იქნება. ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა ყველა ჩოგბურთელს, ქართულ სპორტულ სამყაროს და თქვენი გაზეთის რედაქციას მივულოცო დამდეგი ახალი წელი და წარმატებები ვუსურვო პროფესიულ და პირად ცხოვრებაში.

**ზვიად შათირიშვილი**

# ერთი ნაბიჯი ფინალამდე

ჩოგბურთის ახალგაზრდულ სარბიელზე წელიწადი უკვე 61-ედ სრულდება ყველაზე პრესტიჟული ტურნირით - „ორანჯ ბოულით". წლევანდელ გათამაშებაში ჩვენს ინტერესს 16-წლამდელ ჩოგბურთელთა ტურნირი იქცევს, სადაც ბრწყინვალედ ასპარეზობს ქართველი **ნიკოლოზ ბასილაშვილი.** ნიკამ მერვედფინალში მესამე ნომრად განთესილი ფავორიტის დამარცხების შემდეგ მეოთხედფინალშიც იმარჯვა. მისი მეტოქე ამერიკელი **ალექსანდრ დომიჯანი** იყო, რომელიც ერთი წლით უფროსია ქართველზე. გასულ კვირას ნიკამ ედი ჰერის საერთაშორისო ტურნირის ნახევარფინალში ითამაშა, სადაც მაჯის ტრავმის გამო დამარცხდა. ამავე ტურნირში ფინალში გავიდა დომიჯანი, ოლონდ 18-წლამდელთა შორის. ამჯერად, ამერიკელმა გადაწყვიტა 16-წლამდელთა ტურნირში ასპარეზობა, ბასილაშვილის და დომიჯანის გზები „ორანჯ ბოულის" მეოთხედფინალში გადაიკვეთა, ჩვენებურმა ორ სეტში მოიგო - 7:6 (4), 6:1. მატჩის შემდეგ ნიკა გახარებული და გაოცებული იყო: *„მე ვცდილობდი ბურთის უშეცდომოდ გადატანას მეტოქის მხარეს. მას კი ჩემი გატეხვა პირველივე სეტში უნდოდა, რომ არ გამოუვიდა, ძალიან გაკვირვებული და შეცბუნებული დარჩა. სიმართლე გითხრათ, არც კი ვიცი, რა დაემართა მეტოქეს მეორე სეტში".*

ნიკა ბასილაშვილი ნახევარფინალშია, სადაც მისი მეტოქეა ტურნირის პირველი ჩოგანი **ბერნარდ ტომიჩი.** ავსტრალიელმა წლევანდელ ტურნირში მხოლოდ ერთი სეტი დათმო. ტომიჩი 18-წლამდელთა რეიტინგში მე-20 ჩოგანია, არადა ჯერ სულ რაღაც 15 წლისაა. ბასილაშვილი 18-წლამდელებში 341-ე პოზიციაზეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ნიკოლოზ ბასილაშვილი

NBA დიდი ტრანსფერის მოლოდინში

# ჯეისონ კიდი ლებრონის გუნდში?

"ნიუ იორკისა" და "ნიუ ჯერსის" შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღია "ნეტსის" კაპიტანს, ფლეიმეიქერ **ჯეისონ კიდს**, რომელიც აღნიშნული მატჩის ოქმში ტრავმირებულად შეუძლოდ მოიხსენიეს, თუმცა ჩვენი ამერიკელი კოლეგების მიერ მოპოვებული ინფორმაციით, კიდი... უბრალოდ, არ გამოცხადდა თამაშზე. ჯეისონი გუნდის სატრანსფერო პოლიტიკითაა უკმაყოფილო და სანდო წყაროს თქმით, მალე "კლივლენდ კავალიერსში" გაცვლას მოითხოვს.

ჯეისონი არაა პირველი ვარსკვლავი, რომელიც საკუთარ ორგანიზაციას ულტიმატუმის ტონით ელაპარაკება. მანამდე, იგივე, **კობი ბრაიანტმა** გააკეთა, თუმცა "ლეიკერსის" საქმეები მოსალოდნელზე კარგად მიდის და კობიც ამ ეტაპზე მშვიდადაა.

კიდი კი "ნეტსში" გაჩერებას აღარ აპირებს და მისი აგენტის, **ჯეფ შვარცის** თქმით, მალე სათანადო მოთხოვნასაც წამოაყენებს და პირობად "კლივლენდში" წასვლას წამოაყენებს.

რატომ მაინც და მაინც "კავალიერსი"?

ჯეისონს ამერიკის ნაკრების შეკრებისა და ოლიმპიური საკვალიფიკაციო ტურნირისას გასჩენია სურვილი, კარიერის დარჩენილი ნაწილი **ლებრონ ჯეიმსის** გვერდით გაატაროს და ამის საწინააღმდეგო არც ლებრონს ჰქონია რაიმე. მოკლედ, ვარსკვლავური შეთქმულება ჯერ კიდევ "ოცნების გუნდის" შეკრებისას დაწყებულა.

ერთ-ერთი აღმოსავლელი სკაუტის თქმით, ეს წყვილი შეკრებაზე ყველგან ერთად დადიოდა, თამაშების გარჩევის მერე კი, თავიანთ მეუღლეებთან ერთად ღამის კლუბში მიდიოდნენ და დროს მშვენივრადაც ატარებდნენ.

რას ფიქრობს კიდთან ერთად თამაშზე ლებრონი?

*"რას უნდა ვფიქრობდე, ეს ხომ ნებისმიერი მოთამაშისთვის ოცნებაა. ჯეისონი დღესაც მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი მოთამაშეა და ასაკის მატება მას პირიქით, წაადგა კიდეც"*, - ამბობს ლებრონი.

კიდის წლევანდელი სტატისტიკა მართლაც არაჩვეულებრივია. ჯეისონი ერთ მატჩში საშუალოდ 11.3 ქულას, 10.4 შედეგიან გადაცემასა და თითქმის 9 მოხსნას აგროვებს. წარმოგიდგენიათ, რა დღეში ჩააგდებენ კიდი და ჯეიმსი აღმოსავლეთის გუნდებს? პრინციპში, რატომ მარტო აღმოსავლეთისას? დასავლელებსაც არანაკლებ რთული მატჩები მოელით. ცხადია, თუ ჯეისონი "კავალიერსში" გადავა.

კომენტარის გაკეთება "ნიუ ჯერის" პრეზიდენტ **როდ ტორნსაც** სთხოვეს.

*"არა მგონია, ჯეისონს მატჩი თავის ტკივილის გარდა, სხვა მიზეზით გამოეტოვებინოს. არც იმაზე მსმენია რაიმე, თითქოს მას სხვაგან გადასვლა უნდოდეს. კიდს ჩვენთან მოქმედი ხელშეკრულება აკავშირებს, რომელსაც ვადა ორი წლის შემდეგ გასდის და გუნდის გეგმებში მისი გაცვლა ნამდვილად არ შედის"*, - განუცხადა სატელეფონო საუბარში მასმედიელებს ტორნმა.

*"ღირს თუ არა კიდის აყვანის გამო 2-3 მოთამაშეზე უარის თქმა? ნამდვილად ღირს, თუმცა იმედი მაქვს, ამ მოთამაშეთა რიცხვში მე არ შემიყვანენ"*, - მიაჩნია "კავალიერსის" ერთ-ერთ ლიდერს, გუნდის თანაკაპიტან **დრიუ გუდენს**.

იმასაც შეგახსენებთ, რომ შარშანდელი ფლეი ოფის პირველ წრეში, კიდის "ნეტსმა" "ტორონტო რეპტორზს" სერია რომ მოუგო, ჯეისონი ერთ მატჩში საშუალოდ სამმაგ დუბლს უყრიდა თავს. არადა, კანადელებს საკუთარი მოედნის უპირატესობა ჰქონდათ. სადღეისოდ, "ნიუ ჯერსის" 19 მატჩის შემდეგ უკვე 10 ნაგება დაუგროვდა და ეს მიუხედავად იმისა, რომ კიდის გარდა, ისტრუზერფორრდელებს **ვინს კარტერი** და **რიჩარდ ჯეფერსონი** ჰყავთ.

ჩვენ კი მოვლენების შემდგომ განვითარებას დაველოდოთ.



ლებრონი კიდს ეძახის

**ზურაბ თალაკვაძე**

ევროლიგა. I ჯგუფური ეტაპი. VII ტური

### A ჯგუფი

**ცსკა-ვირტუსი 79:53**

26:18, 13:15, 18:13, 22:7

**ცსკა:** შიშკაუსკასი (16 ქ. 5 მ), ანდერსენი (13 ქ. 8 მ), გორე (12 ქ. 9 მ), ლენგდონი (12 ქ), ზისისი (11 ქ), ჰოლდენი (10 ქ. 8 პ).

**ვირტუსი:** ჰოლანდი (20 ქ. 4 მ), კიაჩიგი (7 ქ).

**მონტეპასკი-ოლიმპიაკოსი 86:84**

20:19, 21:20, 19:24, 26:21

**მონტეპასკი:** სატო (23 ქ. 8 მ), ბ. ტორნტონი (17 ქ), კ. ლავრინოვიჩი (11 ქ. 6 მ. 3 ჩ), სთოუნრუქი (10 ქ. 7 მ. 5 ჩ. 4 პ), კაუკენასი (10 ქ).

**ოლიმპიაკოსი:** მ. ჯექსონი (21 ქ. 8 მ. 2 პ. 2 დ), კ. ვუდსი (20 ქ. 12 მ. 4 ჩ. 3 პ), პრინტეზისი (17 ქ. 5 მ), მაციაუსკასი (13 ქ. 4 მ. 2 ჩ).

**ოლიმპია-პროკომი 68:49**

13:15, 22:11, 14:15, 19:8

**ოლიმპია:** მილიჩი (16 ქ. 6 მ), ჰუკიჩი (16 ქ. 3 მ), დრაგიჩი (15 ქ. 6 მ. 4 პ. 4 ჩ).

**პროკომი:** სტანოიევიჩი (13 ქ. 6 მ), ჰარისისი (10 ქ. 3 ჩ), დილევიჩი (9 ქ. 6 მ).

**ჟალგირისი-ტაუ 95:92**

19:23, 27:25, 18:15, 31:29

**ჟალგირისი:** მ. ბრაუნი (27 ქ), მ. პოპოვიჩი (18 ქ. 3 მ. 3 პ), მაციულისი (11 ქ. 2 ჩ), ბრედლი (10 ქ. 8 მ), ე. ჟუკაუსკასი (9 ქ. 6 მ. 2 დ).

**ტაუ:** პლანინჩიჩი (18 ქ. 5 პ. 4 მ), რაკოჩევიჩი (18 ქ), სპლიტერი (16 ქ. 8 მ. 2 პ), უ. მაკდონალდი (13 ქ. 5 პ).

| | მ-წ | სხვ |
|---|---|---|
| 1. ცსკა | 6-1 | +73 |
| 2. მონტეპასკი | 5-2 | +72 |
| 3. ოლიმპიაკოსი | 4-3 | +73 |
| 4. ტაუ | 4-3 | +55 |
| 5. ჟალგირისი | 3-4 | -23 |
| 6. ოლიმპია | 3-4 | -41 |
| 7. ვირტუსი | 2-5 | -88 |
| 8. პროკომი | 1-6 | -121 |

### B ჯგუფი

**ლ. რიტასი-ციბონა 93:59**

23:14, 24:11, 23:17, 23:17

**ლიეტუვოს რიტასი:** პეტრავიჩუსი (17 ქ. 5 მ), ბაირამოვიჩი (13 ქ. 7 მ), ეიდსონი (13 ქ. 4 პ. 3 ჩ), პრაისი (13 ქ. 6 პ), დ. მიტჩელი (10 ქ).

**ციბონა:** ჰოსკინი (21 ქ. 2 ჩ), მულაომეროვიჩი (16 ქ. 4 მ. 3 პ. 3 ჩ), კ. უორენი (10 ქ. 3 ჩ).

**ეფესი-უნიკახა 91:75**

28:21, 23:15, 20:19, 20:20

**ეფეს პილზენი:** ნიკოლასი (16 ქ. 7 პ), პენი (15 ქ. 2 ჩ), კიუგო (13 ქ. 5 მ), არსლანი (11 ქ. 2 ჩ), გონლუმი (10 ქ. 4 მ. 3 პ), ლ. ვუდსი (10 ქ. 3 მ).

**უნიკახა:** სანტიაგო (25 ქ. 8 მ), ველში (13 ქ. 7 მ), კუში (11 ქ. 4 პ. 3 მ).

**ლე მანი-მილანი 63:71**

17:13, 14:20, 22:16, 10:22

**ლე მანი:** ლიმონადი (20 ქ. 5 პ), კლენსი (13 ქ), კოფი (12 ქ. 6 მ. 5 დ. 2 ჩ).

**არმანი:** ვუკჩევიჩი (18 ქ. 2 ჩ), გალინარი (15 ქ. 7 მ. 5 პ), ბუკერი (15 ქ. 4 მ. 2 პ), ტ. ჰოლდსონი (11 ქ. 11 მ. 2 ჩ).

**მაკაბი-არისი 85:70**

23:14, 27:16, 15:23, 20:17

**მაკაბი:** ბლუტენტალი (20 ქ. 8 მ), ტ. მორისი (18 ქ. 9 მ), ფაიზერი (12 ქ. 4 მ), ჰალპერინი (9 ქ. 2 ჩ).

**არისი:** ბ. რაიტი (19 ქ. 4 მ), მასეი (13 ქ. 6 მ), კესტლი (10 ქ. 3 პ).

| | მ-წ | სხვ |
|---|---|---|
| 1. ლ. რიტასი | 5-2 | 653 |
| 2. უნიკახა | 5-2 | +61 |
| 3. მაკაბი | 5-2 | -10 |
| 4. ეფეს პილზენი | 4-3 | +19 |
| 5. არისი | 4-3 | +15 |
| 6. ციბონა | 3-4 | -45 |
| 7. მილანი | 2-5 | -21 |
| 8. ლე მანი | 0-7 | -52 |

### C ჯგუფი

**პანათინაიკოსი-რეალი 92:85**

26:20, 20:27, 19:21, 27:17

**პანათინაიკოსი:** ბატისტე (24 ქ. 3 მ. 3 პ), იასიკიავიჩუსი (21 ქ. 6 პ), ბეჩიროვიჩი (10 ქ), ალვერტისი (9 ქ).

**რეალი:** ბალოკი (19 ქ), თუნჩერი (14 ქ. 2 ჩ), პელეკანოსი (12 ქ. 7 მ), ჰერველი (7 ქ. 9 მ).

**ბარსელონა-ბამბერგი 80:58**

16:11, 21:22, 18:9, 25:16

**ბარსელონა:** კასუნი (14 ქ. 5 მ. 2 პ), ლაკოვიჩი (12 ქ. 5 პ), ფ. ვასკესი (11 ქ. 5 მ), აკერი (11 ქ), ტრიასი (10 ქ. 8 მ. 2 ჩ).

**ბამბერგი:** დ. გრინი (14 ქ. 2 ჩ), ოლბრეხტი (10 ქ. 5 მ), ფენი (9 ქ).

**რუანი-რომა 104:85**

26:15, 23:26, 26:16, 29:28

**რუანი:** სალიერსი (24 ქ. 4 პ), ბ. რაში (21 ქ. 5 მ. 4 პ. 3 ჩ), ჰესი (18 ქ. 5 მ), ბადიანე (14 ქ. 15 მ), პელინი (7 ქ. 13 პ. 7 მ. 2 ჩ).

**რომა:** დ. ჰოკინსი (16 ქ. 2 ჩ), კიაკეტი (14 ქ), რეი (13 ქ. 7 პ. 4 ჩ. 3 მ), ე. დენიელსი (12 ქ. 8 მ. 2 პ), ფუჩკა (10 ქ. 3 მ. 2 პ), ე. ლორბეკი (10 ქ).

**პარტიზანი-ფენერბახჩე 72:76**

16:20, 18:15, 18:20, 20:21

**პარტიზანი:** პეკოვიჩი (26 ქ. 6 მ), კეჩმანი (16 ქ), ტრიპკოვიჩი (9 ქ. 6 მ. 2 პ), პალასიო (9 ქ. 6 პ).

**ფენერბახჩე:** სოლომონი (21 ქ. 5 მ. 4 პ. 2 ჩ), ონანი (15 ქ), სავასი (12 ქ), ჯ. უაითი (12 ქ. 3 პ).

| | მ-წ | სხვ |
|---|---|---|
| 1. პანათინაიკოსი | 7-0 | ++88 |
| 2. ბარსელონა | 5-2 | +50 |
| 3. რეალი | 5-2 | +48 |
| 4. ფენერბახჩე | 4-3 | -10 |
| 5. პარტიზანი | 3-4 | -25 |
| 6. რუანი | 2-5 | -63 |
| 7. რომა | 1-6 | -37 |
| 8. ბამბერგი | 1-6 | -50 |

NBA რეგულარული ჩემპიონატი

# აივერსონის ფენომენი

"დალასს" რაღაც სჭირს და თუ **ეივერი ჯონსონი** თავისი ასისტენტებითურთ ამ სენს დროულად არ განკურნავს, ტეხასელები ცუდ დღეში ჩავარდებიან. ფლეი ოფში ვერგასვლა გუნდს ნამდვილად არ ემუქრება, მაგრამ ასეთი შემადგენლობითა და საკმაოდ მომხიბვლელი სათამაშო განრიგით, **დირკ ნოვიცკის** გუნდს ამ დროისთვის 8 ნაგება ნაღდად არ უნდა ჰქონდეს.

ნაგება წინა მატჩში უდანკანო "სპურსთან" და აგერ, შინ განცდილი მარცხი არასტაბილურ "დენვერთან", რომელიც უკვე შეეჩვია იმას, რომ **ალენ აივერსონისა** და **კარმელო ენტონის** გარდა, გადამწყვეტ მომენტში, მას ქულის გამკეთებელი არ ჰყავს.

აივერსონმა წინა დღეს, "ლეიკერსთან" 51 ქულა შეაკონინა, მაგრამ მისი გუნდი დამარცხდა, ამჯერად კი ბოლო ათწლეულის ერთ-ერთმა უდიდესმა მოთამაშემ 35 ქულა "იკმარა", თუმცა თავისი უშუალო მოვალეობაც მშვენივრად შეასრულა და თანაგუნდელებს 12 შედეგიანი გადაცემა გაუკეთა.

*"ალენი თავიდანვე მოგვაცხრა და მისი შეჩერება ვერ შევძელით. ცუდია, როდესაც იცი, რომ ხიფათს ამ კონკრეტული მოთამაშისგან ელი და მაინც ვერაფერს აკეთებ"*, - ამბობდა ნამატჩევს ნოვიცკი, რომელმაც 32 ქულით მიმდინარე რეგულარულის პირადი რეკორდი გაიმეორა.

გერმანელმა, ვისაც "სპურსთან" მატჩში მხოლოდ 11 სროლა დასცალდა, ამჯერად თავიდანვე მაგრად შეუტია ოპონენტს და საბოლოოდ, ამ სეზონში თავისი საუკეთესო შეხვედრაც გამართა. იგი აქტიურად მიდიოდა ფარიდან ასხლეტილი ბურთის მოსახსნელად, ბრწყინვალედ ისროდა საჯარიმოებს (10/10) და დაცვაშიც ყოჩაღად იდგა, თუმცა "მავერიქსი" მაინც დამარცხდა, რაც ჯონსონის გუნდისთვის ბოლო 10 შეხვედრაში მეექვსე ნაგება გახლდათ.

აივერსონი კი ნელ-ნელა ართმევს ენტონის ტოპ-მექულის არაოფიციალურ სტატუსს. ალენმა საშუალოდ მოხვეჭილი ქულებით მცირედით, მაგრამ უკვე გადაასწრო თანაგუნდელს (25.3/25.1), თუმცა თავადაც აღიარებს, რომ ამ ეტაპზე იგი ამაზე საერთოდ არ ფიქრობს.

*"მთავარია, "იუტას" გაქცევის საშუალება არ მივცეთ და რაც შეიძლება ნაკლები მატჩი წავაგოთ ვარსკვლავურ უიქენდამდე. "ყველა ვარსკვლავის" მატჩის მერე, "დენვერი", როგორც წესი, თავის საუკეთესო კალათბურთს თამაშობს"*, - მიაჩნია აივერსონს, რომელმაც ამ სეზონში პირველად ჩაამთავრა შეხვედრა მინიმუმ 30 ქულითა და 10 შედეგიანი გადაცემით. მის ანგარიშზე ამ რეგულარულში უკვე ექვსი 30-ქულიანი და ოთხი 10-პასიანი შეხვედრა მოდის.




**ზურაბ თალაკვაძე**

**დალასი-დენვერი 109:122**

32:39, 24:25, 36:34, 17:24

**დალასი:** ნოვიცკი (32 ქ. 12 მ. 5 პ), სტექჰაუზი (23 ქ. 7 მ. 5 პ), ჯოშ ჰოვარდი (20 ქ. 6 მ), დ. ჰარისი (12 ქ. 4 პ), დემპიე (უქულოდ, 11 მ. 2 დ).

**დენვერი:** აივერსონი (35 ქ. 12 პ. 6 ჩ), ენტონი (23 ქ. 6 მ), კლეიზა (23 ქ. 2 ჩ), კენიონ მარტინი (18 ქ. 7 მ), კემბი (8 ქ. 14 მ. 5 დ. 2 პ. 2 ჩ).

**ატლანტა-მინესოტა 90:89**

29:15, 24:25, 8:27, 29:22

**ატლანტა:** ჯოშ სმიტი (28 ქ. 7 მ. 7 დ. 2 ჩ. 2 პ), ჯო ჯონსონი (21 ქ. 9 მ. 4 პ. 2 ჩ), მერვინ უილიამსი (20 ქ), ჰორფორდი (8 ქ. 15 მ. 2 დ).

**მინესოტა:** კ. სმიტი (20 ქ. 9 მ), იარიჩი (18 ქ. 9 პ. 8 მ. 3 ჩ), ე. ჯეფერსონი (17 ქ. 8 მ), მაკკენტსი (11 ქ), კ. ბრიუერი (6 ქ. 18 მ. 6 პ. 4 ჩ).

**პორტლენდი-მაიამი 112:106**

30:25, 26:17, 21:31, 35:33

**პორტლენდი:** როი (25 ქ. 6 პ. 5 მ), ტ. აუთლო (20 ქ. 7 მ), ოლდრიჯი (14 ქ. 10 მ), ჯ. ჯოუნსი (14 ქ), ს. ბლეიკი (12 ქ. 5 პ. 4 მ).

**მაიამი:** უეიდი (21 ქ. 10 მ. 9 პ), კუკი (20 ქ), რ. დევისი (18 ქ. 5 მ. 2 ჩ), ჰასლემი (15 ქ. 5 მ), ჯ. უილიამსი (10 ქ. 9 პ), შ. ონილი (8 ქ. 10 მ).

კალათბურთი

## გრირი კიდევ ორ კვირას გამოტოვებს

საბერძნეთის „ოლიმპიაკოსის" გამთამაშებელი, ლინ გრირი (28 წლის, 186 სმ) კიდევ ორი კვირა ვერ შეძლებს მოედანზე გასვლას. ამის მიზეზი გახლავთ ის, რომ ამერიკელმა ლეგიონერმა მარჯვენა ფეხის ტრავმა გაიმიზეზა.

შეგახსენებთ, რომ გრირი უკვე 14 ნოემბერიდან ვერ ახერხებს თამაშს. იმ დღეს, მოსკოვის ცსკა-სთან ევროლიგის მატჩში, გრირი არმიელების ცენტრს **დევიდ ანდერსენს** შეეჯახა და ფეხი დაიზიანა.

## ბარსამ მორანდე გაუშვა

„ბარსელონას" რიგები დატოვა ფრანგმა მცველმა **მიშელ მორანდემ**. კატალონურმა კლუბმა ამ კალათბურთელთან მოკლეხნიანი კონტრაქტი გააფორმა. შეგახსენებთ, რომ საფრანგეთის ნაკრებს წევრს, სეზონის სტარტზე უნდა შეეცვალა ტრავმირებული **ალექს ეკერი**.

წლევანდელი ევროლიგის სასტარტო ექვს მატჩში მორანდე საშუალოდ 5.5 ქულას აგროვებდა.

## ვირტუსმა ბულერი მიიღო

სერია A-ს ბინადარი ბოლონიის „ვირტუსი" იტალიის ნაკრების ვეტერანით, **მასიმო ბულერით** (30 წლის, 188 სმ) გაძლიერდა. ბოლონიელებმა ეს გამთამაშებელი „მილანიდან" სეზონის ბოლომდე არენდით აიყვანეს.

ბულერი წლევანდელ ევროლიგაზე საკმაოდ შედეგიანად თამაშობს - საშუალოდ მატჩში მის ანგარიშზეა 13.3 ქულა, 2.0 მოხსნა და 1.8 პასი.

## კევინ მარტინი თვენახევარი დაისვენებს

„საკრამენტო კინგზის" საუკეთესო ბომბარდირი **კევინ მარტინი** საკმაო ხნით გამოაკლდა რეგულარულ ჩემპიონატს. კერძოდ, ეს ფორვარდი დაახლოებით 4-6 კვირა ვერ შეძლებს მოედანზე გასვლას. ამის მიზეზი გახდა „იუტასთან" მატჩის დროს მიღებული საზარდულის ტრავმა. შეგახსენებთ, რომ უფრო ადრე, „საკრამენტომ" დაკარგა სასტარტო ხუთეულის ორი წევი - **მაიკ ბიბი** და **შარიფ აბდურ-რაჰიმი**.

*„კევინის გარეშე ძალიან გაგვიჭირდება. მაგრამ ხასიათი უნდა გამოვავლინოთ და ყველა მატჩი დიდი მონდომებით უნდა ჩავატაროთ"*, - განაცხადა „საკრამენტოს" ერთ-ერთმა ლიდერმა **რონ არტესტმა**.

ამ სეზონში, მარტინი საშუალოდ მატჩში 24.5 ქულას აგროვებს.



რენოს შეფი ფლავიო ბრიატორე ფია-ს გადაწყვეტილებით კმაყოფილია

# რენო ჯარიმას გადაურჩა

ყოველგვარი სანქციის გარეშე დასრულდა ფორმულა ერთის გასული სეზონის კიდევ ერთი სკანდალური ისტორია, რომელშიც ინგლისური გუნდი "მაკლარენი" ფრანგ კონკურენტ "რენოს" თავისი ტექნიკური ინფორმაციის არალეგალურად მოპოვებასა და გამოყენებაში ადანაშაულებდა.

საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის (FIA) მსოფლიო მოტორ სპორტის საბჭომ დაადგინა, რომ "რენომ" დაარღვია მოტორ სპორტის სპორტული კოდექსის 151c მუხლი, მაგრამ ამის მიუხედავად, გუნდი ჯარიმას მაინც გადაურჩა.

შეგახსენებთ, რომ ანალოგიური მუხლის დარღვევისთვის, ორიოდე თვით ადრე, 100 მილიონი დოლარით დაჯარიმდა "მაკლარენი", რომელსაც "ფერარისგან" უკანონოდ მოპოვებული ინფორმაციის ფლობა და გამოყენება დაუმტკიცდა. გარდა ამისა, გუნდი კონსტრუქტორთა პირველობიდანაც მოიხსნა. თუმცა, მაშინ, საქმის პირველი მოსმენის შემდეგ, მტკიცებულებათა არქონის გამო, "მაკლარენი" სანქციას გადარჩა. მოგვიანებით კი, როცა გუნდის ესპანელმა წევრმა, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა **ფერნანდო ალონსომ** გამოძიებას თავისი და გუნდის ტესტპილოტ **პედრო დე ლა როსას** საინტერნეტო მიმოწერები გადასცა, საქმე წარმოებაში დაბრუნდა და ის "მაკლარენისთვის" უმძიმესი სანქციებით დასრულდა.

მოკლედ, "რენო" ჯარიმას გადაურჩა, რაც იმას ნიშნავს, რომ ალონსოს მასში დასაბრუნებელი გზა გაეხსნა. საქმე ისაა, რომ ფრანგული საჯინიბოს დაჯარიმების შემთხვევაში, მას მომავალ სეზონში ჩემპიონობისთვის ბრძოლას პერსპექტივა თითქმის არ ექნებოდა. ამ შემთხვევაში კი ალონსო "რენოში" დაბრუნებას სავარაუდოდ არ ისურვებდა. შეგახსენებთ, რომ თავისი ორივე ტიტული მას სწორედ ფრანგულ საჯინიბოსთან ერთად აქვს მოპოვებული.

დავუბრუნდეთ "რენოს" საქმის განხილვას. ფრანგული გუნდის ხელმძღვანელობამ აღიარა კოდექსის 151c მუხლის დარღვევა და საბჭოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით კმაყოფილება გამოთქვა. *"ჩვენ მოხარულნი ვართ, რომ მომდევნო სეზონისთვის მომზადების საშუალება მოგვეცა"*, - განაცხადა გუნდის შეფმა **ფლავიო ბრიატორემ**.

რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, საქმის განხილვის შედეგით კმაყოფილება გამოთქვა "მაკლარენის" მთავარმა ალმასრულებელმა **მარტინ უაიტმარშმა**. *"ჩვენ წინასწარ მივმართეთ მსოფლიო მოტორ სპორტის საბჭოს, რომ ჩვენ არ გვსურდა, რომელიმე გუნდი იმის მსგავსი სანქციით დაესაჯათ, რომელიც ცოტა ხნის წინ ჩვენს წინააღმდეგ იქნა გამოყენებული. მაგრამ ამის მიუხედავად, ყველას ვარწმუნებთ, რომ ეს საქმეც ისეთივე სერიოზულია, როგორც ჩვენი და "ფერარის" შემთხვევაში იყო"*, - ამბობს უაიტმარში.

FIA-ს პრეზიდენტი **მაქს მოსლი** ამბობს, რომ ესოდენ სერიოზულ საქმეში ნეიტრალური გადაწყვეტილების მიღება იმავე გარემოებებმა განაპირობა, რომელთა წყალობითაც, "მაკლარენი" თავისი საქმის პირველი განხილვის დროს, სანქციებს გადაურჩა.

მაშინ, "მაკლარენი" კოდექსის დარღვევაში დამნაშავედ სცნეს, მაგრამ გუნდის წინააღმდეგ სანქცია არ გამოიყენეს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ საქმეში საფუძვლიანი მტკიცებულება არ არსებობდა. მაშინ დადგინდა, რომ "მაკლარენს" "ფერარისგან" მოპოვებული ტექნიკური ინფორმაცია არ გამოუყენებია.

ახლა კი, ჯარიმას და კონსტრუქტორთა პირველობიდან მოხსნას ვინ ჩივის, თუ ინგლისურ გუნდს დაუმტკიცდა, რომ მომავალი სეზონის ბოლიდზე "ფერარის" ტექნიკურ ინფორმაციას გამოიყენებს, მაშინ მას სეზონის მინუს ქულებით დაწყება მოუწევს. ამ საქმის გამოსაკვლევად, "მაკლარენის" შტაბ-ბინაში მუდმივად მუშაობს მოტორ სპორტის საბჭოს სპეციალური ტექნიკური კომისია, რომელიც ახალი ბოლიდის ტექნიკურ დოკუმენტაციას სწავლობს და თავის დასკვნას მოგვიანებით გამოაქვეყნებს.

ამ საქმესთან დაკავშირებით, FIA-ს ტექნიკურმა კომისიამ მსჯელობა გუშინ გამართა, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ჯერ არ იგეგმება. უაიტმარში დარწმუნებულია, რომ მისი გუნდი ამჯერად ყოველგვარ სანქციას გადაურჩება, რადგან ახალ ბოლიდში, ისევე როგორც მის წინამორბედში, "ფერარის" არანაირი ტექნიკური ინფორმაცია არ გამოიყენება.

რაც შეეხება ალონსოს, შეგახსენებთ, რომ ზედიზედ ორი ტიტულის მოპოვების შემდეგ, მან ყველასათვის მოულოდნელად, "რენო" დატოვა და "მაკლარენში" გადავიდა. რა თქმა უნდა, როგორც ჩემპიონი, ინგლისურ გუნდში პირველი პილოტის სტატუსით სარგებლობას იმედოვნებდა, მაგრამ ასე არ მოხდა, რაც პირველ რიგში, ბრიტანელი **ლუის ჰემილტონის** ბრწყინვალე დებიუტმა განაპირობა.

შუა სეზონში, ალონსოსა და "მაკლარენის" ხელმძღვანელობას შორის ურთიერთობა უკიდურესად დაიძაბა, რაც ესპანელი პილოტის მიერ გუნდის შეფის, **რონ დენისის** დაშანტაჟებაში გადაიზარდა.

მაშინ ალონსო დენისს დაემუქრა, რომ თუ მას ჩემპიონისთვის შესაფერის გარემოს არ შეუქმნიდნენ, ის FIA-ს გააცნობდა იმ მიმოწერის შინაარსს, რომელიც მას დე ლა როსასთან ჰქონდა. დენისმა თავის დაზღვევა გადაწყვიტა და მომხდარის შესახებ მოსლის მოუყვა, რის შემდეგაც "მაკლარენის" საქმე განახლდა ა ის გუნდისთვის უმძიმესი სანქციით დასრულდა.

გასაგებია, რომ ამის შემდეგ, ალონსოს "მაკლარენში" აღარ დაედგომებოდა. თუმცა, ამის მიუხედავად, გუნდი მას სეზონის ბოლომდე პირნათლად ემსახურა, რისი დასტურიცაა თუნდაც ის ფაქტი, რომ ესპანელი პილოტი ბოლო რბოლის ბოლო წრემდე ინარჩუნებდა ჩემპიონობის შანსს.

# TV სპორტი

## 8 დეკემბერი. შაბათი

### I არხი

**15:15** კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. მაკაბი-ენერჯი ინვესტი (LIVE).

### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

**12:30** ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**13:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**13:20** ჰოლანდიის ჩემპიონატი. ეინდჰოვენი-როდა.
**15:05** საფეხბურთო კლუბი.
**15:55** ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**16:25** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**16:40** ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-პორტსმუტი (LIVE).
**18:55** ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-სანდერლენდი (LIVE).
**20:55** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**21:10** ინგლისის ჩემპიონატი. რედინგი-ლივერპული (LIVE).
**23:10** ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნდერბი.
**00:55** ესპანეთის ჩემპიონატი. ბილბაო-რეალი (LIVE).

### SPORT 1 (უკრაინა)

**08:10** ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. მალაიზია.
**09:08** ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**09:37** კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. მიმოხილვა.
**10:05** სპორტინფორმი. ახალი ამბები.
**10:19** მინი-მოედანი.
**10:36** ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**11:05** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. რეინჯერსი-ტორონტო.
**12:55** ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
**13:25** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-არმინია.
**15:15** სპორტის სამყარო.
**15:44** ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
**16:14** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**16:45** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-პორტსმუთი (LIVE).
**18:44** სპორტკლუბი.
**19:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-სანდერლენდი (LIVE).
**21:00** სპორტული ისტორიები.
**21:15** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. რედინგი-ლივერპული (LIVE).
**23:14** სპორტკლუბი.
**23:30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. პალერმო-ფიორენტინა (LIVE).
**01:30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ბილბაო-რეალი (LIVE).
**03:14** ფეხბურთი. Barca TV.
**03:21** სპორტის სამყარო.
**03:48** სპორტული ისტორიები.
**04:00** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. მონრეალი-კაროლინა (LIVE).
**06:40** მინი-მოედანი.
**06:55** სპორტდოსიე. კრიკეტი.
**07:21** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-არმინია.

### EUROSPORT

**11:30** ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
**12:00** ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS131. კვალიფიკაცია. ტრონდჰეიმი. ნორვეგია.
**12:30** ქიორლინგი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. ფინალი. გერმანია (LIVE).
**15:00** თხილამურებით რბოლა. მსოფლიო თასი. მამაკაცები. 15 კმ. დავოსი. შვეიცარია (LIVE).
**15:45** ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. რბოლა გამოდევნებით. ჰოჰფილცენი. ავსტრია (LIVE).
**16:45** სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასი. 15 კმ. ტრონდჰეიმი. ნორვეგია (LIVE).
**17:45** ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. რბოლა გამოდევნებით. ჰოჰფილცენი. ავსტრია (LIVE).
**18:45** ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS131. ტრონდჰეიმი. ნორვეგია (LIVE).
**20:45** მულტისპორტი.
**21:15** ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. რბოლა გამოდევნებით. ჰოჰფილცენი. ავსტრია.
**22:00** მთის თხილამურები. მსოფლიო თასი. ქალები. სუპერგიგანტი. ასპენი. აშშ (LIVE).
**23:30** კიკბოქსინგი. პორტუ. პორტუგალია (LIVE).
**02:00** სნუკერი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. ტელფორდი.
**04:00** ბრძოლა წესების გარეშე.

### EUROSPORT-2

**10:30** ახალი ამბები.
**12:30** ექსტრემალური სპორტი.
**13:00** თხილამურებით რბოლა. მსოფლიო თასი. ქალები. 10 კმ. დავოსი. შვეიცარია (LIVE).
**14:00** სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასი. ტრამპლინი HS131. ტრონდჰეიმი. ნორვეგია (LIVE).
**15:00** ციგაობა. მსოფლიო თასი. ორადგილიანი. I ცდა. ვინტერბერგი. გერმანია (LIVE).
**15:30** მულტისპორტი.
**16:00** ციგაობა. მსოფლიო თასი. ორადგილიანი. II ცდა. ვინტერბერგი. გერმანია (LIVE).
**16:30** ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. მიმოხილვა.
**17:30** სნუკერი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. I დღე. ტელფორდი (LIVE).
**22:30** ახალი ამბები.
**23:00** ექსტრემალური სპორტი.
**00:00** სუპერკროსი. შვეიცარია.
**01:00** მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. აშშ-ის გრან-პრი.
**02:00** ახალი ამბები.
**02:15** ექსტრემალური სპორტი.
**03:15** ახალი ამბები.

## 9 დეკემბერი. კვირა

### I არხი

**13:00** ფეხბურთი. საქართველოს სუპერთასი. **ოლიმპი-ამერი (LIVE).**

### რუსთავი 2

**18:30** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.

### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

**11:15** ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-სანდერლენდი.
**13:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**13:20** ესპანეთის ჩემპიონატი. ბილბაო-რეალი.
**15:15** ჰოლანდიის ჩემპიონატი. მარსელი-მონაკო.
**17:05** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**17:25** ინგლისის ჩემპიონატი. მიდლსბრო-არსენალი (LIVE).
**19:30** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**19:55** ესპანეთის ჩემპიონატი. სარაგოსა-ესპანიოლი (LIVE).
**21:55** ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-ხეტაფე (LIVE).
**23:55** ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-დეპორტივო (LIVE).
**01:55** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**02:10** ინგლისის ჩემპიონატი. ბლექბერნი-ვესტ ჰემი.

### SPORT 1 (უკრაინა)

**09:10** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. პალერმო-ფიორენტინა.
**10:56** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰანოვერი-ვერდერი.
**12:45** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ბილბაო-რეალი.
**14:30** კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. მიმოხილვა.
**15:04** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-ვოლფსბურგი.
**16:52** ფეხბურთი. Barca TV.
**16:59** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**17:29** ფეხბურთი. სერია A-ს ჟურნალი.
**18:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-ტორინო (LIVE).
**20:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ბლექბერნი-ვესტ ჰემი (LIVE).
**22:00** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-ხეტაფე (LIVE).
**00:00** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-დეპორტივო (LIVE).
**01:58** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**02:26** კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. მიმოხილვა.
**02:56** ფეხბურთი. Barca TV.
**03:04** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰანოვერი-ვერდერი.
**04:51** სპორტდოსიე. გოლფი.
**05:17** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი.
**07:04** ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
**07:35** ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.

### EUROSPORT

**11:30** მულტისპორტი.
**12:00** ქიორლინგი. ევროპის ჩემპიონატი. მამაკაცები. ფინალი. გერმანია (LIVE).
**13:00** თხილამურებით რბოლა. მსოფლიო თასი. ქალები. ესტაფეტა 4x5 კმ. დავოსი. შვეიცარია (LIVE).
**14:00** ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. ესტაფეტა. ჰოჰფილცენი. ავსტრია (LIVE).
**15:45** სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასი. სპრინტი. ტრონდჰეიმი. ნორვეგია (LIVE).
**16:15** ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS131. კვალიფიკაცია. ტრონდჰეიმი. ნორვეგია.
**16:45** ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS131. ტრონდჰეიმი. ნორვეგია.
**18:30** ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. ესტაფეტა. ჰოჰფილცენი. ავსტრია.
**19:45** სნუკერი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. II დღე. ტელფორდი (LIVE).
**23:00** თოვლის უიქ ენდი. ტელეჟურნალი.
**23:30** მთის თხილამურები. მსოფლიო თასი. ქალები. სლალომი. I ცდა. ასპენი. აშშ.
**00:00** მთის თხილამურები. მსოფლიო თასი. ქალები. სლალომი. II ცდა. ასპენი. აშშ (LIVE).
**00:45** სნუკერი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. II დღე. ტელფორდი (LIVE).
**02:00** პროფესიული კრივი. სუპერმჩატე წონა. ა. ბენტო (პორტუგალია)-ჟ. ნეგი (უნგრეთი).
**04:00** თოვლის უიქ ენდი. ტელეჟურნალი.

### EUROSPORT-2

**10:30** ახალი ამბები.
**13:00** სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასი. ტრამპლინი HS131. ტრონდჰეიმი. ნორვეგია (LIVE).
**14:00** ციგაობა. მსოფლიო თასი. ქალები. II ცდა. ვინტერბერგი. გერმანია (LIVE).
**14:30** თხილამურებით რბოლა. მსოფლიო თასი. მამაკაცები. ესტაფეტა 4x10 კმ. დავოსი. შვეიცარია (LIVE).
**16:30** სუპერკროსი. შვეიცარია.
**17:00** სნუკერი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. II დღე. ტელფორდი (LIVE).
**19:30** ტიმბერსპორტი. ევროპის ჩემპიონატი. გერმანია.
**20:00** მოტოკროსი. ბრიტანეთი.
**21:00** მთის თხილამურები. მსოფლიო თასი. ქალები. სლალომი. I ცდა. ასპენი. აშშ (LIVE).
**22:00** მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. აშშ-ის გრან-პრი.
**23:00** მულტისპორტი.
**23:30** ახალი ამბები.
**00:00** კიკბოქსინგი. რუსეთი.
**02:00** ახალი ამბები.
**02:15** სნოუბორდი.
**03:15** ახალი ამბები.

# ცხელი ხაზი

## ფეხბურთი

### ინგლისი

#### I ლიგა

| | |
|---|---|
| ბრაიტონი-ნოტინგემი | 0:2 |

### გერმანია

| | |
|---|---|
| დორტმუნდი-არმინია | 6:1 |

#### II ბუნდესლიგა

| | |
|---|---|
| ალემანია-სტ. პაული | 2:2 |
| აუე-კობლენცი | 0:0 |
| მაინცი-კიოლნი | 1:0 |

### საფრანგეთი

#### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| ბასტია-ანჟერსი | 0:1 |
| ბრესტი-შატორუ | 2:1 |
| კლერმონი-რეიმსი | 4:1 |
| დიჟონი-ნიორი | 1:3 |
| გენიონი-გინგამი | 0:1 |
| ლიბურნი-სედანი | 1:1 |
| ნანტი-ამიენი | 3:1 |
| ტრუა-აიაჩო | 0:1 |
| გრენობლი-ბულონი | 1:2 |

### ჰოლანდია

| | |
|---|---|
| ეინდჰოვენი-როდა | 2:4 |

#### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| ემენი-იგლზი | 3:1 |
| დენ ბოში-აპელდოორნი | 3:1 |
| დორდრეხტი-კამბური | 2:3 |
| ცვოლე-ჰაარლემი | 3:0 |
| ფორტუნა-როსენდალი | 0:0 |
| ვაალვიკი-ომნივორლდი | 1:1 |
| ტელსტარი-ეინდჰოვენი II | 2:0 |
| ვეენდამი-ვოლენდამი | 3:3 |
| დენ ჰააგი-მაასტრიხტი | შეწყდა |

### ბელგია

| | |
|---|---|
| სტანდარდი-შარლერუა | 5:1 |

### პორტუგალიის თასი

| | |
|---|---|
| შავეში-პორტუ | 0:2 |

### ავსტრია

| | |
|---|---|
| ზალცბურგი-რიდი | 2:0 |

### შვეიცარია

#### ჩელენჯლიგა

| | |
|---|---|
| კიასო-ფონდსი | 0:2 |

### თურქეთი

| | |
|---|---|
| ბურსა-ბეშიქთაში | 0:1 |

### პოლონეთი

| | |
|---|---|
| რუხი-კრაკოვია | 2:0 |
| ლეხი-კორონა | 1:0 |

## კალათბურთი

### საფრანგეთი

| | |
|---|---|
| ვილერბანი-შოლე | 88:74 |
| გრაველინი-სტრასბური | 77:81 |

## ხელბურთი

### მსოფლიო ჩემპიონატი

#### ქალები

| | |
|---|---|
| ავსტრია-ყაზახეთი | 25:20 |
| არგენტინა-დომინიკა | 21:20 |
| ჩინეთი-პარაგვაი | 23:14 |
| უკრაინა-ტუნისი | 31:26 |

## ჰოკეი

### რუსეთი

| | |
|---|---|
| ავანგარდი-მეტალურგი (ნ) | 1:1 ო.ტ. 2:1 |
| სევერსტალი-ტრაქტორი | 3:5 |
| დინამო-ამური | 3:1 |
| ლოკომოტივი-მეტალურგი (მ) | 3:1 |
| სპარტაკი-სიბირი | 2:3 |
| მედ-ვიტიაზი | 7:3 |

### გერმანია

| | |
|---|---|
| აუგსბურგი-ვოლფსბურგი | 4:3 |
| ჰამბურგი-დიუსელდორფი | 4:1 |
| დუისბურგი-კიოლნი | 4:1 |
| იზერლონი-აისბარენი | 5:7 |
| ფრანკფურტი-ნიურნბერგი | 3:2 |
| შტრაუბინგი-ჰანოვერი | 2:2 |

### სლოვაკეთი

| | |
|---|---|
| ზვოლენი-კეჟმაროკი | 6:2 |
| მარტინი-კოშიცე | 4:1 |
| მიკულაში-სკალიცა | 3:3 ბულ. 4:3 |
| პოპრადი-სლოვანი | 6:2 |
| სლოვაკეთი (ახ)-ტრენჩინი | 0:2 |

### ფინეთი

| | |
|---|---|
| ილვესი-საიპა | 5:3 |
| კერპეტი-კაიპა | 5:3 |
| პელიკანსი-იოკერიტი | 7:3 |
| ტპს-ტაპარა | 3:3 ო.ტ. 3:4 |
| იუვიასკიულა-ესეტი | 7:0 |

### ჩეხეთი

| | |
|---|---|
| ვიტკოვიცე-სლოვანი | 2:2 ო.ტ.3:2 |
| ქლინი-ზნოიმო | 2:3 |
| ლიტვინოვი-ტრშინეცი | 1:1ო.ტ.1:2 |
| პლზენი-კლადნო | 5:1 |
| პარდუბიცე-ბუდეიოვიცე | 2:2 |
| სპარტა-ლიბერეცი | 1:3 |

### შვეიცარია

| | |
|---|---|
| დავოსი-ციურიხი | 5:2 |
| ჟენევა-ამბრი | 5:6 |
| კლოტენი-ლანგნაუ | 3:2 |
| ლუგანო-ბაზელი | 1:0 |
| ფრიბურგი-ბერნი | 2:4 |
| ცუგი-რაპერსვილი | 6:3 |

## ჰოკეი

# NHL რეგულარული ჩემპიონატი

**ბოსტონი–მონრეალი 2:4**

0:3, 2:0, 0:1

**გოლები:** 0:1 ჰიგინსი-12 (ჰამრლიკი-12, შტრაიტი-13), 0:2 ჩიპჩურა-3 (ო'ბირნი-1, ჰიგინსი-7), 0:3 პლეკანეცი-9 (კოსტიცინი-6), 1:3 კესელი-9 (ვიდემანი-7, ხარა-13), 2:3 აქსელსონი-3 (სავარი-28, გ. მიურეი-28), 2:4 დანდენო-4 (ჰიგინსი-8, ო'ბირნი-2).

**რეინჯერსი–ტორონტო 2:6**

2:2, 0:2, 0:2

**გოლები:** 0:1 სტაიანი-7 (კილგერი-4), 0:2 სუნდინი-14 (პონიკაროვსკი-6, გილი-9), 1:2 ჟირარდი-4 (გომესი-15, დრური-12), 2:2 ტიუტინი-4 (გომესი-16, დრური-13), 2:3 ანტროპოვი-12 (ა. სტინი-10, პონიკაროვსკი-7), 2:4 ანტროპოვი-13 (ი. უაიტი-6, გილი-10), 2:5 ანტროპოვი-14 (კუბინა-11, სუნდინი-22), 2:6 ა. სტინი-5 (სტაიანი-8, დევერო-4).

**კალგარი–პიტსბურგი 2:3 (ბ)**

1:0, 1:1, 0:1, 0:0

**გოლები:** 1:0 იგინლა-15 (ტანგეი-19, ფანოფი-11), 1:1 მალკინი-11 (სიკორა-9, გონჩარი-19), 2:1 იგინლა-16 (ჰუსელიუსი-13, ლენგკოუ-15), 2:2 მელოუნი-9.

**ბულიტები გაიტანეს:** ჰუსელიუსი (კალგარი), სიკორა (პიტსბურგი), ლეტანგი (პიტსბურგი).

**ტამპა ბეი–კაროლინა 2:1**

0:0, 1:0, 1:1

**გოლები:** 1:0 ლეკავალიე-19 (ბ. რიჩარდსი-18, სენტ ლუისი-26), 2:0 სენტ ლუისი-10 (ლეკავალიე-25, კუბა-11), 2:1 სტილმანი-16 (ტანაბე-1, ე. სტაალი-12).

**ნეშვილი–ვანკუვერი 2:5**

2:1. 0:1, 0:3

**გოლები:** 1:0 ორტმაიერი-2 (გელინასი-4, ჰამჰუისი-10), 1:1 ბარიუზი-4 (კრაიჩეკი-6, კუკი-4), 2:1 ერატი-9 (არნოტი-13, ჟიდლიცკი-11), 2:2 პიატი-6 (ბ. მორისონი-10, კესლერი-9), 2:3 დ. სედინი-10 (ჰ. სედინი-22, ნესლუნდი-14), 2:4 დ. სედინი-11 (ნესლუნდი-15, ჰ. სედინი-23), 2:5 ლინდენი-2.

**ლოს ანჯელესი–ბაფალო 8:2**

4:0, 3:1, 1:1

**გოლები:** 1:0 კამალერი-14 (კოპიტარი-14), 2:0 დ. ბრაუნი-12 (ჯ. ჯონსონი-3, პრისინგი-6), 3:0 პრისინგი-2 (ნადი-8, ბ. სტიუარტი-6), 4:0 მოდრი-1 (ვიშნოვსკი-15, კოპიტარი-15), 5:0 ჰანძუში-2 (დ. ბრაუნი-11), 6:0 დ. არმსტრონგი-1 (კოპიტარი-16, კამალერი-10), 7:0 დ. ბრაუნი-13 (კამალერი-11, კოპიტარი-17), 7:1 სტეფორდი-5 (დ. რუა-11), 7:2 ვანეკი-8 (დ. რუა-12, სტეფორდი-6), 8:2 პრისინგი-3 (დ. არმსტრონგი-12, ნადი-9).

## ჩოგბურთი

### პიუიტი მონდომებით ვარჯიშობს

ავსტრალიის ღია პირველობაზე დიდი ხანია არ მიულწევიათ წარმატებისთვის ადგილობრივ ჩოგბურთელებს. გაისად ამ ტრადიციის დარღვევას აპირებს ავსტრალიელთა პირველი ნომერი, უიმბლდონის ყოფილი ჩემპიონი **ლეიტონ ჰიუიტი.**

მსოფლიო რეიტინგის 21-ე ნომერი ახალი სეზონის წინ განსაკუთრებული მონდომებით ემზადება. ავსტრალიური პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში ჰიუიტი აცხადებს, რომ კარიერის მანძილზე ასეთ კარგ ფიზიკურ ფორმაში არასოდეს ყოფილა.

*„ყოველდღე კორტზე ჩემს მწვრთნელთან, ტონი რიოჩთან ერთად ოთხ საათს ვატარებ. საღამოობით კი, სამი საათი ტრენაჟორებზე ვვარჯიშობ. განსაკუთრებულ ყურადღებას მარჯვნიდან დარტყმასა და მოწოდებას ვანიჭებ“*, - ამბობს ჰიუიტი.

### იოჰანსონი ავსტრალიაში არ იქნება

ამასობაში გაირკვა, რომ ავსტრალიის ღია პირველობას დააკლდება შვედი ჩოგბურთელი **იოახიმ იოჰანსონი.** ამ გადაწყვეტილების მიზეზი გახდა სათამაშო პრაქტიკის არქონა მუხლის იმ ტრავმის შემდეგ, რომლის გამოც შვედმა ექვსი კვირა გამოტოვა.

*„რა თქმა უნდა, ამ გადაწყვეტილების მიღება რთული აღმოჩნდა. მაგრამ ჩემს მდგომარეობაში მელბურნში გამგზავრება და იქ ხუთსეტიანი მატჩების ჩატარება არარეალურია. მწვრთნელთან ერთად იმ აზრამდე მივედით, რომ კიდევ ერთი თვე თავი უნდა შევიკავო ტურნირებზე გამოსვლისგან“*, - განაცხადა იოჰანსონმა.

### შარაპოვა ქველმოქმედებას აგრძელებს

რუსმა ჩოგბურთელმა **მარია შარაპოვამ** აუქციონზე გაიტანა საღამოს კაბა, რომელიც მას აშშ-ის ღია პირველობის გახსნის ოფიციალურ ცერემონიაზე ეცვა. ამ კაბის გაყიდვიდან შემოსული თანხა მთლიანად ქველმოქმედებას მოხმარდება.

კაბა წითელი ფერისაა, ის „ნაიკის“ ფირმისაა და მას შარაპოვას ავტოგრაფი ამშვენებს.

აუქციონი 19 დეკემბერს, ჩოგბურთელის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გაიმართება.

## ჰოკეი

### ეშმაკებს ლანგენბრუნერი უკაპიტნებს

„ნიუ ჯერსის დევილზს“ ახალი კაპიტანი ჰყავს. ამ გუნდის ისტორიაში რიგით მერვე კაპიტანი გახდა ფორვარდი **ჯეიმი ლანგენბრუნერი.**

ეს ჰოკეისტი 2002 წლიდან თამაშობს „ეშმაკების“ რიგებში, როცა იქ „დალასიდან“ გადავიდა. ლანგენბრუნერი 1993 წელს დრაფტის მეორე ნომერი იყო. მან ჰოკეის ეროვნულ ლიგაში 748 მატჩი ჩაატარა, 169 გოლი გაიტანა და 277 შედეგიანი გადაცემა შეასრულა.

ლანგენბრუნერმა წლევანდელი სეზონის სტარტი ტრავმის გამო გააცდინა.

### ფინიქსმა ოლდი გაცვალა

„ფინიქს კოიოტზის“ რიგებში რუსი მეკარის, **ილია ბრიზგალოვის** გადასვლის შემდეგ, ამ კლუბის ხელმძღვანელობამ ვეტერანი გოლკიპერის, **ალექს ოლდის** თავიდან მოშორება გადაწყვიტა.

ოლდი „ბოსტონ ბრუინზში“ გაუშვეს. მის სანაცვლოდ, „ფინიქსმა“ ფარმკლუბის ერთ-ერთი მოთამაშე და 2009 წლის დარფტის მეხუთე რაუნდში ჰოკეისტის არჩევის უფლება მიიღო.

### მინესოტას კოივუ დააკლდა

„მინესოტა უაილდი“ ხუთმატჩიან გასვლით ტურნეში ფინელი ცენტრფორვარდის, **მიკო კოივუს** გარეშე გაემგზავრა.

კოივუმ ფეხის ტრავმა 17 ნოემბერს, „ვანკუვერ კენაქსთან“ მატჩის დროს მიიღო. მართალია, ფინელმა დაზიანება მოირჩინა და უკვე გუნდთან ერთადაც ივარჯიშა, მაგრამ ექიმებმა გადაწყვიტეს, რომ ის ჯერ არ არის მზად სრული დატვირთვებისთვის და ამიტომაც, კოივუ გუნდს ხუთი მატჩის შემდეგ დაუბრუნდება.

## რაგბი

### ოლ ბლექსი ისევ ჰენრის ჩააბარეს

მიუხედავად მსოფლიო თასზე განცდილი კრახისა, ახალი ზელანდიის მორაგბეთა ნაკრებს კვლავინდებურად **გრემ ჰენრი** გაწვრთნის. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო ქვეყნის რაგბის კავშირმა.

შეგახსენებთ, რომ საფრანგეთში გამართულ მსოფლიო თასზე, უმთავრესმა ფავორიტმა ზელანდიამ მეოთხედფინალი წააგო საფრანგეთის ნაკრებთან და ყველას ეგონა, რომ ამის გამო, ჰენრის პოსტის დატოვება მოუწევდა.

## კრივი

# დაუმარცხებელთა ბრძოლა

## ჰატონი მეივეზერს ემუქრება



მეივეზერმა და ჰატონმა (მარჯვნივ) ბრძოლა ლამის პრესკონფერენციაზევე დაიწყეს

დღეს ლას ვეგასის სასტუმრო-კაზინო "MGM გრანდის" ჰოლში, დიდი საკრივო ბრძოლაა – WBC-ს ვერსიით როჭოს წონის ტიტულისთვის ერთმანეთს ორი დაუმარცხებელი მოკრივე, ბრიტანელი **რიკი ჰატონი** და ამ ტიტულის მფლობელი **ფლოიდ მეივეზერ უმცროსი** დაუპირისპირდებიან.

ბრძოლა სატიტულო კია, მაგრამ ჩემპიონის წოდებაზე მეტად, ორივე მოკრივეს უბრალოდ, გამარჯვება აინტერესებს. ამის მიზეზი კი ისაა, რომ სწორედ ამ ბრძოლის შედეგის მიხედვით გამოცხადდება გასული საკრივო სეზონის საუკეთესო (წონის გაუთვალისწინებლად, ეგრეთ წოდებული პაუნდ ფორ პაუნდ) მოკრივე.

ეს წოდება ახლა მეივეზერს ეკუთვნის, თუმცა ჰატონს პრეტენზია აქვს, რომ საუკეთესო სწორედ ისაა და იქადის, რომ ამას რინგზე დაამტკიცებს. გარდა ამისა, ის თვლის, რომ ეს უდიდესი ბრძოლაა მათ შორის, რომლებშიც კი ოდესმე მონაწილეობა მიუღიათ ბრიტანელ მოკრივეებს (ალბათ ზემძიმე წონაში მსოფლიოს ყოფილი აბსოლუტური ჩემპიონი, **ლენოქს ლუისი** ავიწყდება).

წონის გაუთვალისწინებლად მსოფლიოს საუკეთესო მოკრივე ახლა მეივეზერია, რომელმაც მაისში მარცხი აწვნია სახელოვან **ოსკარ დე ლა ჰოიას.** ოსკარი ჰატონისა და მეივეზერის ბრძოლის პრომოუტერია და პარალელურად, მოლაპარაკებას აწარმოებს ჰატონთან, ვისაც მომდევნო ბრძოლაში მეტოქედ სწორედ დე ლა ჰოია სურს.

ბევრი სპეციალისტი დღევანდელ ბრძოლაში ფავორიტად მეივეზერს ასახელებს, ვისაც პროფესიულ რინგზე ჩატარებული 38-ვე ბრძოლა მოგებული აქვს. მაგრამ ატონი აცხადებს, რომ მისი ძალისმიერი სტილი ის გასაღებია, რომლის წყალობითაც, მეივეზერს პირველ მარცხს აგემებს.

*"რაც უფრო ძლიერ ზეწოლას ვგრძნობ, მით უფრო სახიფათო ვარ. მისი ძლიერი მხარე სისწრაფე და რინგზე მოძრაობაა. მაგრამ თუ სივრცეს მოვუსპობ, მაშინ ხაფანგში მისი გაბმაც უფრო ადვილი გახდება. ჩემი სტილი სწორედ ამის გაკეთების საშუალებას მომცემს"*, - ამბობს ჰატონი.

თუმცა, ამით მეივეზერს ვერ აშინებს: *"ისინი ამბობენ რომ პრესინგით შეიძლება ჩემი დამარცხება. კარგით, პასუხისგან ახლა თავს შევიკავებ, სათქმელს კი რინგზე ვიტყვი. მე მის სტილში ბევრ სისუსტეს ვამჩნევ და ამას აუცილებლად გამოვიყენებ. ისე კი, მის წინასაბრძოლო ქცევებში ნერვიულობას ვამჩნევ. ეს პირველი სისუსტეა, რაც რინგზე მის გარჯას აუცილებლად დაეტყობა"*.

რაც შეეხება ნერვიულობას, ამაზე მანჩესტერელმა მიუგო, რომ მისი ბრძოლისწინა ქცევა ნერვიულობის კი არა, იმის ბრალია, რომ ის ჩვეულებრივზე მეტადაა აღგზნებული, ამას კი ბრძოლის მნიშვნელობა განაპირობებს. ბრძოლის წინ აღგზნება ჩემთვის ჩვეულებრივი ამბავია. ასე რომ, ეს წინასწარ არაფერზე მეტყველებსო, - ამბობს ჰატონი (43-0).

სხვათა შორის, "ცუდი ბიჭის" მეტსახელით ცნობილი მეივეზერი ამჯერად მეტად თავშეკავებულია. სამაგიეროდ, ჰატონი ბრძოლის წინ ზედმეტ აგრესიას ავლენს – გუშინდელ პრესკონფერენციაზე მან თავის მეტოქესთან წაკინკლავება სცადა, თუმცა საქმეში უმალ გამშველებლები ჩაერივნენ და ინციდენტი საფუძველშივე აღმოფხვრეს.

შეგახსენებთ, რომ მეივეზერი მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონია (ხუთ სხვადასხვა წონაში) და ლას ვეგასშიც ჩემპიონის რანგში იბრძოლებს. ჰატონი კი ჩემპიონის წოდებას ორ წონაში, ამდენჯერვე ფლობდა. ორი წლის წინ, მან ქვე-როჭოს წონაში ავსტრალიელი **კოსტია ცზიუ** ტექნიკური ნოკაუტით დაამარცხა და IBF-ის ტიტულს დაეუფლა. შარშან კი ქულებით აჯობა ამერიკელ **ლუის კოლაცოს** და WBA-ს როჭოს წონის ჩემპიონი გახდა. მოგვიანებით კი ეს ტიტული ნებაყოფლობით იმის გამო დათმო, რომ არასანქცირებული ბრძოლა გამართა მექსიკელ **ხოსე ლუის კასტილიოსთან.** ეს ბრძოლა ბრიტანელმა ნოკაუტით მოიგო და ახლა ისევ როჭოს წონის ტიტულისთვის იბრძვის.

წინასწარი მონაცემებით, ჰატონისა და მეივეზერის ბრძოლას პირდაპირ ეთერში კრივის 180 ქვეყნის მოყვარულები იხილავენ.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

## ველოსპორტი

# ვინოკუროვი წავიდა

ყაზახეთის ველოსპორტის ფედერაციამ ერთწლიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა ყაზახი ველომრბოლი **ალექსანდრ ვინოკუროვი,** ვინც ტურ დე ფრანსის წლევანდელი რბოლის დროს, შემოწმებამ სისხლის დოპინგის (სისხლის ტრანსფუსია, იგივე გადასხმა) გამოყენებაში ამხილა.

ამ სანქციის გამოცხადებისთანავე, ვინოკუროვის ადვოკატმა **მორის სუმ** (ეს კაცი ცნობილია, როგორც ტურის შერისხული ჩემპიონის, ამერიკელი **ფლოიდ ლენდისის** ადვოკატი) განაცხადა, რომ ველომრბოლი აღნიშნული დისკვალიფიკაციის მოხდისთანავე დაუბრუნდება სპორტს და ოლიმპიადაზეც მიიღებს მონაწილეობას. მაგრამ მცირე ფიქრის შემდეგ, თავად ველომრბოლმა განაცხადა, რომ დაუყოვნებლივ დაასრულებს თავის პროფესიულ სპორტულ კარიერას.

აღნიშნული დისკვალიფიკაცია ვინოკუროვს 21 ივლისს უმთავრდება, რაც იმას ნიშნავს, რომ მას პეკინის ოლიმპიადაზე გამოსვლის შანსიც ექნება. თუმცა სავარაუდოა, რომ ყაზახეთის ველოსპორტის ფედერაციის გადაწყვეტილებას გააპროტესტებს ველოსპორტის საერთაშორისო კავშირი (UCI).

ამ უკანასკნელის წარმომდგენელი **ენრიკო კარპანი** გაოცებულია ყაზახეთის ველოსპორტის ფედერაციის რბილი სანქციით. კერძოდ, ის ამბობს, რომ ანალოგიური დარღვევისთვის, ამერიკელი ოლიმპიური ჩემპიონი **ტაილერ ჰემილტონი** ორწლიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა.



ალექსანდრ ვინოკუროვი

*"ჩვენთვის ყაზახეთის ფედერაციის გადაწყვეტილება აბსოლუტურად მიუღებელია. გასაკვირია, რა გახდა იმის მიზეზი, რომ ყაზახეთის ფედერაციამ ვინოკუროვისთვის ესოდენ რბილი სანქცია გაიმეტა"*, - ამბობს კარპანი.

ფრანგულ გაზეთ "ეკიპის" ცნობით, ველოსპორტის საერთაშორისო კავშირი ყაზახეთის ფედერაციის გადაწყვეტილებას აუცილებლად გააპროტესტებს. ვინოკუროვი კი ველოსპორტში დაბრუნებას აღარ აპირებს, თუმცა თავისი უდანაშაულობის დასამტკიცებლად ბრძოლას მაინც აპირებს.


ლელო

სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
**თენგიზ გაჩეჩილაძე**

დირექტორი
**პაატა გელაშვილი**

რედაქტორები
**მამუკა ჩიხლაძე**
**გია თვალაბეიშვილი**

ქართული სპორტი
**ნიკოლოზ ნეფარიძე**
**პაატა თოთაძე**
**მერაბ მამულაშვილი**
**დავით ცაგაძე**
**ლევან ჯანეზაშვილი**
**გია ტუხაშვილი**
**დავით თავართქილაძე**
**ირაკლი თავაძე**
**ვაჟა სიმონიშვილი**
**ზვიად შათირიშვილი**
**კობა ხატისაშვილი**
**ბესიკ ჯანგავაძე**

უცხოური სპორტი
**შალვა ბიბილაშვილი**
**გოტფრიდ ლენცი**
**ილია ნიკოლაიშვილი**
**მერაბ ლორთქიფანიძე**
**დავით ჩუბინიძე**
**ზურაბ თალაკვაძე**

რეგიონული კორესპონდენტები:
**დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი**

ფოტო
**ალექსანდრე კოტორაშვილი**
**ნუგზარ სუარიძე**

ტექნიკური რედაქტორი
**მიხეილ ჯაში**

ტექნიკური ჯგუფი:
**მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი**

კორექტურა
**ლელა ხომასურიძე**
**ლევან ბიბილაშვილი**

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
**დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე**

მარკეტინგის სამსახური
**თამარ ჯიმჯარიანი (ტ: 46 34 48)**
**ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)**

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
**მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)**
**ერემო მახათაძე (1952-53)**
**ირაკლი უგულავა (1953-64)**
**ანზორ ბასილაია (1976-83)**
**არჩილ გოგელია (1984-85)**
**თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)**

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
**საქართველოს ოლიმპიური ფონდი**

**ახმეტელის 10ა,**
**0159 თბილისი**
(დიღომი, ახალი კონსტუდია, პირველი სართული);

**ტელეფონი: 46 30 98**
**46 30 56. 46 32 62**
**899 55 48 97** (მთ. რედაქტორი)
**53 39 11**

ფაქსი +995. 32 46 30 97

**e-mail: sporti@sporti.ge**
ინდექსი 66435 INDEX

**გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა**